ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

## ჩემპიონების შანსი

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 276 (12 647) 24 ნოემბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

## საგანგაშო სიგნალი
## ახალციხის მესხეთი ჩემპიონატს ტოვებს



ა)ა ჩიბურდანიძე და ნანა ძაგნიძე ჩინელების წინააღმდეგ

### გუშინ ქალებმა ჩინელებიც დაამარცხეს. გადამწყვეტი პარტია სერბეთთან

»»» 11



## დინამომ გაგრასთან რევანში აიღო, ლოკომოტივი ისევ აგებს...

მათე ვაწაძის ეფექტური გოლი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი »»» 2-3



დავით მუჯირი



ამირან მუჯირი

## მუჯირული უქმეები

ლეგიონი »»» 5



## ჩეჩაფშემ ბარსელონა მიწაზე დააბრუნა



## კრიზისი



## დაუში: პოფენჰაიმი სუფთა არ არის!

ევროუქმეები »»» 6-10

პე ეს პე
ჩემი ოჯახის აფთიაქია



**საქართველოს XX ჩემპიონატი**
**უმაღლესი ლიგა — XII ტური**

**22.11. თბილისი. ეროვნული. 150 მაყურებელი**

**დინამო-გაგრა 3:0**

1:0 მერებაშვილი (53. ფირცხალავას პასით), 2:0 ვანაძე (57. ნერგაძის პასით), 3:0 მერებაშვილი (73)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე - ფირცხალავა (70. შ. კაშია), დილმელაშვილი, ნერგაძე - გ. მერებაშვილი, გველესიანი (82. ჯიუსი) - ვანაძე (66. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, ინწკირველი, მინდორაშვილი, სიხარულიძე*

გაგრა: თევდორაძე - ქაჯაია, მგელაძე, გიგაური, გაბუნია - ტყეშელაშვილი, ჩარგეიშვილი - ზ. დათუნაშვილი (62. კორიფაძე), გაბედავა (31. ცხადაია), შარიქაძე (82. ოქრიაშვილი) - ძაგანია.

*სათადარიგოები: ხომერიკი, ლალიანი, ბ. ყიფიანი, ზ. მეტრეველი.*

გაფრთხილება: ქაჯაია (56), ფირცხალავა (60), სპასოევიჩი (78)

გაძევება: ქაჯაია (57)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# სრულფასოვანი რევანში



გიორგი მერებაშვილის საგოლე დარტყმა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საიუბილეო ჩემპიონატის პირველ ტურში "დინამო", ყველასათვის მოულოდნელად, დებიუტანტ „გაგრასთან" დამარცხდა. მოქმედი ჩემპიონის ეს ნაგება დიდ სენსაციად შეფასდა, თუმცა **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდულმა გუნდმა მერეც არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის მოგება შემთხვევითი არ გახლდათ. და აი, სრულფასოვანი რევანშის დროც მოვიდა - ამ ბოლო დროს ჩინებულად ათამაშებულმა „დინამომ" მეორე ტაიმში მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. თუმცა, ამ სამიდან ერთ-ერთი გოლი, სტუმართა აზრით, საკამათო სიტუაციიდან გავიდა. ყოველ შემთხვევაში, მატჩის შემდეგ ვლადიმერ ხაჩიძემ ჟურნალისტებს განგვიცხადა, რომ „გაგრას" კარში მეორე გოლი ასპროცენტიანი თამაშგარე მდგომარეობიდან იყო გატანილი!

..."დინამომ" მხოლოდ მეორე ტაიმში დაჯაბნა მეტოქე, მანამდე კი ერთობ სახალისო და, რაც მთავარია, თანაბარი პირველი ტაიმიც ვიხილეთ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მასპინძლები კვლავაც სახეშეცვლილი შემადგენლობით ასპარეზობდნენ: მცირე ტრავმების გამო „დინამომ" გუნდის კაპიტანი **დავით ოდიკაძე** და მარცხენა მცველი **ზაალ ელიავა** მოისაკლისა. აქედან გამომდინარე, „დინამოს" ძირითადმა შემადგენლობამ გარკვეული ტრანსფორმაციაც განიცადა: ნახევარდაცვის ცენტრში ერთდროულად სამი „საყრდენი" ვიხილეთ, რომელთა წინ ფლანგებზე ორი გარემარბი (**გიორგი მერებაშვილი** და **ოლეგ გველესიანი**) მოქმედებდა. თუმცა, მთავარი სიურპრიზი მაინც **ლევან ხმალაძის**... მარცხენა მცველობა გახლდათ! ამასთან, საქართველოს ნაკრების წევრს **რაინერ ცობელმა** კაპიტნის სამკლაურიც უბოძა და გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: ხმალაძე, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში! ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში ხმალაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ „საყრდენ" ნახევარმცველად ჩამოყალიბდა; არადა, „დინამოში" თავის სადებიუტო სეზონში სწორედ... დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. და აი, ოთხწლიანი პაუზის მერე პირველად ითამაშა „მივიწყებულ" პოზიციაზე და როგორც უკვე გითხარით, ჩინებულადაც გაისარჯა.

„გაგრას" ტაქტიკური მონახაზი ტრადიციული გახლდათ: ორი „საყრდენი" (**გიორგი ტყეშელაშვილი, თამაზ ჩარგეიშვილი**) და მათ წინ განლაგებული სამი შემტევი. ოღონდ, ამჯერად **ლევან შარიქაძე** მარცხენა გარემარბად მოგვევლინა, **გიორგი გაბედავა** კი - ცენტრში თამაშობდა. ეს უკანასკნელი, სანამ ტრავმის გამო მოედანს დატოვებდა, მუდამ ყურადღების ცენტრში გახლდათ. სამწუთიან ინტერვალში ამ 19 წლის შემტევმა ერთობ სახიფათოდ შეასრულა „სტანდარტულები", მაგრამ ჯერ გიორგი ტყეშელაშვილმა, მერე კი **ზურაბ ძაგანიამ** ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. შეხვედრის დასაწყისში კი იმავე გაბედავამ და მისმა თანატოლმა ლევან შარიქაძემ, ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით, „დინამოს" კარს მწვავედ შეუტიეს. რაღა თქმა უნდა, არც მასპინძლები იყვნენ სტატისტების როლში: ერთ ეპიზოდში **გულვერდ თომაშვილის** თავური მიზანს სულ მცირედით ასცდა; ორ შემთხვევაში კი სტუმართა ახალგაზრდა მეკარემ იყოჩაღა: **რევაზ თევდორაძემ** ჯერ **მათე ვანაძეს** აჯობა, ტაიმის ბოლოს კი ოლეგ გველესიანის ძლიერად დარტყმული ბურთიც მოიგერია. ცალკე გვინდა რამდენიმე სიტყვა გიორგი მერებაშვილზეც ვთქვათ: წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ახლაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოედანზე; თუმცა ხშირ შემთხვევებში ინდივიდუალური თამაშით ცდილობდა ფონს გასვლას, არადა, ამ დროს პარტნიორები ბევრად უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ...

მეორე ტაიმში მასპინძლებმა პირნმინდად დაჩაგრეს ახალგაზრდული მეტოქე და სამი ეფექტური გოლიც გაიტანეს. პირველად გიორგი მერებაშვილმა იხეირა, როცა მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ლამაზი ფინტიც ჩაატარა და მერე მოხდენილი დარტყმით თევდორაძე უშანსოდ დატოვა. ამ ეპიზოდიდან ძალიან მალე კი ის საკამათო ეპიზოდიც ვიხილეთ, ზემოთ რომ მოგახსენეთ; თუმცა მათე ვანაძის ოსტატობას ვერაფერი დააკნინებდა: ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ლამაზი უკუდარტყმით მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. თანაც, ამ გოლს „გაგრას" მარჯვენა მცველის **ზაზა ქაჯაიას** გაძევებაც მოჰყვა - საპირისპირო ფლანგზე მყოფმა გვერდითმა არბიტრმა აქტიური ჟესტით მთავარი მსაჯი თავისკენ მოიხმო და... **არსენ ნონიკაშვილმაც** ჯიბიდან უმალ წითელი ბარათი დააძრო...

თამაშიც, ფაქტობრივად, აქ დასრულდა: „გაგრამ" ერთადერთხელ შეუტია სახიფათოდ, მაგრამ **ნიკა მგელაძემ** ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა: სამაგიეროდ, მორიგი ეფექტური გოლი გაიტანა გიორგი მერებაშვილმა, ვისაც ჰეთ თრიკის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ერთ ეპიზოდში მისი დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა...

**მატჩის შემდეგ**

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი):** *„პირველი ტაიმი ჩვენზე ბევრად მაღალი კლასის მეტოქეს თანაბრად ვეთამაშეთ. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში გვერდითმა მსაჯმა მატჩი... ცოტა ადრე „დაამთავრა". მიმაჩნია, რომ მეტოქემ მეორე გოლი ასპროცენტიანი „თამაშგარედან" გაგვიტანა. ამას, ცოტა არ იყოს, აბსურდული გაძევებაც დაემატა და კაცნაკლულთა წინაღმდეგობის გაწევის აზრიც დაეკარგა..."*

**რაინერ ცობელი (დინამო):** *„შეხვედრის პირველი ნახევრით აშკარად უკმაყოფილო ვარ. ვიცოდი, რომ მეტოქე მოედნის ცენტრს „ჩაკეტავდა" და ამიტომაც ჩვენი უპირატესობა ფლანგების აქტიურობით უნდა გამოვლენილიყო. განსაკუთრებით, ჩვენი მარჯვენა ფლანგი სცოდავდა... თუმცა, შესვენებაზე ბიჭებთან მკაცრი საუბარი მქონდა და მეორე ტაიმში „დინამომ" სისწრაფესაც მოუმატა და ფლანგებიც მაქსიმალურად ავამოქმედეთ. საერთოდ, ცალკეული ფეხბურთელების გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა ლევან ხმალაძის, პრაქტიკულად, უშეცდომო თამაშს".*

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 3 | 1 | 19-8 | 24 |
| 2. დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23-10 | 22 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 6 | 2 | 3 | 13-7 | 20 |
| 4. ლოკომოტივი | 11 | 6 | 0 | 5 | 15-12 | 18 |
| 5. მესხეთი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-13 | 15 |
| 6. სიონი | 11 | 3 | 6 | 2 | 11-8 | 15 |
| 7. ოლიმპი | 11 | 3 | 6 | 2 | 8-7 | 15 |
| 8. მგლები | 11 | 4 | 1 | 6 | 12-14 | 13 |
| 9. გაგრა | 11 | 3 | 2 | 6 | 10-18 | 11 |
| 10. ბორჯომი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-23 | 10 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 0 | 9 | 6-20 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| მერებაშვილი (დინამო) | 4 |

*26 ნოემბერი, თასის 1/4 ფინალი საპასუხო მატჩები*

**XIII ტური**

**29 ნოემბერი, შაბათი**

ბორჯომი-მგლები

**30 ნოემბერი, კვირა**

სპარტაკი-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ოლიმპი-მესხეთი
გაგრა-ვიტ ჯორჯია

*ლოკომოტივი ისვენებს*

ნოემბერში თამაშები დაიწყება 14 საათზე

**პირველი ლიგა**

**აღმოსავლეთი. XIV ტური**

**22 ნოემბერი**

კახეთი-სიონი 2 — 2:3

*ვიტ ჯორჯია 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 13 | 10 | 2 | 1 | 28-8 | 32 |
| 2. ამერი | 12 | 8 | 2 | 2 | 22-7 | 26 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 12 | 6 | 5 | 1 | 19-5 | 23 |
| 4. დილა | 13 | 6 | 4 | 3 | 20-10 | 22 |
| 5. დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 7. სიონი 2 | 12 | 4 | 3 | 5 | 19-33 | 15 |
| 6. გაგრა 2 | 13 | 4 | 2 | 7 | 18-27 | 14 |
| 8. თბილისი | 12 | 3 | 2 | 7 | 15-20 | 11 |
| 9. კახეთი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-26 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 13 | 1 | 5 | 7 | 15-24 | 8 |
| 11. ჰერეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-22 | 7 |

**დასავლეთი. XIV ტური**

**22 ნოემბერი**

კოლხეთი-გურია — 1:0

*ზესტაფონი 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 13 | 10 | 2 | 1 | 23-4 | 32 |
| 2. სამტრედია | 13 | 9 | 1 | 3 | 25-10 | 28 |
| 3. მარტვილი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-8 | 24 |
| 4. კოლხეთი | 13 | 7 | 2 | 4 | 17-10 | 23 |
| 5. ჭიათურა | 13 | 6 | 1 | 6 | 21-18 | 19 |
| 6. ხობი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-18 | 18 |
| 7. ზესტაფონი 2 | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 8. ტორპედო 2008 | 13 | 4 | 1 | 8 | 8-10 | 13 |
| 9. გურია | 12 | 3 | 3 | 6 | 15-22 | 12 |
| 10. ბათუმი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |
| 11. მეშახტე | 13 | 1 | 1 | 11 | 9-32 | 4 |

# იგებს ის, ვინც ბოლომდე იხარჯება

**22.11. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 200 მაყურებელი**

**მესხეთი-ლოკომოტივი 3:1**

0:1 კახელიშვილი (5. ალექსიძის პასით), 1:1 გრიგალაშვილი (56. გონჩაროვის პასით), 2:1 სამადაშვილი (62. ლეკიშვილის პასით), 3:1 გრიგალაშვილი (78. გონჩაროვის პასით)

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ქოჩორაშვილი - - თაყაძე (89. გაგუა), გოჩაშვილი (46. სამადაშვილი), გრიგალაშვილი, თედიაშვილი, ლეკიშვილი - გონჩაროვი (80. სუდაძე).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ქობესაშვილი, ინასარიძე, ყურულაშვილი*

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ბებუა, ფოფხაძე, ფარულავა, სარალიძე - ბარბაქაძე (61. დარასელია), კ. მახარაძე (62. ჩაგელიშვილი), ცქიტიშვილი, ზ. ჩხეტიანი, კახელიშვილი - ალექსიძე.

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, კაჭახიძე, ბუდალაშვილი, კობიაშვილი, წულაძე*

გაფრთხილება: კახელიშვილი (38)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

„მესხეთი" ამ მატჩსაც „ჩვეულ" მდგომარეობაში შეხვდა - ხელფასებისა და პრემიების გაცემა გაურკვეველი ვადითაა გადადებული, ამასთან, **მერებაშვილი, ქებაძე** და **ახალაია** კვლავ ტრავმირებულები არიან. კლუბის პრეზიდენტ **გია მესხელის** დიდი მცდელობის მიუხედავად, უკვე სამი თვეა, ფეხბურთელები, ასე ვთქვათ, ნისიაზე თამაშობენ...

...მეტოქეები რომ ერთმანეთს უფრთხოდნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ გუნდებმა ხუთ-ხუთი ნახევარმცველითა და თითო თავდამსხმელით დაიწყეს თამაში. **კობა თედიაშვილმა**, წინა თამაშებისგან განსხვავებით, გუნდის განლაგებაში კორექტივი შეიტანა - **ლეკიშვილი** დაცვის მარცხენა ფლანგიდან მარცხენა ნახევარმცველად „დააწინაურეს", პლეიმეიკერ **გრიგალაშვილს** კი აქეთ-იქით ორი ათლეტური ჩამშლელი - **თედიაშვილი** და **გოჩაშვილი** დაუყენა.

მატჩის პირველ ხუთ წუთში „მესხეთმა" სამი სახიფათო მომენტი შექმნა, „ლოკომოტივის" პირველივე კონტრიერიში კი მე-5 წუთზე გოლით დასრულდა - **ალექსიძის** პასით **კახელიშვილი** მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა.

მასპინძლებზე გოლმა აშკარად ნეგატიურად იმოქმედა. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ისინი უჩვეულოდ პასიუროდნენ. მხოლოდ გრიგალაშვილი აქტიურობდა და ისიც - ინდივიდუალურად. არც „ლოკომოტივი" იკლავდა თავს, რადგან თამაში მისთვის სასურველი სცენარით მიმდინარეობდა...

წესით, დამაინტრიგებელი უნდა ყოფილიყო მოედნის ცენტრში **გრიგალაშვილისა** და **ცქიტიშვილის** დუელი, მაგრამ დაპირისპირება არ შედგა. საქმე ისაა, რომ ცქიტიშვილმა ახალციხელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე სისუსტე იგრძნო და იქიდან ცდილობდა თამაშის გამწვავებას. საერთოდაც, ვეტერანი ძველებურად უზადო ტექნიკითა და კლასით გამოირჩეოდა. ასე მგონია, რომ ნაკრებიდან მისი ჩამოწერა ნაადრევია...

მეორე ტაიმში თედიაშვილმა ლოგიკური ტაქტიკური გადაადგილება განახორციელა - **სამადაშვილის** სახით მეორე თავდამსხმელიც გამოიყვანა, ხოლო გრიგალაშვილი თავდამსხმელებთან უფრო ახლოს გაამწესა.

» 3

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მახარაძის ბოლო მარცხი?!

**22.11. ზესტაფონი. ცენტრალური. 1 500 მაყურებელი**

**ზესტაფონი-ოლიმპი 0:1**

0:1 ჩიკვილაძე (13. ბაბუნაშვილის პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ლობჟანიძე, თოდუა, ბოიომო, რ. ონიანი - ჭელიძე, გ. ხიდეშელი (35. დაუშვილი), ძარია - ნ. კვასხვაძე, გელაშვილი (28. ბ. გოცირიძე), ბენაშვილი (56. იონანიძე).

*სათადარიგოები: გორდეზიანი, შ. ლონლაძე, სანტოსი, ლომაშვილი*

ოლიმპი: სტურუა - თ. ლონლაძე, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, აკუასაგა - გ. სეთურიძე (89. ალადაშვილი), დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ფეიქრიშვილი (61. გაბიდაური) - ფიფია (56. დეკანოსიძე), გ. ჩხეტიანი.

*სათადარიგოები: მერლანი, მიკუჩაძე*

გაფრთხილება: თ. ლონლაძე (23), ბენაშვილი (50), აკუასაგა (72)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ამ ჩემპიონატში იმდენი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, „ოლიმპის“ მიერ „ზესტაფონის“ გასვლაზე ძლევა გასაკვირი აღარ არის. საწვრთნელო შტაბში მომხდარმა ცვლილებებმა ქვემოქართლელებზე დადებითად იმოქმედა. **ვარლამ კილასონიას** ხელში გუნდმა, რომელსაც თავიდანვე საკმაოდ ძლიერი კონტინგენტი ჰყავდა, თამაშის ხარისხიც გააუმჯობესა და გამარჯვებებსაც მოუხშირა. თავის მხრივ, გაახალგაზრდავებული „ზესტაფონიც“ აღარ არის ის გუნდი, რომელთანაც გამარჯვებაზე ფიქრი არ შეიძლება. ფეროელებმა წლეულს უკვე მეორე საშინაო მარცხი ინვნიეს, არადა, ამ გუნდის საკუთარ მოედანზე დამარცხება ბოლო წლებში თითქმის წარმოუდგენელი იყო. როგორც ჩანს, ცვლილებები არც ზესტაფონის საწვრთნელო შტაბს ასცდება. თუმცა ამ შემთხვევაში „ოლიმპთან“ მარცხი არაფერ შუაშია. იმერული კლუბიდან **თემურ მახარაძის** წასვლისა და **გია გეგუჩაძის** დანიშვნის შესახებ ბოლო დროს ბევრი ითქვა და ეს ინფორმაცია შაბათს იმითიც გამყარდა, რომ გეგუჩაძე ზესტაფონში იყო და მომავალი შეგირდების გარჯას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს...

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთობ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სასურველი შედეგის მისაღწევად გუნდები ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ. მახარაძემ შემტევი ტაქტიკა აირჩია და აქცენტი ფლანგურ იერიშებზე გააკეთა. მაგრამ ზესტაფონელთა შეტევები უფრო ქაოსური იყო, რუსთაველები კი ძალებს თანაბრად ანაწილებდნენ და ზედმეტი ემოციების გარეშე თამაშობდნენ. ქვემოქართლელთა შეტევებს კარგად უძღვებოდა **შოთა ბაბუნაშვილი**, რომელიც ტექნიკური არსენალითაც გამოირჩეოდა და გონივრული გადაცემებითაც ამწვავებდა თამაშს. მე-13 წუთზე მან საგოლე პასი მიითვალა. მარჯვენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმიდან ბაბუნაშვილმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც **ჩიკვილაძემ ლობჟანიძესა** და **ბოიომოს** დაასწრო და მოხდენილი თავურით ანგარიში გახსნა - 0:1.

ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი „ზესტაფონის“ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. **ნიკა გელაშვილმა**, რომელიც თავისიანებს შორის ყველაზე აქტიური იყო, ხისტად მოთამაშე რუსთაველი მცველების წინააღმდეგ ორთაბრძოლისას ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. მის ნაცვლად თამაშში ნაკრებმოვლილი **ბექა გოცირიძე** ჩაერთო. იქამდე კი გელაშვილმა რუსთაველები საკმაოდ ანერვიულა. **ჭელიძის** პასის შემდეგ მან მახვილი კუთხიდან ძალზე სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს. ცოტა ხანში მახარაძემ მეორე ცვლილებაც განახორციელა - **ხიდეშელის** ნაცვლად, რომელსაც თამაში აშკარად არ წაუვიდა, მოედანზე **მურთაზ დაუშვილი** შეიყვანა, რომელმაც, გოცირიძის დარად, სამი დღით ადრე ნაკრებში ითამაშა. ახალშესული ფეხბურთელები თამაშში კარგად ჩაერთვნენ, გოცირიძემ რამდენიმე ეპიზოდში გაამწვავა კიდეც ზესტაფონელთა შეტევა, მაგრამ ინდივიდუალური გარღვევებისას თანაგუნდელებისგან მხარდაჭერას ვერ იღებდა, ხან კი თავად აგვიანებდა პასს...

გააზრებული კომბინაციები რომ არ გამოსდიოდათ, მასპინძლები ფლანგური ჩაწოდებებით ცდილობდნენ ხიფათის შექმნას და რამდენჯერმე დაემუქრნენ კიდეც **სტურუას** კარს, მაგრამ **ძარიასა** და **ონიანის** თავურ დარტყმებს სიზუსტე დააკლდათ. ტაიმის ბოლოს ზესტაფონელებს გათანაბრებაც შეეძლოთ: **ბენაშვილმა** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ძარიამ თავით შეუცვალა მიმართულება და მარცხენა ძელთან ჩააგდო, იქ კი ორი ზესტაფონელი მარტოდმარტო იმყოფებოდა, მაგრამ... ვერც ერთმა ვერ მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა.

უქმად არც სტუმრები ყოფილან. 22-ე წუთზე მათ კონტრშეტევას გოლიც უნდა მოჰყოლოდა - სამი რუსთაველი ორი მცველის წინააღმდეგ იყო დარჩენილი, მაგრამ **ფეიქრიშვილის** გადაცემის შემდეგ **ჩხეტიანმა** ბურთი ვერ დაიმორჩილა და რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. აღნიშვნის ღირსია **გიორგი სეთურიძის** აქტიურობა. ის მარჯვენა ფლანგის სრული ბატონ-პატრონი იყო. ზესტაფონელებს მისთვის ბურთისართმევა ძალიან უჭირდათ. 36-ე წუთზე, სწორედ სეთურიძის ჩაწოდების შემდეგ, **ფიფიამ** „მაკრატელათი“ უზუსტოდ დაარტყა, არადა, ოდნავ მარცხნივ უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა ფეიქრიშვილი და ფიფიას ბურთი რომ გაეტარებინა, რუსთაველებს გატანის უკეთესი შანსი ექნებოდათ.

შესვენების შემდეგ ზესტაფონელთა უპირატესობა თვალშისაცემი გახდა. რუსთაველები ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაერთვნენ და მხოლოდ სტანდარტულებითა თუ შორეული დარტყმებით ამწვავებდნენ თამაშს, „ზესტაფონი“ კი ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა და რამდენჯერმე ახლოსაც იყო მიზანთან. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, ჭელიძის გადაცემის შემდეგ, აქტიურმა ძარიამ ბურთი საჯარიმოში შეიგდო და კარშიც დაარტყა, მაგრამ სტურუას ვერ აჯობა.

მასპინძელი ფანები კი „იონა-იონას“ სკანდირებდნენ და... ცოტა ხანში, მოედანზე ზესტაფონელთა „გაჭირვების ტალკვესი“ **ზურაბ იონანიძეც** გამოჩნდა. ფეროელთა შეტევებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, თუმცა გამოცდილმა ფორვარდმა ქულის გადარჩენა ვერ მოახერხა...

57-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ, „ოლიმპის“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბურთი გოცირიძეს მიუგორდა. ბექა კარისკენ ზურგით იდგა და ასეთ პოზაშივე უცნაურად დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადასცდა. ცოტა ხანში, **კვასხვაძის** დარტყმის შემდეგ, კარში მიმავალ ბურთს ზედ ხაზთან მცველი გადაელობა.

მე-80 წუთზე მასპინძლებმა ყველაზე რეალური მომენტი შექმნეს - დაუშვილმა მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც ძარიამ ყველას დაასწრო და სამიოდე მეტრიდან დაარტყა, მაგრამ სტურუამ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და ურთულესი ბურთი მოიგერია. ამის შემდეგ მოედანზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა და „ოლიმპმა“ მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

**მატჩის შემდეგ**

**ვარლამ კილასონია (ოლიმპი):** „ზესტაფონის“ სახით ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. საბედნიეროდ, პირველ ტაიმში მოვახერხეთ გოლის გატანა, რამაც საქმე უფრო გაგვიადვილა. მეორე ნახევარში ტაქტიკურ გადაადგილებებს მივმართეთ, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, მათ, ვინც მოედანზე იყვნენ, დავალება კარგად შეასრულეს და ძლიერ მეტოქესთან გამარჯვება განაპირობეს“.

**მალხაზ ლონლაძე (ზესტაფონი):** „ჩვენ დღეს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ. მეტოქემ კარგი ფეხბურთი შემოგვთავაზა. ჩვენმა გუნდმა კი ვერ შეასრულა ის ტაქტიკური დავალებები, რაც მის წინაშე იყო დასახული. სამწუხაროდ, გადაღლილები იყვნენ და თავი ბოლომდე ვერ წარმოაჩინეს ბექა გოცირიძემ და მურთაზ დაუშვილმა, რომლებმაც სამი დღით ადრე ნაკრებში ითამაშეს“.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# სახალისო თერთმეტი წუთი

**22.11. გორი. თ. ბურჯანაძე 200 მაყურებელი**

**ვიტ ჯორჯია-ბორჯომი 4:1**

1:0 ა. კვახაძე (16), 1:1 პ. ხორგუაშვილი (17), 2:1 ხურცილავა (21. ჯაფარიძის პასით), 3:1 ლიპარტია (24), 4:1 კვარაცხელია (27)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ა. კვახაძე (57. ყველაშვილი), დ. ლომაია, ჯაფარიძე - რაზმაძე (62. მაისაშვილი), ბეჭვაია, მელქაძე, კლიმიაშვილი - კვარაცხელია, ლიპარტია (70. ზაქარაძე).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, კვალინიძე, ვასაძე, ბერიაშვილი*

ბორჯომი: ჯინჭარაძე - ი. ლომიძე, ნ. ლომიძე (61. გოგოლაძე), ვაჩიბერიძე, ნოზაძე -დევაძე, ქავთარაძე, გოგიჩაიშვილი (75. კილაძე), ავალიანი (68. ხაჩიძე), პ. ხორგუაშვილი - ბეჟანიძე.

*სათადარიგოები: შეყრილაძე, გაჩეჩილაძე, ლაცაბიძე*

გაფრთხილება: ქავთარაძე (34)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

გათამაშების ლიდერისა და ერთ-ერთი აუტსაიდერის შეხვედრა ერთობ თვალსასეირო გამოდგა. ფეხბურთში სანახაობას, პირველ რიგში, მწვავე მომენტი და გოლი ქმნის. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გორის სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს ნამდვილად გაუმართლა. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ხუთივე გოლი მატჩის 11-წუთიანმა მონაკვეთმა ჩაიტია. დარჩენილ დროშიც ორივე გუნდმა (განსაკუთრებით მასპინძელმა) იმდენი მწვავე მომენტი შექმნა, ლოგიკურად, ანგარიშში სხვაობა გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... „ვიტ ჯორჯიის“ ფეხბურთელებმა იმდენი შანსი გაანიავეს, „ბორჯომზე“ უკეთესი გუნდის წინააღმდეგ ცუდად მოუბრუნდებოდათ.

პირველივე წუთებიდან ენერგიული თამაში წავიდა. ვიტელებს ეტყობოდათ, რომ სტუმრებს იოლად დასაძლევ ზღუდედ მიიჩნევდნენ. ამიტომ თბილისელებმა გადაწყვიტეს, საქმე მალევე მოეთავებინათ. სწრაფი გოლი - ასეთი იყო „ვეტერინართა“ ამოცანა. ბორჯომელებმა მხოლოდ საწყის 15 წუთში გაუწიეს მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა, მეტიც - კინაღამ ანგარიშიც გახსნეს. მე-13 წუთზე ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა **ავალიანმა** ფლანგიდან მიღებული ბურთი, ვიდრე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა, მცველებმა ააცალეს...

სახალისო თერთმეტწუთეულიც მალე დადგა. მე-16 წუთზე მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა **ალექსანდრე კვახაძემ** საჰაერო ბრძოლა მოიგო და **კახაბერ ჯინჭარაძეს** შანსი არ დაუტოვა - 1:0. საპასუხო იერიშმა საპასუხო გოლი მოიტანა - ანგარიში კართან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **პაველ ხორგუაშვილმა** გაათანაბრა - 1:1.

აქ თითქოს ინტრიგა დაიბადა, მაგრამ **დავით ხურცილავამ** ის ოთხ წუთში მოკლა. სტუმართა ნახევარზე **ლაშა ჯაფარიძის** მიერ გვერდითი ხაზიდან შეყვანილმა ბურთმა მეტოქის კარის შორეულ ძელთან ჩასაფრებულ ხურცილავამდე მიაღწია და მასპინძელთა მცველს საკუთარი გუნდის დაწინაურება არ გასჭირვებია - 2:1.

24-ე წუთზე **ჯაბა ლიპარტიამ** საჯარიმოს სიახლოვეს მოიპოვა ბურთი, ერთი მეურვე ჩამოიცილა და ჯინჭარაძეს შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა - 3:1. ორიოდ წუთში გოლებით დახუნძლული მონაკვეთი **ვახტანგ კვარაცხელიამ** დაასრულა. მას ერთ-ერთმა ბორჯომელმა მცველმა (კონტრშეტევის წამოწყებას რომ ლამობდა) ჩააბარა ბურთი, მეკარესთან პირისპირ დარჩენილ კვარაცხელიას კი პრობლემა არ ჰქონდა.

„ბორჯომი“ ნოკაუტში აღმოჩნდა და მსაჯის საფინალო სასტვენამდე მეტოქეს ოდნავი წინააღმდეგობაც ველარ გაუწია. შესვენებამდე ბორჯომელებმა მხოლოდ ინდივიდუალური მოქმედებით მოახერხეს გაბრძოლება. ერთ მომენტს გამოვყოფდით, როცა **ქავთარაძემ** რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და მეკარემდე მიაღწია, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ველარ შეასრულა. ტაიმის ბოლოს ლიპარტიას კიდევ ერთხელ შეეძლო გატანა, თუმცა მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

განსაკუთრებული სისუსტე ბორჯომელებმა მეორე ტაიმში გამოავლინეს. ცხადი იყო, რომ **გიორგი სუხიაშვილის** გუნდს ძლიერ მეტოქესთან ისედაც გაუჭირდებოდა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნამ „ბორჯომს“ მძიმე დაალი დაასვა. ვიტელებმა არცთუ თავგანწირული თამაშით მეორე ტაიმში მოედნის მთელ სივრცეზე მოქმედების სრული თავისუფლება მოიპოვეს. თავისი წილი გოლის გატანას არაერთხელ შეეცადა **ირაკლი კლიმიაშვილი**. განსხვავებით ზოგიერთი თანაგუნდელისაგან (**ბეჭვაია, კვარაცხელია, ჯაფარიძე**), მასზე გოლი ნამდვილად ალალი იყო, თუმცა უიღბლობამ შეუშალა ხელი. იყო მომენტებიც, როცა ის კომბინაციის არასწორ დაბოლოებას ირჩევდა.

82-ე წუთზე **ამირან ყველაშვილს** ლამაზად შეეძლო შეგდება. კლიმიაშვილის დარტყმის შემდეგ ის მეკარე ჯინჭარაძისგან უკუგდებულ ბურთს ეფექტურად გზავნიდა კარში, მაგრამ... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ლიდერებმა დაგეგმილი 3 ქულა უპრობლემოდ ჩაიწერეს აქტივში.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# იგებს ის, ვინც ბოლომდე იხარჯება

« 2 ეს გაბედული ნაბიჯი გარდამტეხი აღმოჩნდა - „მესხეთმა“ მძაფრად შეუტია. აქტიურობდნენ სამადაშვილი და **ლევან თედიაშვილი**. ეს უკანასკნელი უზარმაზარ შავ სამუშაოს ასრულებს, რაც გრიგალაშვილს შემოქმედებითი თამაშის საშუალებას აძლევს...

„ლოკომოტივთან“ მეორე ტაიმი იყო „მესხეთის“ საუკეთესო თამაში მიმდინარე სეზონში. განსაკუთრებით გაილაღა გრიგალაშვილმა, თედიაშვილმა კი ალექსიძისკენ საჰაერო სივრცე გადაკეტა და თამაშიც აეწყო. 56-ე წუთზე მათ კონტრიერიშზე დაიჭირეს მეტოქე - **გონჩაროვმა ლომაიასთან** პირისპირ დატოვა გრიგალაშვილი, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

ცქიტიშვილი ბევრს ცდილობდა, მაგრამ თანაგუნდელები ვერ აიყოლია. „მესხეთს“ კი ხელ-ფეხი გაეხსნა. 62-ე წუთზე ფლანგზე გაიჭრა ლეკიშვილი, რომელმაც გრიგალაშვილს გადააწოდა, მან კი, თავის მხრივ, საჯარიმოში სამადაშვილი მონახა - 2:1. ამის შემდეგ თბილისელები გამოცოცხლდნენ და ალექსიძეს, **ჩხეტიანსა** და განსაკუთრებით **ჩაგელიშვილს** (კარგად ჩაერთო თამაშში) გოლის გატანის შანსები მიეცათ, მაგრამ ხან უზუსტოდ ურტყამდნენ, ხან მეკარე **სომხიშვილი** ჩაუქრობდა.

მიმდინარეობდა 78-ე წუთი, როცა გრიგალაშვილმა მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და წინ გაიჭრა. მას კარგად გაეხსნენ გონჩაროვი (მარცხნივ) და სამადაშვილი (მარჯვნივ). გრიგალაშვილმა ბურთი გადააწოდა გონჩაროვს, რომლისკენაც მცველი დაიძრა. ამ დროს პასი კვლავ გრიგალაშვილმა მიიღო, პირისპირ გავიდა მეკარესთან და საბოლოო წერტილიც დასვა - 3:1.

რჩება შთაბეჭდილება, რომ შესანიშნავი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ლოკომოტივს“ შემართება აკლია, ბიჭები ბოლომდე არ იხარჯებიან და ამ პირობებში შედეგის მიღწევა ძნელია. „მესხეთს“ კი პირიქით, სწორედაც რომ თავდაუზოგავმა თამაშმა შეაძლებინა მატჩში გარდატეხის შეტანა და გამარჯვება. „ლოკომოტივისთვის“ ეს ზედიზედ მეხუთე წაგებაა. გუნდი სერიოზულ კრიზისშია...

**მატჩის შემდეგ**

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „დღეს მხოლოდ გამარჯვება გვევალებოდა. ახლა შეგვიძლია, იმედიანად ვუყუროთ მომავალს. ეს იყო ცხინვალის „სპარტაკთან“ წინა ტურის მატჩისგან რადიკალურად განსხვავებული თამაში. ამგვარი კონტრასტები იმ გუნდებისთვისაა დამახასითებელი, რომელთაც ჩემპიონატისწინა შეკრება არ გაუვლიათ. გრიგალაშვილის წინ წაწევამ გაამართლა, ხოლო სამადაშვილმა თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მადლობა ბიჭებს ასეთი გარჯისა და გამარჯვებისთვის. ბორჯომის სტადიონზე ნავსი გავტეხეთ“.

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** „პირველ ტაიმში, 1:0-ზე, ალექსიძეს რომ გაეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. რუმინეთთან სანაკრებო მატჩის შემდეგ ის დაღლილი იყო. გარდა ამისა, სხვა პრობლემებიც გვაქვს. ბევრი მოთამაშე ტრავმირებულია... ბრწყინვალე იყო ცქიტიშვილი. არ ვიცი, რომელი შეედრება მას ნაკრებში! სად არის ახლა ამ კლასის ფეხბურთელი და მიკვირს, რატომ არ ათამაშებენ ნაკრებში. ასაკი ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. მეტიუზი 50 წლის იყო, თამაში რომ დაამთავრა“.

**ომარ ჩხეიძე**
ბორჯომიდან

## გონჩაროვი ავარიაში მოყვა

**გუშინ** ახალციხის „მესხეთის“ ფორვარდი ბორის გონჩაროვი ოჯახთან ერთად ავტოავარიაში მოყვა. შემთხვევა თბილისში მოხდა. ფეხბურთელს მეუღლე და მცირეწლოვანი ბავშვი ახლდნენ. დაზარალებულები საავადმყოფოში მოათავსეს. მდგომარეობა მძიმეა, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## საფეხბურთო კლუბ ახალციხის მესხეთის საგანგებო განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას
პროფესიული ფეხბურთის ლიგას
სპორტული პროფილის მქონე სახელმწიფო სტრუქტურებს
სპორტულ ჟურნალისტებს
ახალციხელ ბიზნესმენებს

**მიმდინარე სეზონის დაწყებიდან მოყოლებული, ჩვენი კლუბი ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ახალციხელი ბიზნესმენები კლუბს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუტანელი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, გუნდის ასპარეზობა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. კლუბს სახელფასო დავალიანება აქვს ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც მაინც თავდადებით თამაშობენ. სწორედ მათი დამსახურებაა გუნდის ახლანდელი შედეგი - 11 ტურის შემდეგ „მესხეთი“ მე-5 ადგილზეა. კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და ტექნიკური პერსონალის მიმართ მადლიერებას გამოხატავს.**

**მოგეხსენებათ, „მესხეთი“ მიმდინარე ჩემპიონატში საშინაო მატჩებს არა ახალციხეში, არამედ ბორჯომში, ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე ატარებს. საშინაო მატჩების ახალციხეში არჩატარების გამო, კლუბი ყოველთვიურად ათასობით ლარსა და მრავალ გულშემატკივარს კარგავს.**

**ამჟამად კლუბში ფინანსურად კატასტროფული ვითარებაა. სამწუხაროდ, მდგომარეობის გამოსწორების იმედიც არ ჩანს. დიდი სახელფასო დავალიანების გამო, თითქმის გადაწყვეტილია რომ მომდევნო ტურიდან „მესხეთი“ ეროვნულ ჩემპიონატში ველარ იასპარეზებს. მიუხედავად კრიტიკული მდგომარეობისა, კლუბის ხელმძღვანელობა იმედს იტოვებს, რომ ახალციხელი ბიზნესმენები, სახელმწიფო სტრუქტურები და უბრალოდ, ფეხბურთის გულშემატკივრები კლუბს მხარში ამოუდგებიან და ახალციხის „მესხეთი“ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას გააგრძელებს.**

ს.კ. ახალციხის „მესხეთი“

პრობლემა

# მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი და ქართული ფეხბურთი

მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. ბარელი ნავთობი პირველად ბოლო სამწლინახევრის განმავლობაში 150 დოლარიდან 50-მდე დაეცა. მსოფლიო ეკონომიკა ისეა ინტეგრირებული, მომხდარი ტრანსნაციონალური კომპანიების მდგომარეობაზე აისახა. თავის მხრივ, ეს პროცესი ეროვნულ ეკონომიკებს აზარალებს.

თუკი კრიზისი არ მოგვარდება, მაშინ არაა გამორიცხული, დომინოს პრინციპით, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი ქართულ ფეხბურთსაც გადაედოს ის დამანგრეველი ტალღა, რომლის ძალასაც, საბედნიეროდ, ჯერ საქართველოში ვერ ვგრძნობთ.

მთელ მსოფლიოში, მეტალურგიული კომბინატები და ნავთობმომპოვებელი დარგები გაკოტრების პირასაა. რუსეთსა და უკრაინაზე კრიზისი განსაკუთრებით აისახება, ისევე როგორც აზერბაიჯანზე. გამომდინარე აქედან, ქართველთა ტრადიციულ თავშესაფარსაც პრობლემები შეექმნა. უკრაინაში „ფეროს“ და „ჭიათურმანგანუმის“ პარტნიორი მეტალურგიული წარმოებები დაიხურა.

მოკლედ, ახლა ისეთი მძიმე ვითარებაა, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის გადარჩენაზეც იყო საუბარი - თითქოს, რა ბევრი თანხაა ჩადებული, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, რომ ილია კოკაიასა და „ფეროს“, ლექსო თოფურიას, გურამ რუხაძეს, მეტალურგიული ქარხანას („ოლიმპის“ სპონსორია) და „მადნეულს“ პრობლემები შეექმნათ. დღეს ქართულ ფეხბურთი მათ ¿¿ დგას.

კონკრეულად განვიხილოთ, რომელი კლუბი რა მდგომარეობაშია.

### ვიტ ჯორჯია

**გურამ რუხაძე, კლუბის პრეზიდენტი:**

- ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი რომ გაგცეთ, საჭიროა დავაზუსტოთ, „ვიტ ჯორჯიას“ შემოსავლის რა წყაროები გააჩნია:

1. სპონსორული თანხები. შემოსავლის ეს წყარო არ შემცირებულა.
2. ევროთასებზე მონაწილეობიდან შემოსული თანხები. წელს ორ ეტაპზე ვითამაშეთ და აქედან გამომდინარე, მიღებული თანხაც არ შემცირდება.
3. ევროთასებზე თამაშის სატელევიზიო უფლებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი - არც ამ კუთხით ყოფილა პრობლემა.
4. საქართველოს ჩემპიონატიდან, ანუ „კოლხიდასგან“ მიღებული შემოსავალი. როგორც გვითხრეს, თანხა იანვარში გადმოირიცხება.
5. ფეხბურთელების ტრანსფერებით მიღებული შემოსავალი. ესეც გეგმის მიხედვით რჩება.

ამ შემოსავლებიდან არც ერთი არ შემცირებულა. ასეც რომ მოხდეს, მაშინ კორპორატიული დაფინანსება ამოქმედდება. ღვთის წყალობით, დღემდე კორპორაცია „ვიტ ჯორჯიას“ მსოფლიო კრიზისი არ შეხებია.

### დინამო

**ბადრი პატარკაციშვილის** გარდაცვალების შემდეგ კლუბის ფინანსური მდგომარეობა, რაც უნდა გასაოცარი იყოს, არ შერყეულა. კლუბის მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** „ლელოს“ რამდენიმე ხნის წინ განუცხადა, რომ კლუბი ძველებურად ფინანსდება. თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა და როგორ შეეხება ის კლუბს, ძნელი სათქმელია.

### ზესტაფონი

გუშინ დაიწყო „ზესტაფონის“ ბაზის მშენებლობა, რომელიც, ჩანაფიქრით, „მილანელოს“ ანალოგია უნდა გახდეს. უპირველესად, მოედნების მშენებლობაა გათვალისწინებული.

მთავარია, რა გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოსა და მის საწარმოებზე, მათ შორის, „ფეროზე“. უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ „ზესტაფონს“ პრობლემები შეექმნება.

საქმე ისაა, რომ 1 დეკემბრიდან „ფერო“ იხურება. „ჭიათურმანგანუმიდან“ ხალხი უვადო შვებულებაში გაუშვეს, რადგან მარგანეცის გატანა შეფერხებულია, „ფერო“ კი სწორედ მასზეა დამოკიდებული.

თუმცა როგორც „ზესტაფონში“ ამბობენ, კლუბი წარმოებისგან არ ფინანსდება, ის მხოლოდ სპონსორია.

თუკი „ზესტაფონის“ მდგომარეობით გვაიმედებენ, პირველი ლიგის „ჭიათურა“ დიდი პრობლემის წინაშე დგას - მას სწორედ „ჭიათურმანგანუმი“ აფინანსებს.

### მესხეთი

როგორც შევიტყვეთ, სერიოზული ფინანსური კრიზისია ახალციხის „მესხეთშიც“ და არაა გამორიცხული, მალე კლუბის გაკოტრების თაობაზე განცხადება გაკეთდეს.

### სიონი

ბოლნისური კლუბის მთავარი სპონსორი „მადნეულია“. ჩვენი ინფორმაციით, მსოფლიო ბაზარზე მადნეულის ფასი ორჯერ დაეცა. ბუნებრივია, ეს კლუბის ფინანსური მდგომარეობაზე აუცილებლად აისახება.

### ოლიმპი

**ზურაბ ჯაფარიძე, „ოლიმპის“ ვიცე-პრეზიდენტი:**

„მსოფლიო კრიზისმა ყველას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და ბუნებრივია, საქართველოც არ არის გამონაკლისი. როგორც ვიცი, მეტალურგიული კომბინატი არ გაჩერებულა, მაგრამ კრიზისი მასაც შეეხება, რადგან მსოფლიო ბაზარზე მეტალურგიული ქარხნის პროდუქციაზე ფასი დაეცა.

გამომდინარე აქედან, პრობლემებისგან დაზღვეული არც ჩვენი კლუბია. თუმცა ჩვენი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, ძველებური დაფინანსება რომ შეგვინარჩუნოს. ახლა მდგომარეობიდან გამოსავალს ვეძებთ, რამენაირად პრობლემები ნაკლებად რომ შეგვეხოს“.

### მგლები

ზუგდიდელთა ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა. საქართველოს ჩემპიონატში კარგი სტარტის შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გუნდისკენ მოწყალების თვალით გაიხედა. თუმცა, მსოფლიო კრიზიის საქართველოზეც უარყოფითად იასახება, აქედან გამომდინარე, ეს იმოქმედებს არა მარტო „მგლებზე“, არამედ, ყველა იმ გუნდზე, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, მათ შორის, ცხინვალის „სპარტაკზეც“.

### გაგრა

**გოდერძი ჩიხრაძე, „გაგრის“ ვიცე-პრეზიდენტი:**

„ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უცვლელია და სიმართლე გითხრათ, უახლოეს პერიოდში დაფინანსების გაზრდის იმედიც გვაქვს“.

### ბორჯომი

„ბორჯომი“ ალბათ ერთადერთი კლუბია საქართველოში, რომელსაც ფინანსური კრიზისი არ ემუქრება. მიზეზი? „ბორჯომს“ დღემდე ნორმალურად ისედაც არ აფინანსებენ. უქონელს კი რაღა კრიზისი სჭირდება? ასე რომ, ქართული ფეხბურთი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული. იმედია, კატაკლიზმებს უმტკივნეულოდ ავიცილებთ თავიდან, თორემ, მერე ფეხბურთის დარდი არავის გვექნება.

რაც შეეხება „ლოკომოტივს“, სამწუხაროდ, მის პრეზიდენტ **ლექსო თოფურიასთან** დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

UNDER19 CHAMPIONSHIP

*ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი. კვიპროსი*

## განიავებული შანსი

**საქართველო-დანია 2:2**

1:0 კაკუბავა (3. ქანთარიას პასით), 2:0 ქანთარია (20. კაკუბავას პასით), 2:1 ბოისანი (42), 2:2 პედერსენი (89)

საქართველო: მაკარიძე, სარაჯიშვილი, გეთიაშვილი, სალარიძე, თარხნიშვილი, ბეგლარიშვილი (65. ხუციძე), ქანთარია, კაჭკაჭიშვილი, შონია, გამრეკლიძე, კაკუბავა (75. ქანთარია).

*სათადარიგოები: კოტრიკაძე, რიგვავა, ჯიშკარიანი, კვეკვესკირი, ხოკერაშვილი.*

დანია: ჰანსენი, ოლბეკი, აკარაზი (65. პეტერსენი), ალბრეხტსენი, ბოისანი, გიტკიაერი (46. იაკობსენი), იენსენი, მიოლერი, ნილსენი, პედერსენი, ოზდოგანი (80. კრისტიანსენი).

*სათადარიგოები: ფიესტი, ჰასანი, კილერიხი, ლაუდრუპი.*

გაფრთხილება: ოლბეკი (64)

არბიტრი: ტ. შაპრონი (საფრანგეთი)

შაბათს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაება. **ზაურ სვანაძის** გუნდს პირველი მატჩი დანიასთან ჰქონდა. თამაში ფრედ 2:2 დასრულდა.

თამაში ქართველთა უპირატესობით წარიმართა. მთელი შეხვედრის განმავლობაში სვანაძის ბიჭები დომინირებდნენ. ეს უპირატესობა დასაწყისშივე გოლებში აისახა. ორივე ბურთი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გაიტანეს - **ზვიად ქანთარიამ** და **ლევან კაკუბავამ** გოლები და საგოლე პასები გაცვალეს.

ქართველთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. მე-3 წუთზე **გიორგი სალარიძემ** დანიელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, საჰაერო ორთაბრძოლა ქანთარიამ მოიგო და კაკუბავამ თავურითვე გახსნა ანგარიში - 1:0.

ჩვენები არ მოდუნებულან და ტაიმის შუისთვის უკვე ორბურთიან უპირატესობას მიაღწიეს. სვანაძის გუნდმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა, რის გამოც, დანია იძულებული გახდა, კონტრშეტევაზე ეთამაშა. ჩვენს 19-წლამდელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოხერხდა. თავის მხრივ, დანიელებიც „იკბინებოდნენ“, ტაიმის ბოლოს კი სხვაობაც შეამცირეს - **დევიდ ბოისანმა** მეკარე **გიორგი მაკარიძის** შეცდომით ისარგებლა და ზუსტად დაარტყა - 2:1.

მეორე ნახევარიც ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ქანთარიას, შონიასა და **შეყილაძეს** შეეძლოთ გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში უზუსტობით სცოდავდნენ.

არ არის გასაკვირი, რომ ამოქმედდა დაუწერელი საფეხბურთო კანონი -- ვერ გავიტანეთ და მატჩის მიწურულს მეორე გოლიც მივიღეთ. **ოლივერ პედერსენმა** ჩვენი მცველების შეცდომით ისარგებლა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აი, რა გვითხრა ზაურ სვანაძემ:

*„კარგად ვითამაშეთ, მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო... სამწუხაროდ, ნაკლმა, საგოლე მომენტების გამოუყენებლობამ იჩინა თავი და ფრეს დავჯერდით. იმდენად დიდი იყო ჩვენი უპირატესობა, გაოცებული ვარ, როგორ ვერ მოვიგეთ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მომდევნო მატჩში გავიმარჯვოთ“.*

შაბათსვე, ჩვენს ჯგუფში მეორე მატჩიც ჩატარდა. მასპინძელმა კვიპროსმა და ჩეხეთმაც ფრედ (1:1) ითამაშეს. მეორე ტურში საქართველოს ნაკრები კვიპროსს ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

დაპირისპირება

*სერგეი ნუდნი ზესტაფონის წინააღმდეგ*

# გადამიხადონ და ვითამაშებ

## ილია კოკაია: პრობლემა ზესტაფონში არ არის, მათ უკეთეს ლიგებში თამაში სურთ

### საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის განცხადება:

*„ზესტაფონის“ ყოფილმა მოთამაშე სერგეი ნუდნიმ რამდენიმე თვის წინ თავის ყოფილ კლუბს ფიფაში უჩივლა. ფეხბურთელის ქმედებას ქართული კლუბის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა... მთელი ეს არცთუ სასიამოვნო ისტორია დაიწყო მაშინ, როდესაც 2005-06 წლების სეზონის დასრულების შემდეგ „საფეხბურთო არდადეგებისას“ მოლდოველი ლეგიონერი, რომელსაც „ზესტაფონთან“ მოქმედი კონტრაქტი ჯერ კიდევ აკავშირებდა, შინ გაემგზავრა. სერგეი ნუდნის, კონტრაქტის თანახმად, იმერული კლუბის ღირსება 2007 წლის იანვრამდე უნდა დაეცვა. თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად, ფეხბურთელი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.*

*ნუდნიმ ფიფას ძალზე უცნაური მოთხოვნით მიმართა - მოლდოველი ითხოვდა საფეხბურთო კლუბთვის მისი „კუთვნილი ხელფასის“ გადახდის დაკისრებას (ლაპარაკია ფეხბურთელის კლუბში არყოფნის პერიოდზე!). ნუდნის ამ მოთხოვნას „ზესტაფონმა“ შეგებებული სარჩელით უპასუხა. ქართულმა კლუბმა მოითხოვა, ფეხბურთელს დაკისრებოდა „ბონუსის“ თანხის დაბრუნება, რომელიც მან თავის დროზე კლუბისაგან მიიღო.*

*რამდენიმე დღის წინ იმერული კლუბის ოფისში ციურიხიდან წერილი მოვიდა, რომელშიც ლაპარაკია იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ფიფას დავების განხილვის სამსახურმა მიიღო ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელს უარი ეთქვა მის მიერ წამოყენებული პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე. გარდა ამისა, მას დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.*

*უახლოეს პერიოდში ფიფამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „ზესტაფონის“ კიდევ ერთ სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც გაბონელების - პოლ ულრიკ კესანისა და ეტიენ პანაიოტის ბიტო'ოს მიერ კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება. ქართული კლუბი მოითხოვს ფეხბურთელების დისციპლინარულ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას და მათ მიერ კლუბისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას“.*

ჩვენ დავუკავშირდით სერგეი ნუდნის და კომენტარი ვთხოვეთ.

**- სერგეი, როგორც შევიტყვეთ, ფიფაში შენი „ზესტაფონთან“ დავა განიხილეს.**

- რომელი საკითხი?

**- შენი და კლუბის დავა.**

- არ ვიცი, რა მოხდა და „ზესტაფონთან“ დაკავშირებით რა გადაწყვეტილება მიიღეს. ყველამ იცის, რომ „ზესტაფონის“ არაფერი მმართებს. უბრალოდ, კოკაიას სურს, რომ დავბრუნდე, დიდი სიამოვნებით, მაგრამ საკითხები სხვანაირად წყდება, ადამიანურად... თავის დროზე, როდესაც კლუბიდან მივდიოდი, კოკაიამ მითხრა, რომ არ დამერეკა და თავად მომიძებნიდა კლუბს. რა მექნა, სახლში ვმჯდარიყავი და მეცადა, როდის გადაწყდებოდა ჩემი პრობლემა? დაე დამიკავშირდეს. თუკი ნორმალურ პირობებს შემიქმნიან, შეიძლება, საქართველოშიც დავბრუნდე. თუნდაც „ზესტაფონმა“ კლუბი მომიძებნოს და გამყიდოს. ამაზეც თანახმა ვარ.

**- კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადებაში წერია, თითქოს, კლუბში არყოფნის პერიოდში დაგროვილი ხელფასის გადარიცხვას ითხოვდი.**

- უბრალოდ, ყველაფრის ადამიანურად მოგვარება მსურს.

მოლდოვურ ვებგვერდს სერგეი ნუდნიმ განუცხადა, რომ ამერიკაში მეიჯორლიგის ერთ-ერთ კლუბში ელოდებიან. მისი განცხადებით, საქართველოს პასპორტიც შესთავაზეს, რაზეც უარი უთქვამს. *„მაშინ საქართველოს ნაკრებს ალენ ჟირესი ავარჯიშებდა, რომელსაც სურდა, რომ მათ ნაკრებში მეთამაშა. უარი ვუთხარი. საქართველოში იმიტომ არ ჩავსულვარ, რომ იქ სამუდამოდ დავრჩენილიყავი. ძლიერ ჩემპიონატში თამაში მსურდა. თანაც მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებში მითამაშია და მაინც არაფერი გამოვიდოდა“,* – ამბობს სერგეი ნუდნი.

დაბოლოს, „ზესტაფონთან“ კონტრაქტი უმთავრდება ბრაზილიელ ლეგიონერს, ცენტრალურ მცველ **სანტოსს** (ედსონ ოლივეირა დოს სანტოსი), რომელიც კლუბში ორი წლის წინ ჩაირიცხა.



სეგეი ნუდნი

*„კონტრაქტი მიმთავრდება და სამშობლოში უნდა დავბრუნდე. აღარ მინდა აქ ცხოვრება. ბრაზილია მომენატრა. იქ რომელიმე კლუბში ჩავირიცხები, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად და რომელში. აუცილებლად მოვძებნი კლუბს“,* – გვითხრა სანტოსმა. ჯერჯერობით კლუბში ირიცხება **ჟონატასი** (ჯონატას ოლივეირა ტორესი), მაგრამ ისიც ბრაზილიაში გაემგზავრა და მისი საკითხიც გადაწყვეტილია. „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** გულდაწყვეტილია: *„საქმე არც ჩემშია და არც „ზესტაფონის“ უპერსპექტივობაში. უბრალოდ, ყველას სურს უფრო კეთილმოწყობილ კლუბსა და გარემოში ცხოვრობა. თორემ ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ლეგიონერებს საკმაოდ კარგი პირობები აქვთ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

უქმეების მიმოხილვა

# მუჯირული უქმეები: დავითი საგოლე პასი, ამირანი დუბლი

## რატომ დასვეს კობიაშვილი?



დავით სირაძე (მარცხნივ)

რუსეთის ჩემპიონატი დასრულდა. „რუბინის" ქართული ტრიო გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა ჩემპიონებს ფინიში შეუფერებელი გამოუვიდათ. ამან ხელი არ შეუშალა „რუბინის" ხელმძღვანელობას „ლოკომოტივთან" თამაშის შემდეგ დიდი ზეიმი მოეწყო. სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავით მუჯირმა დაასრულა, რომელმაც ყაზანში საგოლე პასი მიითვალა.

წლის ბოლომდე უკრაინაში კიდევ ერთი ტური გაიმართება, თუმცა ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად უჭირს თავის გამოჩენა ქართულ ლეგიონს, არადა, იყო დრო...

აზერბაიჯანში აღარ ხუმრობს ამირან მუჯირი, რომელმაც კვლავ დუბლი მიითვალა და სეზონში გატანილი ბურთების რაოდენობა 9-მდე აიყვანა. „ბაქოს" შემტევი ნახევარმცველი აზერბაიჯანული პირველობის ბომბარდირობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. გოლით გამოიჩინა თავი რომან ახალკაცმაც („ოლიმპიკი"), ხოლო კახა ცხადაძემ ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. უფრო ვრცლად აზერბაიჯანში მოთამაშე ქართულ ლეგიონზე ხვალ მოგითხრობთ.

### ხიზანიშვილი ავად გამხდარა

„ბლექბერნ როვერსის" თავკაცმა **პოლ ინსმა** ამჯერად განაცხადშიც არ შეიყვანა **ზურაბ ხიზანიშვილი**, თუმცა მწვრთნელის ნდობა ჩვენებურს „ჩელსისთან" თამაშის გამო (როცა გაშვებულ გოლში ბრალი მიუძღოდა) არ ამოუწურავს – „ლანკაშირ ტელეგრაფის" ცნობით, ქართველი მცველის უთამაშებლობის მიზეზი ავადმყოფობაა. ის დაცვის ცენტრში კაპიტანმა **რაიან ნელსენმა** შეცვალა. „ბლექბერნი" „ტოტენჰემთან" დამარცხდა - 0:1. „როვერსი" 13 ქულით ბოლოსწინა, მე-19 ადგილზე დაეშვა.

სერია A-ს მორიგ ტურში „პალერმო" ქართველი ფორვარდის, **ლევან მჭედლიძის** გარეშე ეწვია „ბოლონიას" და 1:1 დაუზავდა. არადა, მჭედლიძე აღარაა ტრავმირებული და სათამაშოდ მზად არის. გვიან საღამოს „მილანი" „ტორინოს" ესტუმრა. **კახა კალაძე** სასტარტოში იყო. „მილანი" ტურინელებს დაუზავდა 2:2, კახა კალაძემ 90 წუთი ითამაშა, 77-ეზე მან ყვითელი ბარათი მიიღო.

### 5,5 იაშვილს, სკამი კობიაშვილს

ბუნდესლიგის მე-14 ტურში იმარჯვა **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკემ". გელზენკირხენელებმა შინ მიონხენგლადბახის „ბორუსია" დაამარცხეს – 3:1. სამწუხაროდ, „შალკე" ფონს უქართველოდ გავიდა. წინა ტურში ცუდი თამაში იყო მიზეზი, თუ საქართველოს ნაკრებში ჩატარებული შეხვედრის გამო გადაღლილობა, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, კობიაშვილმა ძირითადში ადგილი **კრისტიან პანდერს** გადაულოცა. ლევანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თუმცა მწვრთნელს იგი არც მეორე ტაიმში გახსენებია. ამ გამარჯვებამ „შალკე" 23 ქულით მეექვსე ადგილზე გადაიყვანა. „კარლსრუეს" (10 ქულა, ბოლოსწინა ადგილი) მარცხზე უკვე მოგითხრეთ. დავძენთ, რომ „შპორტალმა" **ალექსანდრე იაშვილის** გარჯა 5,5 ბალით შეაფასა. ეს მატჩში ყველაზე ცუდი შეფასებაა.

მეორე ბუნდესლიგის ტურმა გუშინ უქართველოდ ჩაიარა. **ოთარ ხიზანეიშვილი** და **დავით თარგამაძე** თავიანთი გუნდების განაცხადებში არ ყოფილან. ხიზანეიშვილის გარეშე „აუგსბურგმა" 1:0 მოუგო „კაიზერსლაუტერნს, ხოლო „ფრაიბურგი" თარგამაძის გარეშე დაუხვდა „კობლენცს" და დაუზავდა – 1:1. „ფრაიბურგი" 26 ქულით მესამეა, „აუგსბურგი" 18 ქულით მეცხრე ადგილამდე ამაღლდა. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი" დღეს ესტუმრება როსტოკის „ჰანზას".



ლევან გვაზავა(მარცხნივ)



ილია კანდელაკი (მარჯვნივ)

### ხელიდან გაშვებული შანსი

**გიორგი შაშიაშვილისა** და **ილია კანდელაკის** „შტურმმა" შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან – თუკი „შტურმი" ვენის „რაპიდს" დაამარცხებდა, ბუნდესლიგის ცხრილში პირველ ადგილზე გადავიდოდა. „შტურმი" 2:0-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და „რაპიდს" დაუზავდა – 2:2. ქართველთა გუნდს 39 ქულა აქვს და ქულით ჩამორჩება ლიდერ „ზალცბურგს". ილია კანდელაკმა და გიორგი შაშიაშვილმა ტრადიციულად 90-90 წუთი ითამაშეს.

ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში 20 ქულით ბოლოსწინა ადგილზე ლუსტენაუს „აუსტრიაა", რომლის რიგებშიც დიდი ხანია არ გამოჩენილა 20 წლის **მირზა ბჟალავა.**

გამბრინუსლიგაში **გიორგი განუგრავას** „მლადა ბოლესლავმა" 1:0 დაამარცხა „ბოჰემიანსი". განუგრავას არ უთამაშია. სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა პლზენის „ვიქტორიის" ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი.** ვერ ვიტყვით, რომ წარმატებულად, ერთი რომ „პლზენი" „კლადნოსთან" დამარცხდა, მეორეც – დიმიტრი შესვენებისას შეცვალეს.

სლოვაკეთში კვლავ დამარცხდა **ირაკლი ლილუაშვილის** „ნიტრა", რომელიც მე-17 ტურში ტრნავის „სპარტაკს" ესტუმრა – 1:3. ირაკლი ლილუაშვილი ამჯერად არ გამოჩენილა. „ნიტრა" კი 15 ქულით უკვე ბოლოსწინა ადგილზე დაეშვა.

დანიაში მატჩების უმეტესობა ცუდი ამინდის გამო გადაიდო, თუმცა მეორე დივიზიონში „ვიბორგისა" და „ფრემის" შეხვედრა ჩატარდა და მასპინძელმა 4:0 მოიგო. **გიორგი ფოფხაძე** დაუბრუნდა „ვიბორგს" და 74-ე წუთამდეც ითამაშა. „ვიბორგი" 29 ქულით მეორე ადგილზეა და თუ სეზონის ბოლომდე ამ ადგილს შეინარჩუნებს, უმაღლეს დივიზიონში დაბრუნდება.

### მუჯირი საგოლე პასით ასრულებს

შაბათს დასრულდა რუსული პრემიერლიგის მორიგი ჩემპიონატი. ბოლო ტურში გასარკვევი ბევრიც არ იყო. ჩემპიონი „რუბინი" შინ 1:2 დამარცხდა მოსკოვის „ლოკომოტივთან", თუმცა ამის გამო არავის უდარდია. მატჩის შემდეგ სტადიონზე დიდი კონცერტი გაიმართა. ფეხბურთელებს ოქროს მედლები თავად თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **მინტიმერ შაიმიევმა** ჩამოჰკიდა. მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია არც ერთს ქართული ტრიოდან. მხოლოდ **ნუკრი რევიშვილი** იყო მატჩის განაცხადში, **დავით კვირკველია** თამაშს ტრავმის გამო ტოვებდა, ვერ ვიხილეთ **ლაშა სალუქვაძეც**. სტუმართა რიგებში ითამაშა **დავით მუჯირმა**, რომელიც 85-ე წუთზე შეცვალეს. ქართველმა ნახევარმცველმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა – მე-14 წუთზე მან მარჯვენა ფლანგიდან მოძებნა **პიტერ ოდემვინგიე** – აფრიკელმა გაიტანა. 30-ე წუთზე მას შეეძლო ანგარიშში სხვაობის ორამდე გაზრდა, ქართველმა საჯარიმოს ხაზზე ჩამოიცილა მცველი, მთელი ძალით დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. championat.ru-მ მუჯირს 6 ბალი დაუწერა. „რუბინმა" ჩემპიონატი 60 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა, „ლოკომოტივს" 47 ქულა დაუგროვდა, რაც მხოლოდ მე-7 ადგილს ეყო.

ნალჩიკის „სპარტაკი" „სატურნს" ეწვია და დაუზავდა – 1:1. „სატურნი" **გოგიტა გოგუას** ყოფილი კლუბია, თუმცა ის რამდენიმე ტურია, „სპარტაკში" აღარ თამაშობს, ასე რომ, არც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უთამაშია. ვფიქრობთ, უკვე „სპარტაკზეც" თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოგიტა გოგუას ყოფილი გუნდია. **ალეკო ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **დავით სირაძე** 73-ე წუთზე შეცვალეს. ამისულაშვილმა 6 ბალი მიიღო „სატურნთან" თამაშისთვის, სირაძემ – 6,5. „სპარტაკმა" ჩემპიონატი 32 ქულით მე-12 ადგილზე დაასრულა. ბოლო ტურში მარცხით ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია" ჩემპიონატს უკანასკნელ ადგილით (21 ქულა) დაემშვიდობა. შორეული აღმოსავლეთის გუნდი „მოსკვას" ესტუმრა და 0:3 წააგო. **ლევან გვაზავამ** შეუცვლელად ითამაშა.

### სასტარტოში მხოლოდ გურული

უკრაინული ვიშა ლიგის მორიგ ტურში „კარპატი" ლვოვში დაუზავდა დონეცკის „მეტალურგს". **სანდრო გურული** მატჩის მიწურულს, 84-ე წუთზე შეცვალეს. ოდესის „ჩერნომორეცი" კიევში „არსენალთან" 0:1 დამარცხდა. **კახა მუავანაძე** სათადარიგო იყო. „დნიპრო" სიმფეროპოლის „ტავრიას" უქართველოდ დაუხვდა. **ჯაბა კანკავა** ტრავმირებულია, ხოლო **სანდრო კობახიძე** ძირითად გუნდში ვერ ხვდება. სტუმართა ქართველები კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ: **ვასილ გიგიაძე** და **ლადო ბურდული.** გიგიაძე მწვრთნელმა მატჩის 84-ე წუთზე შეიყვანა. „ტავრიამ" ერთბურთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა – 1:0. **მალხაზ ასათიანის** „დინამოს" მატჩი 5 დეკემბრისთვისაა გადატანილი.

### ქეცბაიას სავიომ მოაგებინა

კვიპროსის პირველი დივიზიონის მორიგ ტურში **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისს" ბრაზილიელმა **სავიომ** მოაგებინა. ჩემპიონი „აპოლონს" ეწვია და 2:1 აჯობა, გადამწყვეტი გოლი სწორედ ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გაიტანა. ამ შეხვედრაში ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ – მასპინძლებს **ლევან მაღრაძე** აკლდათ, ქეცბაიას ამჯერად შეცვლაზე აღარ შეუყვანია **კლიმენტი წიტაიშვილი. ლევან ქებაძის** „ეთნიკოსმა" სტუმრად 2:1 მოუგო აპოპ-ს. ქებაძემ პირველი 70 წუთი ითამაშა. „ანორთოსისი" 25 ქულით ლიდერობს, „ეთნიკოსი" 17 ქულით მეოთხეა და ქულით უსწრებს „აპოლონს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XII ტური

# ბარსა ხეტაფემ შეაჩერა

## კატალონიელებს მესის გარეშე გაუჭირდათ



**ბერნდ შუსტერი** დასამარებას გადაურჩა. როგორც იცით, გერმანელ სპეციალისტს 5-მატჩიანი ვადა მისცეს, მაგრამ „რეკრეატივოსთან" საშინაო შეხვედრა რომ ვერ მოეგო, დარჩენილი 4 ორთაბრძოლის ჩატარებას მას ალარავინ აცდიდა. ერთი შეხედვით, სამეფო კლუბს პრიმერა დავიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერის დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მადრიდელებმა 3 ქულა დიდი წვალებით მოიპოვეს. თავად ესპანელი ჟურნალისტები აღიარებენ, რომ „რეკრეატივო" წაგებას არ იმსახურებდა. სტუმრები ფრთხილად, მაგრამ გააზრებულად თამაშობდნენ. კაცმა რომ თქვას, ის ერთადერთი გაშვებული გოლიც უილბლობით იყო განპირობებული. 39-ე წუთზე **ვესლი სნეიდერის** მიერ დარტყმული ბურთი **ბეტოს** მოხვდა და უელველთა მეკარე **რიესგომ** რეაგირება ველარ მოასწრო.

**რუუდ ვან ნისტელროის** ტრავმის გამო **რაული** „რეალის" ცენტრფორვარდად მოგვევლინა, თუმცა გონსალეს ბლანკომ ლირებული ვერაფერი გააკეთა. **იგუაინი** მასზე ბევრად უფრო აქტიურად და კარგად თამაშობდა, მაგრამ არგენტინელმა ფორვარდმა მეორე ტაიმის 79-ე წუთზე ტრავმა მიილო და მოედანი დატოვა. სამეფო კლუბის ექიმების თქმით, გონსალო სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას გამოტოვებს. მისი ტრავმა შუსტერისთვის დამატებითი პრობლემაა. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ვან ნისტელროის ტრავმამ „რეალი" ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. „რეკრეატივოსთან" მატჩზე მოკლედ კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მასპინძლები გაუაზრებელ და ქაოსურ ფეხბურთს თამაშობდნენ. ეს ფაქტი, კი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შუსტერის გუნდი სერიოზულმა კრიზისმა მოიცვა. პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** მომდევნო 5 მატჩის მოგებისთვის 120-ათასიანი პრემია კი დაანესა, მაგრამ თუ თამაშის ხარისხი არ გაუმჯობესდება, იმ თანხას სამეფო კლუბის სალაროდან გასვლა არ უწერია.

შუსტერმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კრიზისის არსებობის ფაქტი დაადასტურა, მაგრამ თავი იმით იმართლა, რომ ჩემმა ბიჭებმა ამ კრიზისულ სიტუაციაში ძალიან კარგად ითამაშესო: *„რამონ კალდერონისა და პრედრაგ მიატოვიჩის მოსალოდნელ გადაწყვეტილებაზე ვერაფერს ვიტყვი. ეს არ არის ჩემი საქმე და რამდენიც არ უნდა მთხოვოთ, მაინც არ ვილაპარაკებ. მირჩევნია, დღევანდელ შეხვედრაზე ვილაპარაკო. რა თქმა უნდა, ბევრი წუნი გვქონდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ახლა გუნდი კრიზისშია, მგონდი ცუდად არ გამოვიყურებოდით. ყოველ შემთხვევაში, მატჩის მსვლელობას პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ჩვენ ვაკონტროლებდით. სტუმართა ცალკეულ იერიშებს თუ არ ჩავთვლით, სანერვიულო არაფერი გვქონია. მეტად რომ გაგვემართლებოდა, უფრო დიდი ანგარიშით გავიმარჯვებდით. აქვე არ შემიძლია, გახშირებული ტრავმების გამო წუხილი არ გამოვთქვა. იგუაინის ტრავმა კატასტროფაა. გონსალო ჩვენ ჰაერივით გვჭირდება. მას კი საუკეთესო შემთხვევაში უახლოესი დღეების გატარება სამედიცინო კაბინეტში მოუწევს. მიჭირს გახშირებული ტრავმების მიზეზის მოძებნა. ეს ალბათ, უილბლობის ბრალია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ თანამედროვე მეთოდებით ვემზადებით და ვერავინ იტყვის, რომ ხშირი ტრავმები ფიზმომზადების სპეციალისტების ბრალია."*

„ვალიადოლიდი" ალარ ხუმრობს. კასტილიურმა გუნდმა მეთერთმეტე ტურში „რეალი" დაამარცხა. ახლა კი პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერს, „ვილიარეალს" გასვლით შეხვედრაში სძლია. აღსანიშნავია, რომ „ვალიადოლიდმა" მიმდინარე სეზონში სტუმრად პირველად გაიმარჯვა. „ვილიარეალმა" კი – პირიქით, წლევანდელ პრიმერა დივიზიონში პირველად წააგო. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებს მომდევნო შეხვედრის გამართვა „მანჩესტერ იუნაიტედთან" უწევთ. ამის გათვალისწინებით, საშუალო შესაძლებლობების მქონე „ვალიადოლიდთან" წაგება ორმაგად სავალალოა. დაკარგულ 3 ქულას თავი რომ დავანებოთ, „ყვითლებმა" „წითელ ეშმაკებთან" შერკინების წინ გ..ნწყობა გაიუარესეს. ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს არ იყო „ვილიარეალის" დღე. მასპინძლებს, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდათ. მათ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს, რაც ძალიან ძვირად დაუჯდათ. „ვალიადოლიდი" კი პირიქით, ძალიან პრაგმატულად და წინდახედულად თამაშობდა. სტუმრები მოედნის თითოეული გოჯისთვის შეუპოვრად იბრძოდნენ. ხშირი იყო უხეში შეტაკებები, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ 3 ფეხბურთელი გააფრთხილა. „ვალიადოლიდის" გამარჯვებაში **სესმამ** განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობთ, რომ მან დუბლი შეასრულა. უბრალოდ, კასტილიელთა გარემარბი მთელი თამაშის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო და **დიეგო ლოპესის** კარს საფრთხეს ხშირად უქმნიდა. სხვათა შორის, მისი გამოზომილი პასებით „ვალიადოლიდის" სხვა ფეხბურთელებსაც შეეძლოთ გატანა. სესმას დუბლს მეორე ტაიმის დებიუტში **პედრო ლეონმა** კიდევ ერთი გოლი შემატა. „ვილიარეალი" მზად არ აღმოჩნდა, რომ არცთუ დიდ დროში სამბურთიანი ჰანდიკაპი ამოექაჩა.

**მანუელ პელეგრინი** ძალიან ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ ჩილელი სპეციალისტი თავსაც იმშვიდებმდა და სხვებსაც სიმშვიდისკენ მოუწოდებდა: *„წაგება ძალიან ცუდია, მაგრამ ამისგან არავინაა დაზღვეული. აქამდე პრიმერა დივიზიონში დაუმარცხებლად მოვდიოდით და გულუბრყვილოები უნდა ვყოფილიყავით, რომ გვეფიქრა, სეზონის ბოლომდე ერთ თამაშსაც არ წავაგებთო. ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, დავმარცხდებოდით. ამიტომ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს მოვუწოდებ, იმედი არ დაკარგონ და თავიანთი საქმე აკეთონ. ახლა მთავარია, ოპტიმიზმი დავიბრუნოთ და „მანჩესტერთან" საბრძოლველად მოვემზადოთ. თუ იმ თამაშს მოვიგებთ, დღევანდელი ნარუმატებლობა არავის გაახსენდება."*

„სევილიისა" და „ვალენსიის" დაპირისპირებამ ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობა დაგვიტოვა. ერთმანეთს მაღალი დონის გუნდები დაუპირისპირდნენ, მაგრამ ორივე კოლექტივს რალაც დააკლდა, რის გამოც ლამაზი სანახაობა ვერ ვიხილეთ. **დავიდ ვილიასთვის ანდრეს პალოპი** ისევ უხერხულ მეკარედ რჩება. საქმე ის არის, რომ ვილიას „სევილიის" მეკარისთვის პრიმერა დივიზიონში ერთი გოლიც არ გაუტანია.

საყაიმო შედეგით ორივე მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მათი შეფასებები, ფაქტობრივად, არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. **მანოლო ხიმენესი** ამბობდა, ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და უნდა მოგვეგოო, **უნაი ემერი** კი აცხადებდა, რომ „ვალენსიამ" მეტი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და 3 ქულას სწორედ ის იმსახურებდა.

იმას, რაც „ატლეტიკომ" ჩაიდინა, უპასუხისმგებლობა, თავხედობა და ალბათ, ინფანტილიზმი ჰქვია. მადრიდელები ბედისწერას ეკეკლუცებოდნენ და მწარედაც დაისაჯნენ. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ ნებისმიერი მატჩი საფინალო სასტვენამდე გრძელდება. შეხვედრის დასრულებას ზუსტად ათი წამი აკლდა, როცა მადრიდელთა მცველმა **პერეამ ბარკერო** საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტი აიკიდა. 11-მეტრიანი თავად ბარკერომ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მცირე ხნით ადრე, საჯარიმოში **ასუნსაომაც** დაარღვია წესები, მაგრამ მაშინ მსაჯმა „როხიბლანკო" აშკარა პენალტისგან დაინდო. როცა ბედისწერასთან კეკლუცობაზე ვსაუბრობდით, მხოლოდ 11-მეტრიანს არ ვგულისხმობდით. საქმე ის არის, რომ დაცვაში არხეინი და უპასუხისმგებლო თამაშის გამო, **ლეო ფრანკო** უამრავ გოლს გადაურჩა. მაგალითად, **ორტეგამ** და **ნაგორემ** მისი კარის ძელი შეაზანზარეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დედაქალაქელები ყაიმითაც კმაყოფილი უნდა იყვნენ. არადა, ორი ქულის დაკარგვით „ატლეტიკომ" „ვილიარეალთან" და „ვალენსიასთან" მიახლოების შანსი გაუშვა ხელიდან.

„ბეტისმა" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. არანაკლებ შთამბეჭდავია, რომ ანდალუსიელებმა გასვლაზე ზედიზედ მესამე ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს. ამ გუნდის პროგრესი აშკარაა. ამაზე სატურნირო მდგომარეობის დინამიკა ყველაზე ნათლად მეტყველებს.

„ოსასუნამ" ჯოჯოხეთის ცეცხლში გამოიარა და მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ეს წარმატება **ხოსე ანტონიო კამაჩოსთვის** განსაკუთრებით სასიხარულო და ღირებულია. გამოცდილი სპეციალისტი თანამდებობიდან გადაყენებას გადაურჩა, თანაც მეექვსასე პრიმერადივიზიონური დაპირისპირება მოგებით აღნიშნა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ხეტაფე" „ბარსელონისთვის" უხერხული მეტოქეა. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდულ კლუბს უამრავი პრობლემა აქვს და მისი მთავარი მწვრთნელის, **ვიქტორ მუნიოსის** ბედი ჰაერშია გამოკიდებული, სტუმრებმა ძალიან მოინდომეს და კატალონიურ გრანდს ზედიზედ მეათე გამარჯვების მოპოვების საშუალება არ მისცეს.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მასპინძლებმა უალრესად შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზეს. **ანდრეს ინიესტას** ამბავი ისედაც ყველამ იცოდა, მაგრამ, რაც მთავარია, „ხეტაფესთან" „ბარსას" **ლეო მესიც** ვერ დაეხმარა. მართალია, კატალონიელები დიდი ძალებით უტევდნენ, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ მესი შეუცვლელი ფიგურაა. **ხოსეპ გვარდიოლამ** მის ნაცვლად **ბოიან კრკიჩი** დააყენა. ახალგაზრდა ფორვარდს გოლის გატანის შანსი კი ჰქონდა, თუმცა გამოცდილებამ უმტყუნა და გუნდს ბევრი ვერაფრით შეეხიდა. ასე იყო თუ ისე, „ბარსელონამ" ზედიზედ 9 თამაშის მოგების შემდეგ წაიფორხილა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

30 ნოემბერი. ბილბაო-ნუმანსია, ატლეტიკო-რასინგი, ესპანიოლი-სპორტინგი, სევილია-ბარსელონა, ვალიადოლიდი-მალიორკა, ვალენსია-ბეტისი, ალმერია-დეპორტივო, ხეტაფე-რეალი, მალაგა-ოსასუნა, რეკრეატივო-ვილიარეალი.

### რეალი-რეკრეატივო 1:0

**რეალი:** კასილიასი, ტორესი, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო, გაგო, სნეიდერი, გუტი, ვან დერ ვაარტი, იგუაინი (79. სავიოლა), რაული (85. ბუენო).

**რეკრეატივო:** რიესგო, იაგო ბუსონი, მორისი, ბეტო, კასადო, სისი (76. აიტორი), ხავი ფუეგო, ხესუს ვასკესი, აკალე (53. ერსენ მარტინი), კამუნიასი, ხავი გერერო (67. ადრიან კოლუნგა).

**გოლი:** 1:0 სნეიდერი (39)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 23(7)-7(2); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 17-22; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 68 000

### ვილიარეალი-ვალიადოლიდი 0:3

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო, სიგანი, კაპდევილია, კასორლა (66. კანი), მარკოს სენა (46. იბაგასა), ეგურენი, პირესი, ფრანკო, როსი (46. მატი ფერნანდესი).

**ვალიადოლიდი:** ასენხო, პედრო ლოპესი, ლუის პრიეტო, გარსია კალვო (88. ბარახა), მარკოსი, ალვარო რუბიო, ვივარ დორადო, პედრო ლეონი, კანობიო (77. ოსკარ სანჩესი), სესმა, ვიქტორი (89. ჰარისი).

**გოლები:** 0:1 სესმა (24), 0:2 სესმა (44), 0:3 პედრო ლეონი (45)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13(4)-15(7); **კუთხური:** 7-4; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 14-25; **ბურთის ფლობა:** 54%-47%

**მაყურებელი:** 17 000

### სევილია-ვალენსია 0:0

**სევილია:** პალოპი, მოსკერა, სკილაჩი, დავიდ პრიეტო, ფერნანდო ნავარო, ხესუს ნავასი, დუშერი (46. მარესკა), რომარიკი (81. რენატო), ადრიანო (73. დიეგო კაპელი), ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**ვალენსია:** რენანი, მიგელი, რაულ ალბიოლი, ალექსისი, მორეტი (76. მადურო), მარჩენა, ბარახა, მანუელ ფერნანდეში (75. ედუ), ხოაკინი (88. პაბლო ერნანდესი), ვილია, მატა.

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 18(3)-15(2); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 12-21; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 40 000

### რასინგი-ესპანიოლი 3:0

**რასინგი:** ტონიო, სესარი, გარაი, ივან მარკანო, ვალერა, მეჰდი რასენი, გონსალო კოლსა (66. ლუქსენი), ოსკარ სერანო, მუნიტისი, ჯონათანი, ჩიტე (75. ხუანხო/80. სერხიო კანალესი).

**ესპანიოლი:** კამენი, ლაკრუსი, ხარკე, ბერანჟე, ფინენი, მოისეს ურტადო, ანხელი, ნენე (69. კორო), ვალდო, რაულ ტამუდო (69. კალეხონი), ლუის გარსია (78. ჯონათანი).

**გოლები:** 1:0 ივან მარკანო (10), 2:0 ოსკარ სერანო (26), 3:0 ჯონათანი (58)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18(4)-9(3); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 24-20; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 16 500

### ნუმანსია-ატლეტიკო 1:1

**ნუმანსია:** ხუან პაბლო, ორტეგა, პავონი, დომინგო, ხუანრა, მორენო (65. ლორენსი), ნაგორე, ა. ეჩებერია, ბარკერო, კერო, დელ პინიო (77. ბრიტი).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, უიფალუში, ჰეიტინგა, მარიანო პერნია, პერეა, პაბლო ასუნსაო, მანიშე, სიმაო (87. ლუის გარსია), მაქსი როდრიგესი (82. რაულ გარსია), აგუერო (78. სინამა-პონგოლე), ფორლანი.

**გოლები:** 0:1 ფორლანი (34), 1:1 ბარკერო (90-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 17(5)-9(4); **კუთხური:** 5-6; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 15-16; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 10 000

### ოსასუნა-ალმერია 3:1

**ოსასუნა:** რობერტო, სესარ კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, ოიერი, ასპილიკუეტა, ნექუნამი, პუნიალი, პანდიანი (40. პორტილიო), ესკერო (90. ვადოჩი), შოჯაეი (62. დელპორტი), ხუანფრანი.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, ბადიასი, გილერმე, ბრუნო, ხუანიტო, პიატი, მოსკერა, მანე, ნეგრედო (63. სორიანო), ხოსე ორტისი (82. ნატალიო).

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (7-პენ), 1:1 პანდიანი (14), 2:1 პელერანო (71-საკ. კარში), ვადოჩი (90)

**გაძევება:** გილერმე (9. ალმერია)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 17(8)-7(2); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 16-19 **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 15 000

### მალიორკა-მალაგა 2:2

**მალიორკა:** ლუქსი, დავიდ ნავარო, ივან რამისი, კორალესი, ხოსემი, კლებერ სანტანა, ლუის მარტი, ადურისი (46. ვებო), ა. კეიტა (67. ვარელა), ხურადო, არანგო.

**მალაგა:** ინიაკი გოიტია, რობსონი, კუადრადო, კალეხა, გამესი, მიგელ ანხელი, აპონიო, ადრიანი (88. ლუკე), ბაა (85. ლოლო), ელისეუ, დუდა (79. ნაჩო).

**გოლები:** 0:1 ივან რამისი (12-საკ. კარში), 1:1 ხოსემი (18), 1:2 ბაა (24), 2:2 ვებო (67)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 27(11)-14(5); **კუთხური:** 9-1; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 20-17; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** !4 000

### სპორტინგი-ბეტისი 1:2

**სპორტინგი:** პიჩუ, სოტო (75. ანდრეუ), ხერარდი, კანელია, სასტრე, დიეგო კამაჩო, მატაბუენა, ბილიჩი, ბარალი, დიეგო კასტრო (79. კიკე მატეო), ლუის მორანი (70. გარსია).

**ბეტისი:** კასტო, ხუანიტო, არსუ, მონსონი, ნელსონი, კაპი, მეჰმეთ აურელიო, სერხიო გარსია, ემანა (84. მელი), ხუანმა, დამია.

**გოლები:** 1:0 დიეგო კასტრო (26), 1:1 მონსონი (52), 1:2 ემანა (59)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 22(8)-15(7); **კუთხური:** 6-8; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 23-12; **ბურთის ფლობა:** 34%-67%

**მაყურებელი:** 7 000

### ბარსელონა-ხეტაფე 1:1

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, პიკე, პუიოლი, სილვინიო (72. გუდიონსენი), დანიელ ალვეში, იაია ტურე, ს. კეიტა, ჩავი, გლები (56. პედრო), ეტო'ო, კრკიჩი (56. ანრი).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, მარიო, დანიელ დიასი, პოლანსკი, ლიხტი (68. როპესი), კონტრა, კასკერო (82. სელესტინი), მარტინესი, გრანერო (64. კორტესი), ალბინი, მანუ.

**გოლები:** 0:1 მანუ (19), 1:1 ს. კეიტა (71)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(4)-7(4); **კუთხური:** 11-4; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 17-18; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 78 000

### დეპორტივო-ბილბაო 3:1

**დეპორტივო:** არანსუბია, ადრიან როდრიგესი, ზე კასტრო, კაზმირსკი, მანუელ პაბლო, ხუან როდრიგესი, ა. ტომასი (64. სერხიო), ბოდიპო (46. მისტა), ვერდუ, გუარდადო, ლაფიტა (86. კრისტიანი).

**ბილბაო:** ირაისოსი, ამორებიეტა, აიტორ ოსიო, ბალენსიაგა, ირაოლა, ხ. მარტინესი, ორბაისი, ფ. ლორენტე, გარმენდია (46. ხ. ეჩებერია), სუსაეტა (84. დელ ოლმო), დავიდ ლოპესი (57. იონ ველესი).

**გოლები:** 1:0 ზე კასტრო (20), 2:0 ვერდუ (44-პენ), 2:1 ხავიერ მარტინესი (72), 3:1 გუარდადო (90+4)

*25-ე წუთზე ირაოლამ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 19(10)-19(6); **კუთხური:** 10-7; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 15-18; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 27 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 12 | 9 | 2 | 1 | 37-9 | 29 |
| 2. რეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 29-17 | 26 |
| 3. ვილიარეალი | 12 | 7 | 4 | 1 | 21-14 | 25 |
| 4. ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 25-12 | 24 |
| 5. სევილია | 12 | 7 | 3 | 2 | 18-8 | 24 |
| 6. ატლეტიკო | 12 | 5 | 3 | 4 | 24-18 | 18 |
| 7. დეპორტივო | 12 | 5 | 3 | 4 | 13-14 | 18 |
| 8. ბეტისი | 12 | 5 | 2 | 5 | 18-15 | 17 |
| 9. ვალიადოლიდი | 12 | 5 | 1 | 6 | 13-17 | 16 |
| 10. რასინგი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-15 | 15 |
| 11. მალაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 17-21 | 15 |
| 12. ალმერია | 12 | 4 | 3 | 5 | 14-20 | 15 |
| 13. სპორტინგი | 12 | 5 | 0 | 7 | 20-27 | 15 |
| 14. ხეტაფე | 12 | 3 | 5 | 4 | 11-15 | 14 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-19 | 13 |
| 16. ესპანიოლი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-18 | 12 |
| 17. ნუმანსია | 12 | 3 | 2 | 7 | 15-25 | 11 |
| 18. ბილბაო | 12 | 2 | 3 | 7 | 13-23 | 9 |
| 19. ოსასუნა | 12 | 1 | 5 | 6 | 6-12 | 8 |
| 20. რეკრეატივო | 12 | 1 | 4 | 7 | 5-18 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - ეტო'ო (ბარსელონა); 11 - ვილია (ვალენსია); 9 - იგუაინი (რეალი); 8 - ნეგრედო (ალმერია); 7 - მესი (ბარსელონა); 6 - ბილიჩი (სპორტინგი), ხ. ლორენტე (ვილიარეალი), ფორლანი (ატლეტიკო); 5 - რაული (რეალი), ჩიტე (რასინგი), მატა (ვალენსია), ბარკერო (ნუმანსია), როსი (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

XIII ტური

**კორდობა-ალბასეტე** 1:0

გოლი: 1:0 იბონ ბეგონია (67-საკ. კარში)

**ერკულესი-კასტელონი** 0:0

**ლას პალმასი-ტენერიფე** 0:1

გოლი: 0:1 ალფარო (31)

**მურსია-ხიმნასტიკი** 1:1

გოლები: 0:1 ხანდრო (28), 1:1 ალონსო (65)

**სევილია II-ხერესი** 1:2

გოლები: 0:1 ბერმეხო (36), 0:2 მომო (40), 1:2 უგო (56)

**სარაგოსა-ეიბარი** 3:0

გოლები: 1:0 ევერტონი (3), 2:0 ევერტონი (59), 3:0 აიალა (71)

**ალავესი-ხირონა** 1:0

გოლი: 1:0 ასტუდილიო (35)

**ელჩე-სალამანკა** 3:1

გოლები: 1:0 ნინიო (55), 2:0 ტორიხოსი (72), 2:1 მარტინი (84-პენ), 3:1 საული (86)

**ლევანტე-სელტა** 1:3

გოლები: 1:0 გეიხო (13), 1:1 ფახარდო (14), 1:2 დინეი (60), 1:3 დინეი (79)

**ვალეკანო-ალიკანტე** 0:0

**სოსიედადი-უესკა** 1:0

გოლი: 1:0 კასტილიო (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სალამანკა | 13 | 7 | 3 | 3 | 17-13 | 24 |
| 2. ხერესი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-13 | 24 |
| 3. სარაგოსა | 13 | 6 | 4 | 3 | 24-14 | 22 |
| 4. ერკულესი | 13 | 5 | 7 | 1 | 15-6 | 22 |
| 5. კასტელონი | 13 | 5 | 6 | 2 | 19-13 | 21 |
| 6. ვალეკანო | 13 | 5 | 6 | 2 | 18-14 | 21 |
| 7. ტენერიფე | 13 | 6 | 2 | 5 | 22-19 | 20 |
| 8. სოსიედადი | 13 | 4 | 7 | 2 | 13-10 | 19 |
| 9. სელტა | 13 | 4 | 6 | 3 | 15-14 | 18 |
| 10. უესკა | 13 | 4 | 5 | 4 | 17-15 | 17 |
| 11. ალბასეტე | 13 | 4 | 5 | 4 | 15-15 | 17 |
| 12. ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 11-11 | 17 |
| 13. ხიმნასტიკი | 13 | 3 | 7 | 3 | 19-16 | 16 |
| 14. კორდობა | 13 | [illegible] | 4 | 5 | 14-16 | 16 |
| 15. ლევანტე | 13 | 4 | 4 | 5 | 16-21 | 16 |
| 16. ალავესი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-24 | 16 |
| 17. ლას პალმასი | 13 | 3 | 6 | 4 | 15-14 | 15 |
| 18. ელჩე | 13 | 3 | 5 | 5 | 13-14 | 14 |
| 19. ეიბარი | 13 | 3 | 4 | 6 | 9-19 | 13 |
| 20. მურსია | 13 | 3 | 3 | 7 | 11-19 | 12 |
| 21. ალიკანტე | 13 | 1 | 6 | 6 | 11-20 | 9 |
| 22. სევილია B | 13 | 1 | 4 | 8 | 8-21 | 7 |

იტალია სერია A XIII ტური




# ეძღვნება მორატის

ტურის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება სერია A-მ უკვე შაბათს მოიღლია. იტალიური დერბი, ზეპრინციპულ მეტოქეთა ჯახი, მეტადრე, ბოლო სამი წლის მოვლენების გამო, რაც „კალჩოპოლის" ყბადაღებულ სკანდალს უკავშირდებოდა... „ინტერი"-„იუვე" ეგებ უფრო მეტია, ვიდრე მილანური ან რომაული დერბი და გუშინწინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რაღაც დოზით ეს მართლაც ასეა...

პირადად **კლაუდიო რანიერისთვისაც** ერთოდ საინტრიგო და ღირსების საქმე იყო **ჟოზე მოურინიოსთან** შეტოქება. იმ მოურინიოსთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ თავის უფროს კოლეგას „მოხუცი, იდეებისგან დაცლილი და წარუმატებელი მწვრთნელი" უწოდა. ეს ჟოზეს სტილია. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, საინტერესოა, რანიერიმ თუ შეძლო „განსაკუთრებული" კაცის მოსაზრებათა გაბათილება? ვერა, ვერ შეძლო. „იუვენტუსი", რომელმაც ბოლო პერიოდში ფორმა დაიბრუნა, ამჯერად მართლაც დაცლილი იყო იდეებისგან - ვერაფერი შესძინა გუნდს **ნედვედმა, ამაურიმ მატერაცისა** და **სამუელის** მარწუხებიდან თავი ვერა და ვერ დააღწია, **დელ პიერო** კი ეულად ცდილობდა რაღაცის შექმნას, მაგრამ „ინტერის" ბედად ვერც ჯარიმა დაიდო ისეთი ადგილიდან, საიდანაც ალექსი შედევრის შექმნას შეეცდებოდა. სხვა მხრივ, გამოვყოფდით მცველ **კიელინისა** და მეკარე **მანინგერს**, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. მაგრამ ავსტრიელ კიპერს ვერ გავამართლებთ გოლის ეპიზოდში, როცა მსაჯს თამაშგარეზე (რომელიც არ ყოფილა) ანიშნებდა, ამასობაში კი **მუნტარიმ** მშვიდად შეაგორა ბურთი ტურინელთა კარში...

რანიერი იმით თუ გაიმართლებს თავს, რომ ძირითადი შემადგენლობის 5 მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული და გუშინ ამათ **ტიაგოც** დაემატა, რომელმაც მე-4 წუთზე დატოვა მოედანი. რაც შეეხება „ინტერს", მოურინიომ რამდენიმე მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ერთ-ერთი იყო **ადრიანოს** ძირითადში დაყენება. მოულოდნელი იმდენად, რამდენადაც ცოტა ხნის წინ „იმპერატორმა" კიდევ ერთხელ აიწყვიტა - რეჟიმი დაარღვია და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ „მოუ" მას განაცხადში არ შეიყვანდა, სულაც სასტარტოში გაამწესა. აი, როგორ ახსნა ეს „ინტერის" თავკაცმა: *„ისეთი მცველების პირისპირ, როგორებიც ლეგროტალიე და კიელინი არიან, სწორედ ადრიანოს დარი „ცხოველი" გვჭირდებოდა. ის ძალიან ძლიერია. ადრიანო ერთ-ერთი იყო, ვინც გამარჯვების გოლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, ამას გარდა, ეხმარებოდა დაცვასაც და ამან უზომოდ გამახარა".*

საერთო ჯამში „ინტერმა" მეტოქეზე გაცილებით უკეთ ითამაშა. „ნერაძური" მოედნის ცენტრში დროს არ კარგავდა. ნახევარმცველებს გრძელი გადაცემებით გარღვევაზე გაჰყავდათ ადრიანო და **იბრაჰიმოვიჩი**. პლუს ამას, ეს უკანასკნელი ძალზე სახიფათო იყო დამხმარე ფორვარდის როლშიც - ხშირად გადადიოდა ფლანგზე, ხოლო მის ადგილს **სტანკოვიჩი** იკავებდა. მე-20 წუთზე სწორედ სტანკოვიჩს ჰქონდა რეალური შანსი, მაგრამ წამით დააყოვნა და კიელინიმ სიტუაცია განმუხტა. გოლამდე ბრწყინვალე მომენტი ჰქონდა იბრასაც, როცა მანინგერთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. აქვე ვთქვათ იმ ეპიზოდზეც, როცა დელ პიეროს თავურის შემდეგ **ჟულიო სეზარმა**, ფაქტობრივად, „მკვდარი" ბურთი მოიგერია...

ახლა ისევ მოურინიოს კომენტარი: *„ძლიერ მეტოქეს ვაჯობეთ და ამით ძალიან გახარებული ვარ. ეს იყო საოცარი ტაქტიკური ჭიდილი. ამას გარდა, ჩვენ ვაჩვენეთ ისეთი მტკიცე ხასიათი, როგორიც ამ ტიპის მატჩების მოსაგებადაა საჭირო. ამ გამარჯვებას ვუძღვნით ჩვენს პრეზიდენტ მასიმო მორატის, რომელიც „ინტერის" თითოეულ წარმატებაზე, თვით უბრალოზეც კი, ბავშვივით ხარობს".*

ბოლოს რანიერისეული შეჯამებაც: *„უნდა ვაღიაროთ, რომ „ინტერმა" უკეთ ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა, რასაც გულწრფელად ვულოცავ. რაც შეეხება თამაშს... სამწუხაროდ, ეს არ იყო ჩემი „იუვენტუსი", ნამდვილი „იუვენტუსი"... დიახ, მეტოქემ პირველივე წუთებიდან სასტიკ წნეხში მოგვაქცია და გვაიძულა, გვეთამაშა ისე, როგორც არ ვგეგმავდით. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეგვეძლო ნაგების თავიდან აცილება. უპატიებელი შეცდომები დავუშვით და დავისაჯეთ კიდეც".*

დაისაჯა „უდინეზეც", რომელმაც იტალიურ დერბიმდე ფლორენციაში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია. ფრიულის კრებული მოეშვა და ეს მოსალოდნელიც იყო. ამ ტიპის გუნდები სერია A-ს მარათონს ერთი ამოსუნთქვით რომ ვერ ჩაატარებენ, გრანდების მაგალითითაც მტკიცდება. სამაგიეროდ, ახლა „ფიორენტინის" დროა. „ვიოლამ" ბრწყინვალე მეორე ტაიმი ჩაატარა. არადა, პირველ ნახევარში „უდინეზე" არამარტო იგებდა თამაშს, ანგარიშის გასაზრდელად არაერთი შანსიც ჰქონდა. მატჩის უდავო გმირი კი ნახევარმცველი **მონტოლივოა**, რომელმაც კარიერაში პირველი დუბლი გაახერხა. საკვანძო იყო ერთწუთიანი ინტერვალი, როცა იმავე მონტოლივომ და **ჯილარდინომ** მეტოქეს სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს.

უდინელთაგან კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საუკეთესო გახლდათ ოთხი გოლის გამშვები **ჰანდაროვიჩი**, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში გადაარჩინა თავისიანები, თორემ ანგარიშში გაცილებით დამამცირებელი იქნებოდა. ამ ფონზე გასაკვირია, რომ ფრიულელთა მწვრთნელმა **პასკუალე მარინომ** მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოიყვანა **დი ნატალე** და **კვალიარელა**. ჩარხის შემოტრიალება შეუძლებელი იყო...

კვირას „რომამ" პირველი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა. **ლუჩანო სპალეტიმ** ლეჩეში სუპერშემტევი შემადგენლობა დააყენა - ცენტრში **ტოტი** და **ვუჩინიჩი**, ფლანგებზე კი **ბაპტიშტა** და **ტადეი**. გასაკვირი არ არის, რომ **მარიო ბერეტას** შეგირდებმა ამ „ზვავს" ვერ გაუძლეს და, ფაქტობრივად, მეორე ტაიმის დასაწყისშივე კაპიტულაცია გამოაცხადეს. ბრწყინვალედ ითამაშა ტოტიმ, რომელმაც გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

ცოტა დააკლდა და, „ლაციო"-„ჯენოას" მატჩი **მილიტოს** ბენეფისი იქნებოდა. არგენტინელმა ჯერ პენალტი ვერ გაიტანა, მერე ანგარიში გახსნა, ბოლოს კი, ოფსაიდის მოტივით გოლი არ ჩაუთვალეს.

ნეაპოლში, **კონტის** მიერ უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლით, „კალიარიმ" ქულა გადაარჩინა. სარდინიელებმა ბოლომდე იომეს. 84-ე წუთზე „ნაპოლი" მეორედ გაიჭრა წინ, მას მერე, რაც **ლავეციმ** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ორიოდ წუთში ამ არგენტინელმა (რომელიც გუშინ კიდევ ერთხელ შეადარეს მის ლეგენდარულ თანამემამულე **დიეგო მარადონას**) მშვენიერი საგოლე მომენტი გააფუჭა, თორემ ყველაფერი იქვე დასრულდებოდა...

„სამპდორიამ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ამჯერადაც, გადამწყვეტი ფაქტორი იყო **კასანოს** ინდივიდუალური ოსტატობა. დუბლი დაეხმარა „რეჯინასაც", რომელმაც „ატალანტა" საკმაოდ იოლად დაამარცხა. ორი გოლი **კორადის** ანგარიშზეა. რეჯოკალაბრიელებმა მიჯრით მეორე მატჩი მოიგეს, თუმცა გასავარდნი ზონიდან ჯერ ვერ ამოძვრნენ.

ამ დღეში არიან „კიევო" და „ბოლონიაც". ვერონელებს არც ახალი მწვრთნელი შველით. ამ გუნდს პირველი ტურის მერე არ გაუმარჯვია. „კიევოს" სულ რაღაც 6 გოლი აქვს გატანილი, არადა, **მიმო დი კარლოს** საკმაოდ კვალიფიცირებული ფორვარდები ჰყავს. **სინიშა მიხაილოვიჩის** ხელში ჯერ არ მოუგია (ზედიზედ სამი 1:1) „ბოლონიასაც". ამიტომაც რჩება გავარდნის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად.

„მილანმა" ტურინულ დაპირისპირებაში ფრედ ითამაშა და „ინტერს" ახლა 3 ქულით ჩამორჩება. „ტორინომ" ანგარიში ერთობ საკამათო (რბილად რომ ვთქვათ) პენალტით გაათანაბრა - **როზინა** ბურთს საჯარიმოს სიღრმეში აწვდიდა, მაგრამ გზად ჯერ **კახა კალაძეს** მოხვდა ფეხში, მერე კი ხელზეც. არბიტრმა **სტეფანო ფარინამ** 11-მეტრიანი დანიშნა, რაც მეტისმეტად მკაცრი გადაწყვეტილება იყო...

**გიორგი ბელაშვილი**

### მომდევნო ტური

29 ნოემბერი. კატანია-ლეჩე, იუვენტუსი-რეჯინა. 30 ნოემბერი. ატალანტა-ლაციო, უდინეზე-კიევო, სიენა-ტორინო, რომა-ფიორენტინა, პალერმო-მილანი, ჯენოა-ბოლონია, ინტერი-ნაპოლი, კალიარი-სამპდორია.

### ფიორენტინა-უდინეზე 4:2

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-7, კომოტო-6, დაინელი-6, გამბერინი-6, ვარგასი-6, დონადელი (30. კუზმანოვიჩი-6), ფელიპე მელუ-6, მონტოლივო-7.5 (80. გობი), სემიოლი-5 (46. სანტანა-6), ჯილარდინო-6.5, მუტუ-6.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, მ. მოტა-6, ა. კოდა-6, დომიცი-5.5, ლუკოვიჩი-6, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-6, პასკუალე-6 (75. დი ნატალე-6), პეპე-6.5, ფლორო ფლორესი-7, სანჩესი-6.5 (85. კვალიარელა-6).

**გოლები:** 0:1 ფლორო ფლორესი (29), 1:1 მუტუ (53-პენ), 2:1 მონტოლივო (64), 3:1 მონტოლივო (78), 4:1 ჯილარდინო (79), 4:2 დი ნატალე (83-პენ)

**გაძევება:** კომოტო (82. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 23-14; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 21-25 (11-11); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 28 981

### ინტერი-იუვენტუსი 1:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6.5, მატერაცი-7, სამუელი-7, მაქსველი-6, კამბიასო-6.5, მუნტარი-6.5 (90. ვიეირა), სტანკოვიჩი-6.5 (85. ბურდისო), ხ. ძანეტი-6, იბრაჰიმოვიჩი-6.5, ადრიანო-6 (83. კრუსი).

**იუვენტუსი:** მანინგერი-6.5, გრიგერა-6, ლეგროტალიე-5, კიელინი-6.5, მოლინარო-5.5, მარკიონი-6 (70. კამორანეზი-5.5), სისოკო-6, ტიაგო (4. მარკიზიო-6), ნედვედი-6, დელ პიერო-6, ამაური-5.5 (77. იაკვინტა).

**გოლი:** 1:0 მუნტარი (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 10-3; **კარში დარტყმა:** 20-7 (9-2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 76 437

### ლაციო-ჯენოა 1:1

**ლაციო:** კარისო-5.5, ლიხტშტაინერი-7, კრიბარი-6.5, როზენალი-6, კოლაროვი-6.5, ბროკი-7, დაბო-6.5, მეგნი-5 (74. ს. ინძაგი), ფოჯა-6.5, პანდევი-5 (46. როკი-5.5), სარატე-5.5.

**ჯენოა:** რუბინიო-6, პაპასტრატოპულოსი-6, ფერარი-6.5, კრიშიტო-6, ბიავა-6.5, ტ. მოტა-6.5, იურიჩი-7 (68. გასბარონი-6), ვანდენ ბორე-6, სკული-5.5 (56. მესტო-6), პალადინო-6 (84. პოტენცა), მილიტო-7.

**გოლები:** 0:1 მილიტო (69), 1:1 დაბო (80)

*53-ე წუთზე მილიტომ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 25-27; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 18-10 (8-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 000

### ნაპოლი-კალიარი 2:2

**ნაპოლი:** იეცო-6.5, სანტაკროჩე-6, კანავარო-6.5, კონტინი-6, მაჯო-5.5, ბლაზი-6 (81. პაციენცა), გარგანო-6.5, ჰამშიკი-6.5 (78. რუსოტო), მანინი-7 (73. ბოღიაჩინო-5), დენისი-5, ლავეცი-7.5.

**კალიარი:** მარკეტი-6.5, მატიო-6, ლოპესი-7, ბიანკო-6.5, აგოსტინი-6, ფინი-5.5 (66. პაროლა-6), კონტი-7, ბიონდინი-6, კოსუ-6 (68. ლაძარი-6), აკვაფრესკა-6 (78. მატრი), ჟედა-7.

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (9), 1:1 ლოპესი (55), 2:1 ლავეცი (84), 2:2 კონტი (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13-11 (6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 39 000

### ლეჩე-რომა 0:3

**ლეჩე:** ბენუსი-6, პოლენგი-5.5, სტენდარდო-5, ფაბიანო-5, ა. ესპოზიტო-5, ჯაკომაცი-6.5, ძანკეტა-5 (60. არდიტო-5.5), არიატი-4.5 (57. მუნარი-5.5), კაზერტა-5.5, კასტილიო-5 (60. კაჩა-4.5), ტირიბოკი-5.

**რომა:** ა. დონი-6, კასეტი-6.5, მექსე-6.5, ჟუანი-7 (71. ლორია), რიისე-6.5, დე როსი-6.5, ბრიგი-7, ტადეი-6.5, ბაპტიშტა-6.5 (84. პისარო), ტოტი-8, ვუჩინიჩი-7.5 (66. მენეზი-6).

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (11), 0:2 ჟუანი (38), 0:3 ტოტი (49)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10-16 (3-7); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 11 082

### რეჯინა-ატალანტა 3:1

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ჩირილო-6, კ. ვალდესი-6.5, სანტოსი-7, კოსტა-6, კარმონა-6.5, ბარეტო-6, ბარილა-6, კოცა-7 (60. ე. ალვარესი-5.5), ბრიენცა-6.5 (82. ტონიოცი), კორადი-7 (90. დი ჯენარო).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5.5, დარიჩი-5.5 (46. რივალტა-6), ტალამონტი-6, თ. მანფრედინი-5.5, ბელინი-5.5, პინტუ-5, გუარენტე-6.5, დე აშენტისი-5.5 (46. ვიერი-5), პადოინი-5 (71. ხ. ვალდესი), ფლოკარი-5.5, კ. დონი-6.5.

**გოლები:** 1:0 კოცა (10), 2:0 კორადი (21), 3:0 კორადი (79), 3:1 კ. დონი (90)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-17 (6-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 11 000

### სამპდორია-კატანია 3:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, გასტალდელო-6, აკარდი-6.5, ლუკინი-6, სტანკევიჩუსი-7 (89. ციგლერი), დელვეკიო-7, დესენა-6, დ. ფრანჩესკინი-6 (87. ბონანი), პიერი-6.5, ბელუჩი-7, კასანო-8.

**კატანია:** ბიცარი-6.5, სილვესტრი-5.5, სტოვინი-5, სილვესტრე-5, პ. ალვარესი-5 (81. ლამა), ჯაკ. ტედესკო-5.5, პ. ლედესმა-5, ბიაჯანტი-5.5, მასკარა-6, მორიმოტო-5 (61. პლასმატი-6), პაოლუჩი-5 (81. ანტენუჩი).

**გოლები:** 1:0 ბელუჩი (6), 2:0 კასანო (62), 3:0 კასანო (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 21-16 (9-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 21 000

### ბოლონია-პალერმო 1:1

**ბოლონია:** ანტონიოლი-7, ძენონი-6, ტერცი-6.5, მორასი-6.5 (64. ბრიტოსი-6), ლანა-6, მინგაცინი-6, მარკინი-6 (78. როდრიგესი), ბომბარდინი-5.5 (46. სეზარი-5.5), მუდინგაი-6.5, ვალიანი-6.5, დი ვაიო-7.

**პალერმო:** ამელია-7, კასანი-6, კაროციერი-7, კიაერი-6, კაპუანო-6.5 (88. ლანცაფამე), მილიაჩო-6 (46. კავანი-7), ლივერანი-6, სიმპლისიუ-6.5, ნოჩერინო-6, მიკოლი-6.5, ბუდანი-5 (46. სუჩი-7).

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (20), 1:1 სუჩი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 13-20 (4-8); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 17 000

### კიევო-სიენა 0:2

**კიევო:** სორენტინო-6.5, მალაგო-5 (84. იუნკო), მანდელი-5.5, იეპესი-5.5, მანტოვანი-5.5, პინცი-5, ბენტივოლიო-6 (64. ლანჯელა-5.5), მარკოლინი-5.5, ლუსიანო-6.5 (72. მ. ესპოზიტო-5.5), ბოგდანი-4.5, პელისიერი-5.5.

**სიენა:** კურჩი-7, სუნიგა-6.5, როსეტინი-6, პორტანოვა-6.5, დელ გროსო-5.5, ვერგასოლა-6.5, იაროლიმი-6, გალოპა-7, ხარჯა-6 (87. ბარუსო), გეზალი-6.5 (78. ფრიკი-6), მაკარონე-6.5 (90. კალაიო).

**გოლები:** 0:1 გალოპა (82-პენ), 0:2 მაკარონე (88-პენ)

**გაფრთხილება:** 4-0; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 14-21 (5-9); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 9 200

### ტორინო-მილანი 2:2

**ტორინო:** სერენი-6, დიანა-5.5, ნატალი-6.5, პრატალი-6, კოლომბო-6, რუბინი-6.5, ბარონე-5.5 (72. აბრუსკატო-6), ჯემაილი-7, როზინა-7 (84. ოგბონა), ბიანკი-5 (72. პ. ძანეტი-5.5), სტელონე-6.5.

**მილანი:** აბიატი-6, ბონერა-5.5, კალაძე-5, მალდინი-6, იანკულოვსკი-6.5, გატუზო-7.5 (79. შევჩენკო), ზეედორფი-5.5, პირლო-6 (74. ემერსონი-5), კაკა-5.5, რონალდინიო-6.5, პატო-6.5.

**გოლები:** 1:0 სტელონე (25), 1:1 პატო (29), 1:2 რონალდინიო (34), 2:2 როზინა (78-პენ)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 15-16 (5-6); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 20-7 | 30 |
| 2. მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 19-10 | 27 |
| 3. იუვენტუსი | 13 | 7 | 3 | 3 | 17-9 | 24 |
| 4. ნაპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 19-13 | 24 |
| 5. ლაციო | 13 | 7 | 2 | 4 | 22-14 | 23 |
| 6. ფიორენტინა | 13 | 7 | 2 | 4 | 18-12 | 23 |
| 7. უდინეზე | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 21 |
| 8. ჯენოა | 13 | 6 | 3 | 4 | 20-15 | 21 |
| 9. კატანია | 13 | 6 | 3 | 4 | 14-14 | 21 |
| 10. ატალანტა | 13 | 5 | 2 | 6 | 14-15 | 17 |
| 11. პალერმო | 13 | 5 | 2 | 6 | 16-18 | 17 |
| 12. სიენა | 13 | 4 | 4 | 5 | 11-12 | 16 |
| 13. სამპდორია | 12 | 4 | 4 | 4 | 13-15 | 16 |
| 14. კალიარი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-17 | 14 |
| 15. რომა | 12 | 4 | 2 | 6 | 14-18 | 14 |
| 16. ტორინო | 13 | 3 | 3 | 7 | 14-19 | 12 |
| 17. ლეჩე | 13 | 2 | 6 | 5 | 12-18 | 12 |
| 18. რეჯინა | 13 | 3 | 2 | 8 | 12-24 | 11 |
| 19. ბოლონია | 13 | 2 | 3 | 8 | 11-22 | 9 |
| 20. კიევო | 13 | 1 | 3 | 9 | 6-21 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 - მილიტო (ჯენოა); 9 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 7 - დი ვაიო (ბოლონია), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მასკარა (კატანია), სარატე (ლაციო); 6 - ამაური (იუვენტუსი), კორადი (რეჯინა), ფლოკარი (ატალანტა), ჰამშიკი (ნაპოლი), მიკოლი (პალერმო), რონალდინიო (მილანი); 5 - აკვაფრესკა (კალიარი), კასანო (სამპდორია), დენისი (ნაპოლი), დი ნატალე (უდინეზე), პანდევი (ლაციო), კვალიარელა (უდინეზე).

## სერია B

XV ტური

**პიაჩენცა-აველინო 1:2**

**გოლები:** 0:1 ვასკო (14), 1:1 ანაკლერიო (36), 1:2 აბატე (60-საკ. კარში)

**გაძევება:** იორიო (90. პიაჩენცა)

**ალბინოლეფე-სალერნიტანა 1:0**

**გოლი:** 1:0 გაბიონეტა (6)

**გაძევება:** კონტე (62. ალბინოლეფე)

**ანკონა-მანტოვა 2:1**

**გოლები:** 0:1 სპინალე (31), 1:1 სიკეირა (57), 2:1 ნასი (69)

**ბრეშა-ვიჩენცა 2:1**

**გოლები:** 0:1 ვოლტა (19), 1:1 ძამბრელა (28), 2:1 პოსანცინი (68)

**ფროზინონე-ასკოლი 2:0**

**გოლები:** 1:0 სკარლატო (27), 2:0 ბიზო (86)

**გაძევება:** ლუჩი (49. ასკოლი)

**გროსეტო-ტრიესტინა 1:0**

**გოლი:** 1:0 სფორცინი (82)

**გაძევება:** ალეგრეტი (75. ტრიესტინა)

**პიზა-ჩიტადელა 0:3**

**გოლები:** 0:1 ბონვისუტო (25), 0:2 ბონვისუტო (43), 0:3 ბონვისუტო (47)

**რიმინი-ბარი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვანტაჯატო (74), 1:1 კაპუტო (85)

**გაძევება:** კატაკინი (53. რიმინი)

**ტრევიზო-ემპოლი 2:0**

**გოლები:** 1:0 სკალია (33), 2:0 სკალია (49)

**პარმა-ლივორნო 0:0**

**სასუოლო-მოდენა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გროსეტო | 15 | 8 | 4 | 3 | 28-19 | 28 |
| 2. ემპოლი | 15 | 7 | 4 | 4 | 19-15 | 25 |
| 3. ბარი | 15 | 6 | 7 | 2 | 16-13 | 25 |
| 4. სასუოლო | 14 | 7 | 3 | 4 | 22-14 | 24 |
| 5. ლივორნო | 15 | 5 | 9 | 1 | 19-11 | 24 |
| 6. პარმა | 15 | 5 | 8 | 2 | 18-12 | 23 |
| 7. ტრიესტინა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-18 | 23 |
| 8. ბრეშა | 15 | 6 | 5 | 4 | 17-17 | 23 |
| 9. მანტოვა | 15 | 6 | 4 | 5 | 16-14 | 22 |
| 10. ალბინოლეფე | 15 | 5 | 7 | 3 | 14-13 | 22 |
| 11. ვიჩენცა | 15 | 5 | 5 | 5 | 17-11 | 20 |
| 12. ანკონა | 15 | 5 | 4 | 6 | 22-18 | 19 |
| 13. ფროზინონე | 15 | 5 | 4 | 6 | 17-20 | 19 |
| 14. სალერნიტანა | 15 | 5 | 4 | 6 | 15-19 | 19 |
| 15. პიზა | 15 | 4 | 5 | 6 | 17-20 | 17 |
| 16. პიაჩენცა | 15 | 4 | 5 | 6 | 12-15 | 17 |
| 17. აველინო | 15 | 3 | 7 | 5 | 13-20 | 16 |
| 18. რიმინი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-24 | 16 |
| 19. ჩიტადელა | 15 | 3 | 6 | 6 | 12-16 | 15 |
| 20. ტრევიზო | 15 | 3 | 7 | 5 | 16-20 | 12* |
| 21. ასკოლი | 15 | 2 | 5 | 8 | 8-17 | 11 |
| 22. მოდენა | 14 | 2 | 4 | 8 | 16-25 | 10 |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 9 - მასტრონუნციო (ანკონა); 8 - სანსოვინი (გროსეტო), ვანტაჯატო (რიმინი); 7 - ბარეტო (ბარი), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), ტავანო (ლივორნო); 6 - დი ნაპოლი (სალერნიტანა), ედერი (ფროზინონე), ნასი (ანკონა).

## სერია C1/A

XIII ტური

პრო სესტო-ლუმეცანე 0:0; მონცა-პადოვა 1:0; რავენა-კრემონეზე 3:1; ლეკო-სამბენედეტეზე 0:1; ნოვარა-პორტოგრუარო 3:1; პერგოკრემა-რეჯანა 0:0; ვენეცია-ჩეზენა 2:1; ლენიანო-სპალ 0:3; პრო პატრია-ვერონა 0:0.

## სერია C1/B

XIII ტური

კროტონე-სორენტო 1:1; ტარანტო-ფოჯა 2:2; ტერნანა-პაგანეზე 1:0; ბენევენტო-გალიპოლი 3:0; პესკარა-იუვე სტაბია 3:1; ვირტუს ლანჩანო-ფოლინიო 3:1; კავეზე-პისტოიეზე 1:1; რეალ მარჩანიზე-პოტენცა 0:0; პერუჯა-არეცო დღეს.

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური



ჰოფენჰაიმის წინააღმდეგ დაუმიც უძლური

# დაუმი: ჰოფენჰაიმი არ არის სუფთა!

## შტუტგარტი უმწვრთნელოდ და ახალი მწვრთნელით: გაგდებულ ფეეს ბაბელი შეცვლის

„ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამბობს, ფეხბურთი მათემატიკა არ არისო. შესაძლოა, „კალე" მართალია, მაგრამ ზოგჯერ ფეხბურთი მართლაც მათემატიკაა. მოდით, ციფრებით ვიმსჯელოთ.

შაბათს, ბუნდესლიგაში 7 თამაში ჩატარდა და საშუალოდ მატჩში 4.3 გოლი გავიდა. ეს კი ისეთი შედეგია, რომლითაც ბუნდესლიგას მთელს ევროპაში ვერც ერთი სახელოვანი ლიგა ვერ შეედრება. წესით, გერმანელები ამის გამო ძალიან გახარებულები უნდა იყვნენ, მაგრამ ასე არ არის და კერძოდ, იმიტომ, რომ გერმანიის ჩემპიონატში გატანილი უამრავი გოლი უშუალოდ გერმანიის ნაკრებს ფაქტობრივად არაფერში ადგება. ეს თუნდაც ბუნდესგუნდისა და ინგლისის ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში გამოჩნდა. მართალია, შაბათს მოედნებზე გასული ფეხბურთელებიდან 40.3 პროცენტი გერმანელი იყო, მაგრამ გერმანელებზე გატანილი გოლების მხოლოდ 16.1 პროცენტი მოდის. და თუ კიდევ უფრო მეტად დავწვრილმანდებით, ამ 16.1 პროცენტიდან, მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო გერმანელი: „ლევერკუზენის" თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** და „ბაიერნის" ფორვარდი **მიროსლავ კლოზე**. შეგახსენებთ, რომ შაბათის მატჩების მონაცემებზე ვსაუბრობთ. ამრიგად, ბუნდესლიგაში ლეგიონერები დომინირებენ. მაგალითად, გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი ამ ეტაპზე „ჰოფენჰაიმის" ბოსნიელი გოლეადორი **ვედად იბიშევიჩია** (წინა სეზონში ბომბარდირი იტალიელი **ლუკა ტონი** გახდა).

ეს, რაც შეეხებოდა მათემატიკას. და რაც შეეხება ფეხბურთს: „ბაიერნის" გამარჯვების (კოტბუსთან) უმთავრესი შემოქმედი ისევ **ფრანკ რიბერი** გახლდათ და ფაქტია, რომ ფრანგი ნახევარმცველის როლი **იურგენ კლინსმანის** ხელშიც ძალიან გაიზარდა, რაც მოსალოდნელიც იყო – რიბერის შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ.

მათემატიკა იქით იყოს, ფეხბურთი ემოციაცაა. მე-14 ტური კი ემოციურად მართლაც ძალიან დატვირთული გამოვიდა. მაგალითად, სხვა დროს ძალიან მშვიდი და ნერვაუტოკებელი **ფელიქს მაგათი** ამჯერად ისე გამოვიდა მწყობრიდან, რომ მსაჯს ხელი ჰკრა (!), რის გამოც „ვოლფსბურგის" მწვრთნელი ტრიბუნაზე მიაბრძანეს. გაძევების სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა „კიოლნის" თავკაც **კრისტოფ დაუმსაც**, მაგრამ გადარჩა. სამაგიეროდ, „კიოლნისა" და „ჰოფენჰაიმის" მატჩში გაძევებას ვერ გადაურჩნენ „ენერგის" მცველი **მაკენა** და „ჰოფეს" ნახევარმცველი **ლუის გუსტავო**. მართალია, რუმენიგე ჯიუტად ამტკიცებს, ფეხბურთი მათემატიკა არ არისო, მაგრამ „ბაიერნის" მწვრთნელი კლინსმანი წარმატებას სწორედ მათემატიკურად ითვლის: კლინსი ამბობს, მომდევნო ორ მატჩს („ლევერკუზენთან" და „ჰოფენჰაიმთან") თუ მოვიგებთ, შემოდგომის ჩემპიონები გავხდებითო. აი, ერთი შეხედვით ასე მარტივადაა საქმე მე-14 ტურის შემდეგ, მაგრამ იმ ორ თამაშს ჯერ მოგება უნდა...

## პორტუგალია

IX ტური

| | |
|---|---|
| რიუ ავე-ლეიქსოეში | 1:2 |
| მარიტიმუ-ბრაგა | 0:0 |
| ნავალი-სპორტინგი | 0:1 |
| ნასიონალი-ტროფენსე | 1:0 |
| გიმარაეში-ფერეირა | 0:0 |
| აკადემიკა-ბენფიკა | 0:2 |
| სეტუბალი-ბელენენსეში | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეიქსოეში | 9 | 7 | 1 | 1 | 15-9 | 22 |
| 2. ბენფიკა | 9 | 6 | 3 | 0 | 16-8 | 21 |
| 3. ნასიონალი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-9 | 17 |
| 4. სპორტინგი | 9 | 5 | 1 | 3 | 9-6 | 16 |
| 5. მარიტიმუ | 9 | 4 | 3 | 2 | 11-5 | 15 |
| 6. პორტუ | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 7. ბრაგა | 9 | 3 | 4 | 2 | 10-5 | 13 |
| 8. ნავალი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 |
| 9. ამადორა | 8 | 3 | 2 | 3 | 5-9 | 11 |
| 10. გიმარაეში | 9 | 2 | 4 | 3 | 7-9 | 10 |
| 11. აკადემიკა | 9 | 2 | 3 | 4 | 4-8 | 9 |
| 12. რიუ ავე | 9 | 1 | 4 | 4 | 6-9 | 7 |
| 13. ბელენენსეშ | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |
| 14. სეტუბალი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-8 | 7 |
| 15. ფერეირა | 9 | 1 | 3 | 5 | 10-16 | 6 |
| 16. ტროფენსე | 9 | 1 | 1 | 7 | 6-15 | 4 |

### II დივიზიონი

IX ტური

ფრეამუნდე-ბოავიშტა 2:0; ლეირია-ვარზიმი 1:0; სანტა კლარა-ვიზელა 5:1; პორტიმონენსე-ოლივეირენსე 1:0; გონდომარი-კოვილია 1:1; ფეირენსე-ოლანენსე 3:1; ჟილ ვისენტე-ეშტორილი 2:2; ბეირა მარი-ავეში 4:0.

## პოლონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-ლკს | 2:3 |
| რუხი-ლეგია | 0:1 |
| ბელხატოვი-იაგელონია | 2:0 |
| ოდრა-არკა | 0:0 |
| პოლონია (ვ)-გურნიკი | 2:0 |
| კრაკოვია-ლეხი | 0:1 |
| ლეხია-პიასტი | 0:0 |
| შლიონსკი-ვისლა | 2:1 |

## სერბეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბანატი-ნაპრედაკი | 0:0 |
| ჰაიდუკი-ბორაცი | 2:0 |
| ჩუკარიჩკი-ვოივოდინა | 0:1 |
| იაგოდინა-რადი | 0:0 |
| იავორი-ცრ. ზვეზდა | 1:1 |
| პარტიზანი-ოფკ | 5:1 |

## სლოვაკეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-დ. სტრედა | 0:0 |
| კოშიცე-არტმედია | 1:2 |
| ტრნავა-ნიტრა | 3:1 |
| რუჟომბეროკი-მორავცე | 1:0 |
| დუბნიცა-ტატრანი | 0:0 |
| სლოვანი-ჟილინა | 2:0 |

## სლოვენია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-რუდარი | 1:1 |
| პუბლიკუმი-კოპერი | 2:1 |
| მარიბორი-ინტერბლოკი | 4:1 |
| პრიმორიე-გორიცა | 1:3 |
| დომჟალე-დრავა | 0:0 |

## ჩრ. ირლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| ბალიმენა-ინსტიტუტი | 0:1 |
| ლისბურნი-დუნგანონი | 0:1 |
| ლინფილდი-გლენავონი | 2:4 |
| კოლრეინი-კრუზეიდერსი | 2:5 |
| კლიფტონვილი-ნიური | 0:0 |
| ბანგორი-გლენტორანი | 1:2 |

## უკრაინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| მეტალისტი-ზორია | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-კრივბასი | 0:0 |
| შახტარი-ლვოვი | 2:0 |
| კარპატი-მეტალურგი (დ) | 1:1 |
| არსენალი-ჩერნომორეცი | 1:0 |
| ვორსკლა-ხარკოვი | 2:1 |
| დნიპრო-ტავრია | 0:1 |
| ილიჩივეცი-დინამო | გადაიდო |

## არგენტინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ნიუელსი | 1:1 |
| ბანფილდი-ურაკანი | 0:0 |
| რასინგი-ხიმნასია (ლ) | 1:1 |
| როსარიო-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| კოლონი-გოდოი | 0:0 |
| სან ლორენსო-ლანუსი | 1:3 |
| რივერი-არგ. ხუნიორსი | 1:2 |
| ველესი-ხიმნასია (ხ) | 2:0 |
| სან მარტინი-ბოკა | გვ. დასრულდა |
| ესტუდიანტესი-ტიგრე | გვ. დასრულდა |

## ჩილე

პლეიოფი

| | |
|---|---|
| პალესტინო-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| კოლო კოლო-უაჩიპატო | 4:2 |
| რეინჯერსი-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| უნ. ჩილე-კობრელოა | გვ. დასრულდა |

## შოტლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-ჰამილტონი | 1:1 |
| ჰართსი-ფალკირკი | 2:1 |
| კილმარნოკი-ინვერნესი | 1:2 |
| მოზერველი-ჰიბერნიანი | 1:4 |
| რეინჯერსი-აბერდინი | 2:0 |
| სტ. მირენი-სელტიკი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 15 | 13 | 1 | 1 | 39-15 | 40 |
| 2. რეინჯერსი | 15 | 11 | 3 | 1 | 34-11 | 36 |
| 3. ჰართსი | 15 | 8 | 2 | 5 | 17-18 | 26 |
| 4. დანდი იუნ | 15 | 6 | 5 | 4 | 20-17 | 23 |
| 5. ჰიბერნიანი | 15 | 5 | 4 | 6 | 19-22 | 19 |
| 6. კილმარნოკი | 15 | 6 | 1 | 8 | 14-21 | 19 |
| 7. აბერდინი | 15 | 5 | 3 | 7 | 15-18 | 18 |
| 8. ინვერნესი | 15 | 5 | 2 | 8 | 17-22 | 17 |
| 9. მოზერველი | 15 | 5 | 2 | 8 | 17-23 | 17 |
| 10. ფალკირკი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-21 | 16 |
| 11. სტ. მირენი | 15 | 3 | 3 | 9 | 10-19 | 12 |
| 12. ჰამილტონი | 15 | 3 | 2 | 10 | 13-26 | 11 |

### I დივიზიონი

XV ტური

ეირდრი-როსი 0:2; დანფერმლაინი-მორტონი 0:1; პარტიკი-ლივინგსტონი 2:1; ქუინი-კლაიდი 0:2.

### II დივიზიონი

XV ტური

ალოა-ქუინზ პარკი 1:3; არბროა-სტრანრარი 1:0;ეირი-ისტ ფაიფი 4:2; პიტერჰედი-სტირლინგი 1:1; რეითი-ბრეჩინი 2:2.

### III დივიზიონი

XIV ტური

ბირუიკი-კოუდენბითი 2:3; ანენი-ელჯინი 5:0; დამბარტონი-ალბიონი 1:1; მონროუზი-ფორფარი 1:0; სტენჰაუზმური-ისტ სტირლინგი 1:1.

## ავსტრია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| აუსტრია (ვ)-რიდი | 3:1 |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 2:5 |
| ლინცერი-აუსტრია (კ) | 0:2 |
| ალტახი-მატერსბურგი | 4:1 |
| შტურმი-რაპიდი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 19 | 12 | 4 | 3 | 51-27 | 40 |
| 2. შტურმი | 19 | 12 | 3 | 4 | 46-22 | 39 |
| 3. რაპიდი | 19 | 11 | 4 | 4 | 44-22 | 37 |
| 4. აუსტრია (ვ) | 19 | 10 | 5 | 4 | 29-23 | 35 |
| 5. აუსტრია (კ) | 19 | 8 | 5 | 6 | 27-20 | 29 |
| 6. რიდი | 19 | 7 | 5 | 7 | 26-24 | 26 |
| 7. ლინცერი | 19 | 7 | 0 | 12 | 20-39 | 21 |
| 8. კაპფენბერგი | 19 | 4 | 3 | 12 | 22-43 | 15 |
| 9. მატერსბურგი | 19 | 3 | 4 | 12 | 20-40 | 13 |
| 10. ალტახი | 19 | 4 | 1 | 14 | 25-50 | 13 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ლეობენი-ზალცბურგი A 1:0; ლუშტენაუ-აუსტრია (ლ) 1:0; ფოკლაბრუკი-გრიოდიგი 0:2; ვინერი-სტ. პოლტენი 3:1; გრატკორნი-აუსტრია A 2:0; ტიროლი-ადმირა 2:2.

## ბრაზილია

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ფიგეირენსე-ნაუტიკო | 4:3 |
| ბოტაფოგო-ატ. პარანაენსე | 2:2 |
| კურიტიბა-სანტოსი | 5:1 |
| პორტუგეზა-გოიასი | 0:0 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 3:2 |
| ვასკო-სან პაულუ | 1:2 |
| ვიტორია-გრემიო | 4:2 |
| ინტერი-ფლუმინენსე | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-იპატინგა | გვ. დასრულდა |
| ს. რესიფე-ატ. მინეირო | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

პლეიოფი

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-ტოლიმა | 2:1 |
| ატ. ხუნიორი-დეპ. კალი | 2:0 |
| ამერიკა-დეპ. პერეირა | გვ. დასრულდა |
| ეკვიდადი-ნასიონალი | გვ. დასრულდა |

## პერუ

პლეიოფი

| | |
|---|---|
| სენსიანო-ატ. მინერო | 1:1 |
| ხუან აურიჩი-ალ. ლიმა | 1:3 |
| ხოსე გალვესი-სესარ ვალეხო | 2:2 |
| მელგარი-სპორტი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

პლეიოფი

| | |
|---|---|
| კრუს ასული-პუმასი | 0:0 |
| ტიგრესი-ატლანტა | 1:1 |
| ტეკოსი-ტოლუკა | გვ. დასრულდა |
| სანტოსი-სან ლუისი | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

პლეიოფი

| | |
|---|---|
| ლიგა დე კიტო-ბარსელონა | 2:1 |
| დეპ. კიტო-ნასიონალი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ურავა-შიმიძუ | 1:2 |
| ოიტა-კაშიმა | 0:1 |
| ივატა-კაშივა | 3:3 |
| კავასაკი-გამბა | 4:0 |
| ვერდი-საპორო | 1:1 |
| ჯეფ იუნაიტედი-იოკოჰამა | 0:3 |
| ნიიგატა-ომია | 2:2 |
| კობე-ტოკიო | 1:1 |
| კიოტო-ნაგოია | 2:3 |

ჭადრაკი — XXXVIII ოლიმპიადა. დრეზდენი 2008

# სასწაული ჭადრაკშიც ხდება

## ჩიბურდანიძე საუკეთესოა

შაბათის რეპორტაჟში ქალთა შორის ჩინეთის ნაკრები ლამის ოლიმპიურ ჩემპიონად გამოვაცხადე და ძნელად თუ მოიძებნებოდა დრეზდენის კონგრესცენტრში ადამიანი, ვისაც სხვაგვარი აზრი ექნებოდა, - ჩინელები ძლიერად თამაშობდნენ და არავინ ჩანდა მათი შემჩერებელი. გვირგვინით შევამკე სომხეთის ვაჟთა გუნდიც, რომელიც დაჟინებით მიიწევდა წინ. მაგრამ გავიდა შაბათ-კვირა და ჩვენ თვალწინ ნამდვილი სასწაული გათამაშდა - ჩინელებმა ჯერ უკრაინასთან დაკარგეს ქულა (ტექნიკური გაუმართაობის გამო - ჩინეთის ნაკრებს მოგება დაუწერეს და რეპორტაჟში ასევე გადმოვეცი), შემდეგ სერბეთთან წააგეს და აღმოჩნდა, რომ მათი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩენილიყო - პოლონეთმა, სერბეთმა და უკრაინამ ერთი ქულით გადაასწრეს, საქართველო და სომხეთი კი ქულებით გათანაბრდნენ - სამივეს 14-14 ქულა დაუგროვდა. მიუხედავად მაღალი კლასისა, ჩინელები ასაკით პატარები არიან და საჭირო გამოცდილება თუ აკლიათ, - სხვაგვარად მათი შეფერხება აუხსნელია. ამ საჩუქრით ბევრმა ისარგებლა და პირველ რიგში ქართველებმა - მეცხრე ტურში სლოვენიის საკმაოდ ძლიერი ნაკრები პირწმინდად გაანადგურა და როგორც წინა ორი მეტოქე, ამჯერადაც მშრალი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა. ასეთი რამ აქამდე ოლიმპიადაზე ქალთა შორის არ მომხდარა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ოთხ დაფაზე მხოლოდ წლეულს დაიწყეს თამაში, თუმცა ზედიზედ სამჯერ ასეთი მოგება ძველი ფორმატითაც ურთულესი იყო. ასე რომ, ერთი კარგი რეკორდის მფლობელები გახდნენ ქართველი ქალები და იმედია, ამას ოქროს მედლებით გაალამაზებენ.

ოქროს მედლები კი ხელის გაწვდენაზეა და ბოლო ნაბიჯი უნდა გადაიდგას მძლავრად, რომ დიდი ხნის ასე მონატრებული გამარჯვება მოვიპოვოთ... მეათე, ბოლოსწინა ტურში უმკაცრესი გამოცდის ჩაბარება მოუწია ქართველ ქალთა ერთობას - ჩინურ ოთხეულს დაუპირისპირდა. ბოლო დღეების საოცარი ალმაფრენა, შენარჩუნებულ იქნა და ჩინური კედლის გარღვევაც შევძელით - 2,5 :1,5 მოვიგეთ!

პირველ დაფაზე **მაია ჩიბურდანიძე** მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტს და ვუნდერკინდად წოდებულ **ჰოუ იფანს** ხვდებოდა. ჩინელი გოგონას, რომელიც 14 წლისაა, 2578 აქვს რეიტინგი, რაც ქართველის რეიტინგს (2489) ლამის ასი ქულით უსწრებს. ასეთი სხვაობა ძალიან სერიოზულად ითვლება და გარდა რეიტინგული მაჩვენებლისა, იფანი მართლაც ძლიერად თამაშობს. თუმცა მაიამ, რომელსაც მსოფლიო საჭადრაკო ტახტრევანი ხუთჯერ დაუპყრია, ამჯერადაც დაანახა მსოფლიოს, რომ თუ განწყობილებაზეა, ანუ მოტივაცია აქვს, მისი გამჩერებელი არავინაა, - მართლაც დიდებულად წარმართა პარტია და სწორედ რომ ბავშვივით გადაითამაშა ჩინელი თინეიჯერი.

მეორე დაფაზე ასევე შეუმცდარი იყო **ნანა ძაგნიძე**, - თეთრებით დებიუტშივე მიიღო მცირე უპირატესობა, რომელიც შემდგომ ნელ-ნელა გადაზარდა საკმაოდ ხელშესახებში და ტექნიკურად მოგებული პოზიცია მიიღო. ტექნიკა ნამდვილად არ დაეწუნება ნანას და იოლად მოუღათავა ხელი **სიუ ჭაოს**.

სამწუხაროდ, სადებიუტო პრობლემები ვერ გადაჭრა **მაია ლომინეიშვილმა**, არადა, დებიუტების კარგ მცოდნედ ითვლება და მით უფრო კარგად გრძნობს თავს თეთრებით თამაშისას. ალბათ ზედმეტად ინერციულა და არაობიექტურადაც შეაფასა გარკვეულ დროს პოზიცია და უმართებულო გაცვლით მეტოქეს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება მისცა. **ვეძიუნ ძიუ** მაიას რეიტინგით კი ჩამორჩება, მაგრამ ოსტატობა რომ არ აკლია, ამ პარტიაშიც გამოჩნდა: ზუსტად გამოიყენა ქართველის სისუსტეები და გაიმარჯვა.

უჭირდა მესამე დაფაზე **ლელა ჯავახიშვილსაც: იანგ შენი** თეთრებით უტევდა და საკმაოდ მწვავედაც. ლელა თავგამოდებით იცავდა პოზიციას და გადამწყვეტი შეტევის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს. შუა თამაშში თითქოს ბევრად უარესი პოზიცია მიიღო ქართველმა, მაგრამ კვლავ მონახა გადარჩენის გზები და საბოლოოდ ოქროდ ღირებული ნახევარი ქულა გადაარჩინა. ყაიმმა მატჩში გამარჯვება და დიდი იმედი მოგვიტანა...

კონკურენტებიდან მხოლოდ პოლონეთმა შეძლო გამარჯვება - 2,5:1,5 დაამარცხა სომხეთის ნაკრები, ხოლო სერბეთმა და უკრაინამ ფრე - 2:2 დააფიქსირეს. ამან ჩვენ გვარგო, თუმცა პოლონელებს კვლავ ერთი ქულით ჩამოვრჩებით -17 ქულით ერთპიროვნული ლიდერები არიან. ბოლო ტურში ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება მათ ჩემპიონობას მოაპოვებინებს. გუშინ გვიან ღამით გაირკვა, რომ პოლონელთა მეტოქე უკრაინის ნაკრები იქნება. ქართველებს კი ასევე 16-ქულიანი სერბეთი დაუპირისპირდება. ალბათ ასე სჯობს - მათი ძლევის მეტი შანსი გაგვაჩნია...

გიორგობა დღე იყო გუშინ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის **გიორგი გიორგაძისთვის** ეს დღესასწაული ათასგზის სასიხარულო გახდა: ვაჟებმაც გაიმარჯვეს - დანიის საკმაოდ პერსპექტიული და კერკეტი ნაკრები 2,5:1,5 დაამარცხეს. პირველ დაფაზე თეთრებით მოიგო **ბადურ ჯობავამ. ზვიად იზორიამ, მიხეილ მჭედლიშვილმა** და **ლევან ფანცულაიამ** კი ყაიმით დაასრულეს პარტიები. ჩვენს ვაჟებს წლევანდელი ოლიმპიადის წარმატებულად დასრულება კი შეუძლიათ - ბოლო ტურში თუ რუმინელებს მოუგეს ათეულში აუცილებლად შევლენ, სავარაუდო შემთხვევაში კი ექვსეულიც შეიძლება დააჭაშნიკონ. ყოველ შემთხვევაში, ტურინის ოლიმპიადის შედეგს გააუმჯობესებენ, - გახსოვთ ალბათ, ტურინში მეთექვსმეტენი ვიყავით.

დღეს ოლიმპიადაზე დასვენებაა...

**ზვიად შათირიშვილი**
დრეზდენიდან

### ბოლო ტურის წინ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 10 | 17 | 302,0 |
| 2. უკრაინა | 10 | 16 | 343,0 |
| 3. საქართველო | 10 | 16 | 330,5 |
| 4. სერბეთი | 10 | 16 | 277,5 |
| 5. აშშ | 10 | 15 | 321,0 |
| 6. რუსეთი | 10 | 15 | 298,0 |

*შენიშვნა: ბოლო გრაფა, ანუ ოლიმპიური ზონერბორნ-ბერგერის ტაი-ბრეიკი, გადამწყვეტია თანაბარი ქულების შემთხვევაში.*

### ბოლო ტური

**25 ნოემბერი**

**საქართველო-სერბეთი**
**პოლონეთი-უკრაინა**

პოლონეთის გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონი ხდება პოლონეთი.

პოლონეთი-უკრაინის ყაიმის შემთხვევაში ჩემპიონი ხდება საქართველო, თუ დაამარცხებს სერბეთს.

საქართველო გახდება ჩემპიონი იმ შემთხვევაშიც, თუ უკრაინა მინიმალური ანგარიშით (2,5:1,5) მოუგებს პოლონეთს, საქართველოს ნაკრები კი დამაჯერებლად დაამარცხებს სერბეთს ( .ა,5 ან 4:0).

ტყვიის სროლა — შოთა ქველიაშვილის სახელობის თასის გათამაშება

# სალუქვაძემ რეკორდით გაიმარჯვა

ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი **შოთა ქველიაშვილის** გამარჯვებები, რომლებსაც სახელოვანმა ჩუბინმა ტყვიის სროლაში მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა სამ-სამჯერ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები მოიგო, ამდენჯერვე საკავშირო პირველობებზე მეორე და მესამე ადგილები დაიკავა; სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრკ ხალხთა სპარტაკიადების პრიზიორს, მრავალი სხვა შეჯიბრების გამარჯვებულს წლეულს 70 წელი შეუსრულდებოდა.

- 1964 წელს მე და შოთა ქველიაშვილმა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ჰელსინკის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ, - მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ასევე, სახელოვანმა სპორტსმენმა **ვახტანგ სალუქვაძემ**. - 300 მეტრზე ნებისმიერი მსხვილკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში შოთამ 1152 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. იმ წელიწადს კარგად იყო მომზადებული, თითქმის ყველა ტურნირზე გაიმარჯვა, მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელმა მღვდელმა ანდერსონმა აჯობა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. თუმცა, ეს უდიდესი მიღწევა იყო, რადგან იმ ოლიმპიადაზე საბჭოთა მსროლელები, ქველიაშვილის გარდა, უმედლოდ დარჩნენ...



გამარჯვებული გუნდები — ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის ინიციატივით, გასულ უქმეებზე ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირში შოთა ქველიაშვილის სახელობის თასი გათამაშდა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. საასპარეზოდ 10-მა ქალმა და 18-მა ვაჟმა მოიყარა თავი. საგულისხმოა, რომ მანდილოსანთა პაექრობაში ჩაება **ნინო სალუქვაძეც**, რომელმაც ტურნირი საქართველოს რეკორდით დაამთავრა - ფინალითურთ 495,7 ქულა მოაგროვა, რაც ჩინელი **სენჟუნ გუოს** ოლიმპიურ მიღწევას 3,4 ქულით აღემატება. ცხადია, ნინომ ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა. გამარჯვებულს 23,6 ქულით (!) ჩამორჩა ქუთაისელი **ნინო უჩაძე**, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. 471,3 ქულით მესამე იყო თბილისელი **თამილა ასათიანი** (აღსანიშნავია, რომ ამ სამეულმა 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეორე ადგილი დაიკავა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ **სოფიო აროშიძე** (468,3) და **ტატიანა მარუტიანი** (460,1). ფინალში სწორედ ქალთა და ვაჟთა შორის ხუთმა სპორტსმენმა იასპარეზა.

ვაჟებში 655,5 ქულით საუკეთესო იყო **ილია მაჭარაშვილი**, რომელმაც საკვალიფიკაციოში აჯობა ყველას (558 ქ). ფინალში მეოთხე შედეგით (551) გავიდა **ლევან ქადაგიშვილი**, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე მან სხვებზე უკეთ ისროლა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი (650) დაიმსახურა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე **ბექა გოგინაშვილი** (649) ავიდა. მომდევნო ორი ადგილი ასე განაწილდა: **გივი ბურჭულაძე** (646,2) და **გიორგი ნადირაშვილი** (645,3).

- მოხარული ვარ, რომ სახელოვანი სპორტსმენის შოთა ქველიაშვილის თასის გათამაშება დაწესდა, - გვითხრა ნინო სალუქვაძემ. - ასეთი ადამიანების დავიწყება არ შეიძლება. ახალგაზრდები მათ მაგალითზე უნდა აღვზარდოთ. ამ შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობამ არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო სროლაში ვარჯიში. უწინ მათთვის მხოლოდ საკვალიფიკაციო ორთაბრძოლებს ვმართავდით, ახლა ფინალური გასროლებიც დავამატეთ, რადგან ჩვენმა სპორტსმენებმა ოსტატობა აიმაღლეს, კონკურენცია მატულობს. მათთვის საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი თანხებიც თუ გამოიძებნება, მერწმუნეთ, ისინი მნიშვნელოვან ტურნირებზეც გვასახელებენ.

**- თქვენ მიერ ნაჩვენებ შედეგზე რას იტყვით?**

- მართალი გითხრათ, ასეთ მაღალ ქულებს არ ველოდი, იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიადის შემდეგ ერთ თვეზე მეტი არ დამისვენია, ვვარჯიშობდი, მსოფლიოს სუპერთასისთვის ვემზადებოდი. როცა იარაღი გამართულია და ნერვებიც მწყობრში გაქვს, მაშინ შედეგსაც აღწევ. პეკინსა და ჰონკონგში იარაღს რომ არ ემტყუნა, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებას უკეთესი მაჩვენებლით დავამთავრებდი.

რეკორდების დამყარებას თუ შეჯიბრებებზე კარგად გამოსვლას მაშინ ექნება მეტი ფასი, ახალგაზრდები თუ მომბაძავენ, უფრო მონდომებით ივარჯიშებენ და შედეგებით გამისწრებენ. ჩემი ახალი რეკორდი მათთვის მორიგი გამოწვევა უნდა იყოს.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- 24-26 დეკემბერს საქართველოს თასის ღია გათამაშებაზე რამდენიმე ქვეყნის სპორტსმენები მოვიწვიეთ, საპრიზო ფონდიც დავაწესეთ. დანარჩენ შეჯიბრებებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცით, ბიუჯეტიდან როგორ დაგვაფინანსებენ. არადა, წინა ციკლებისგან განსხვავებით, ტყვიის მსროლელები ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლას უკვე 2009 წლიდან დაიწყებენ. ორ-ორ საგზურს მსოფლიოს თასის გათამაშების საუკეთესო ჩუბინები დაეუფლებიან, ევროპელთათვის 3 ლიცენზია კონტინენტის ჩემპიონატზეც გათამაშდება.

2012 წლის თამაშების პირველი მერცხლების ვინაობას გაისად მარტში კორეის მსოფლიოს თასზე შევიტყობთ, ამ ტურნირისთვის მზადება უკვე დაწყებულია. დეკემბრის შუა რიცხვებში დანია და სერბეთი, ხოლო ნაახალწლევს ნორვეგია დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს უმასპინძლებს. უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, ამ ასპარეზობებს გამოვტოვებთ. ტრადიციულად, ალბათ, 23-28 იანვარს მიუნხენში გავემგზავრებით და იქაურ ტურნირებში გამოვალთ, თებერვლის მიწურულს კი პრაღაში (ჩეხეთი) ევროპის ჩემპიონატი გველის. ვეცდებით, ქომაგები ახალ-ახალი წარმატებებით გავახაროთ.

**ვაჟა დანელია**

სუმო — ნოემბრის ბაშო

# კოკაიმ ბაშო 9 მოგებით დაასრულა

იაპონიაში, კუნძულ კიუშუზე დასრულდა წლის უკანასკნელი ბაშო, რომელიც ორი ქართველი სუმოისტისთვის წარმატებული გამოდგა, ელიტაში მოასპარეზე **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ტურნირი 9-6 ბალანსით დაასრულა და ახალი წლის ბაშოს გაცილებით მაღალი რანგით შეხვდება, ვიდრე ამჟამინდელი მე-11 მაეგაშირობაა. ძალზე კარგად იჭიდავა მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, მან ბაშო 6-1 ბალანსით დაასრულა და მომავალი ტურნირიდან დივიზიონის ელიტაში გაერევა. სამწუხაროდ, თანამემამულეებს მხარი ვერ აუბა 21 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, რომელსაც ჩვენებურთაგან ყველაზე მაღალი რანგი (მე-4 მაეგაშირა) ჰქონდა. მისი შედეგი (3-12) კატასტროფულია. ნუგეშად ის გვრჩება, რომ ლევანმა უძლიერეს სუმოისტებთან ჭიდაობით დიდი გამოცდილება მიიღო.

კიუშუს ბაშოს ბოლოსწინა დღეს ლევან გორგაძემ იშვიათი გამარჯვება მიითვალა, არადა, მის წინააღმდეგ დოჰიოზე მოქმედი კომუსუბი **ამინიშიკი** იდგა, სწორედ ის, ვინც შეძლო ბაშოზე დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოს** დამარცხება. ლევანმა ხერხი იხმარა და კომუსუბის წონასწორობა დააკარგვინა. მე-16 მაეგაშირა **ჩიოჰაკუჰოსთან** წააგო კოკაიმ, ეს მისი მე-6 და ბოლო მარცხი იყო ტურნირზე.

ბოლო დღეს კოკაის ოსი **არანი** დაუპირისპირდა, ქართველმა შეძლო მეტოქის მავაშის დაჭერა და შემდეგ მიწოლით ოსი დოჰიოდან გაიყვანა. ტოჩინოშინი კი ველარ მოერია მეორე კომუსუბის, **გოეიდოს**, რომელმაც ერთი ამოსუნთქვით განდევნა ქართველი ბრინჯის რკალიდან.

იმპერატორის თასი კარიერიაში მეცხრედ დიდმა ჩემპიონმა ჰაკუჰომ მოიპოვა, თუმცა მას ამისთვის სუპერფინალის მოგება დასჭირდა. კიუშუს ბაშო 13-13 მოგებით ორმა მონღოლმა დაასრულა, ჰაკუჰომ და სეკივაკე **ამამ**. დაინიშნა სუპერფინალი, რომელიც ერთობ თვალსასეირო გამოდგა. სუმოისტები ერთი წუთის განმავლობაში იბრძოდნენ, ილეთიც თითოჯერ ჩაატარეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოწინააღმდეგემ შეძლო ფეხზე დადგომა. საბოლოოდ მაინც დიდმა ჩემპიონმა იმარჯვა. ელიტის ყველაზე მსუბუქმა სუმოისტმა ვერ შეძლო იმპერატორის თასის მოპოვება, არადა მიზანთან ახლოს იყო. ამას ნუგეშად ჩემპიონის ტიტული ელის – ახალი წლის ბაშოდან ის დოჰიოზე ოძეკის რანგით ავა. ახალი რეიტინგი (წლის საბოლოო) 24 დეკემბერს გამოქვეყნდება. იანვრის ბაშო კი ტოკიოში 11-25 იანვარს ჩატარდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

XIV დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-ამინიშიკი (კ) 1:0 (ჰატაკიკომი); კოკაი (მ 11)-ჩიოჰაკუჰო (მ 16) 0:1 (ჰიკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; ამა (ს)-კოტომიცუკი (ო) 1:0; კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (მ 6) 1:0; ბარუტო (ს)-დეჯიმა (მ 5) 1:0; გოეიდო (კ)-ასასეკირიუ (მ 5) 1:0; ტოიონოშიმა (მ 1)-ვაკანოსატო (მ 2) 1:0; მიაბიამა (მ 7)-კოტოშოგიკუ (მ 3) 1:0.

XV დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: კოკაი (მ 11)-არანი (მ 10) 1:0 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 4)-გოეიდო (კ) 0:1 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო) 1:0; კოტოოშუ (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; ამა (ს)-ბარუტო (ს) 1:0; კიოკუტენჰო (მ 6)-ამინიშიკი (კ) 1:0; კისენოსატო (მ 4)-ტოიონოშიმა (მ 1) 1:0; ფუტენო (მ 1)-დეჯიმა (მ 5) 1:0; ტაკეკაძე (მ 8)-ვაკანოსატო (მ 2) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 3)-იოშიკაძე (მ 12) 1:0; ტაკამისაკარი (მ 14)-მიაბიამა (მ 7).

საჩემპიონო შეხვედრა: ჰაკუჰო (ი)-ამა (ს) 1:0 (უვატენაგე).

სატურნირო მდგომარეობა: 13-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ამა (სეკივაკე). 11-4: კისენოსატო (მაეგაშირა 4); იოშიკაძე (მ 12). 10-5: კიოკუტენჰო (მ 6); მიაბიამა (მ 7); ტაკამისაკარი (მ 14). 9-6: კოტომიცუკი (ოძეკი); ბარუტო (სეკივაკე); ტოიონოშიმა (მ 1); კოტოშოგიკუ (მ 3); ტაკეკაძე (მ 8); ჩიოჰაკუჰო (მ 16); ტოსანოუმი (მ 16)... 3-12: ტოჩინოშინი (მ 4).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (იოკოძუნა), მეცხრედ

ბრწყინვალე ასპარეზობა: ამინიშიკი (კომუსუბი), მეოთხედ

მებრძოლი სული: იოშიკაძე (მაეგაშირა 12), პირველად

ტექნიკური რიკიში: ამა (სეკივაკე), მეხუთედ

ძურიოს ჩემპიონი: შოტენრო (ძ 9)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი



გიგა ნიკლაური (მარჯვნივ)

# ბრინჯაოს გუნდი

ზაგრებში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ძიუდოში. ჩვენი 23-წლამდელთა ნაკრები ტურნირზე **ბორის ფირცხელიანმა** გამოიყვანა. ქართველმა ძიუდოისტებმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, თითოთითო დღეს. ჯერ **უჩა ხუციშვილი** (66 კგ) ავიდა კვარცხლბეკზე, შემდეგ **გიგა ნიკლაურის** (81 კგ) ჯერი დადგა, გუშინ კი მედალი **დავით ლორიაშვილმა** (100 კგ) მოიპოვა. ბიჭებში ჩვენმა გუნდმა გუნდური მე-12 შედეგი აჩვენა, რაც ვერაფერი მიღწევაა. პირველ ადგილზე რუსები გავიდნენ, მეორეზე - უკრაინელები, მესამეზე - ჩეხები.

73 კგ წონით კატეგორიაში **თენგიზ პაპოშვილი** ჭიდაობდა, თუმცა მან ტატამზე მხოლოდ ერთი შეხვედრა გამართა. პირველ წრეში თენგიზი ისვენებდა, მეორეში კი იგი თურქ **ჰასან ვანლიოღლუსთან** დამარცხდა. ჩვენიანი ორჯერ გააფრთხილეს, ხოლო მისი მეტოქე - ერთხელ. შემდეგ წრეში თურქი ძიუდოისტიც დამარცხდა ჩეხ **იარომირ იეჟეკთან**. ასე რომ, პაპოშვილი რეპეშაჟშიც ვერ გავიდა. გაცილებით უკეთ გამოვიდა ისრაელის წარმომადგენელი **იოსებ ფალელაშვილი**, რომელმაც საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა.

81 კგ-ში პირველივე ორთაბრძოლა დათმო გიგა ნიკლაურმაც. რომელიც გერმანელ **სვენ მარეშთან** ორჯერ გააფრთხილეს. გიგას გაუმართლდა, რომ მისმა დამმარცხებელმა ფინალამდე უწია, ნიკლაური რეპეშაჟში ჩაება. პირველ დამამშვიდებელ წრეში ქართველმა ძიუდოისტმა ლიტველ **რადვილას მატუკასს** აჯობა (იუკო). შემდეგ მან ვაზარით დაამარცხა მოლდოველი **ვალერიუ დუმიცა**, ფინალურ წრეში კი ორ წუთზე ოდნავ მეტი დასჭირდა უნგრელი **ლასლო სოკნიაის** გასაგდებად (იპონი). გიგა ნიკლაურმა მე-3 ადგილისთვის მატჩში ჭიდაობის უფლება მიიღო, სადაც ფინელ **ანტი ვირტას** შეხვდა. ნახევარ წუთში მან ვაზარიზე დააგდო ფინელი, შემდეგ ქართველი გააფრთხილეს, თუმცა ის ისევ გააქტიურდა და კიდევ ერთი ვაზარით ვადამდე მოიგო შეხვედრა და ამასთან, ბრინჯაოს მედალი.

90 კგ-ში სუსტად იჭიდავა **გიორგი ეპიტაშვილმა**, არადა, ამ წონით კატეგორიაში ქართველებს ეს არ გვჩვევია. წუთსა და 21 წამში გიორგი იპონით უკრაინელმა **ვლადისლავ პოტაპოვმა** დაამარცხა. შემდეგ წრეში პოტაპოვმაც წააგო და გიორგი ეპიტაშვილი ტურნირს გამოეთიშა.

100 კგ წონით კატეგორიაში დავით ლორიაშვილმა ჯგუფური ეტაპი კარგად გაიარა, მან ჯერ ბოსნიელ **გორან კომლენოვიჩს** აჯობა (იუკო), შემდეგ სლოვაკი **მარტინ იანიტა** გააკრა ბეჭებზე. ქართველმა უნგრელი **ბალინტ ფარკაშიც** იპონით დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. ლორიაშვილი უკრაინელ **ვიაჩესლავ დენისოვს** შეხვდა, ორივემ იუკო მიითვალა, თუმცა უკრაინელმა ვაზარით ფინალის საგზური მოიპოვა, ქართველი კი მე-3 ადგილისთვის მატჩში პოლონელ **კასპერ ლარემს** შეხვდა. ორი იუკო ერთის წინააღმდეგ და დავით ლორიაშვილი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილის** გვეიმედებოდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ადამი საკმაოდ გამოცდილია, პერიოდულად ის ქართულ ჭიდაობასა და სამოყვარულო სუმოშიც გამოდის. ადამს ნახევარფინალში გასასვლელად ორი ორთაბრძოლა ეყო, ორივე (სლოვენიელ **მიტია იენუშთან** და ავსტრიელ **კრისტიან პირხნერთან**) მან იპონით მოიგო. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ქართველიც იპონით დამარცხდა, წუთსა და 25 წამში ოქრუაშვილი იპონზე უნგრელმა **ბარნა ბორმა** დააგდო. მე-3 ადგილისთვის მატჩში ქართველს რეპეშაჟის გამარჯვებული რუსი ძიუდოისტი, **ანდრეი ვოლკოვი** ერგო. მეოთხე წუთის ბოლოს ოქრუაშვილი რუსმა იპონზე წააქცია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

21-23 ნოემბერი. ზაგრები (ხორვატია)

**73 კგ.**

1. მანსურ ისაევი (რუსეთი), 2. ჯოვანი დი კრისტო (იტალია), 3. იარომირ იეჟეკი (ჩეხეთი), 3. პეტერ შარინგერი (ავსტრია).

**81 კგ.**

1. ალექსანდრ სტიაშენკა (ბელარუს), 2. სვენ მარეში (გერმანია), 3. გიგა ნიკლაური (საქართველო), 3. აქსელ გლერგე (საფრანგეთი).

**90 კგ.**

1. ევგენის ბოროდავკო (ლატვია), 2. მაქს შირნჰოფერი (ავსტრია), 3. ვლადისლავ პოტაპოვი (უკრაინა), 3. ზაფარ მახმადოვი (რუსეთი).

**100 კგ.**

1. ვიაჩესლავ დენისოვი (უკრაინა), 2. ეგიდიუს ზილინსკასი (ლიტვა), 3. დავით ლორიაშვილი (საქართველო), 3. დანიელ მატეი (რუმინეთი).

**100 კგ+**

1. ბარნა ბორი (უნგრეთი), 2. სტანისლავ ბონდარენკო (უკრაინა), 3. ანდრეი ვოლკოვი (რუსეთი), 3. მარკო რადულოვიჩი (ჩერნოგორია).

ჩოგბურთი

# ტიტულით ვერ დაასრულა

19 წლის **სოფიო შაფათავამ** (253) ვერ დაასრულა სეზონი ტიტულით, მან ასტანაში მიმდინარე ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) წყვილთა თანრიგის ფინალი დათმო. სოფიოს მეწყვილე რუსი **მარინა შამაიკო** (412) იყო. ქართულ-რუსული დუეტი მე-4 ნომრად იყო განთესილი, მას მე-3 ნომრად განთესილი რუსული დუეტი დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, **მარინა მელნიკოვამ** (484) და **ანასტასია პოლიტკოვსკაიამ** (319) იოლად აჯობეს სოფიოს და მარინას – 6:1, 6:1.

პოლონურ ოპოლეში (25 ათასი $) ასევე წყვილთა თანრიგში იყოჩაღა **მაკა ჩახნაშვილმა** (222). მაკა ლიტველ **ლინა სტანჩიუტესთან** (226) ერთად ასპარეზობდა. მეოთხედფინალში მათ მე-4 ნომრად განთესილ ბრიტანელებს (**სარა დელ ბარიო-არაგონი** (324) და **ჯორჯია სტუპი** (210) აჯობეს – 2:6, 6:4, 10:6. ისინი ნახევარფინალში გააჩერა პოლონელი **კატარჟინა პიტერის** (463) და ჰოლანდიელი **არანჩა რუსის** (188) დუეტმა – 1:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი ფესტივალი

# ტრადიცია გრძელდება

რაგბი, რომელიც ასე წააგავს უკვე თითქმის მივიწყებულ ქართულ ლელობურთს, ბოლო რამდენიმე წელიწადია ჩვენში სულ უფრო პოპულარული ხდება. მსოფლიო თასის ორ ფინალურ ეტაპზე ასპარეზობამ და ჩვენი ეროვნული ნაკრების დამაჯერებელმა თამაშმა, ბიძგი მისცა ახალგაზრდობას და მორაგბეთა რაოდენობა ქვეყანაში დღითიდღე იზრდება. ტარდება ფესტივალები თუ ტურნირები, რომელშიც მონაწილეობას და გამოცდილებას იძენენ ნორჩი მორაგბეები.



ამ მხრივ საინტერესო ტრადიციის ერთგული რჩება სენაკის რაიონის სოფელი ნოქალაქევი, სადაც 1995 წლიდან ცნობილი ვეტერანი მორაგბის **დათო კილასონიას** თაოსნობით მუდმივად ტარდება უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მორაგბის, თემურ სანიკიძის სახელობის ტურნირი. აქ მონაწილეობა მიუღიათ ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრების ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან:. **დათო კაჭარავა, ოთარ ბარკალაია, ბიძინა სამხარაძე** და სხვები. წლეულს ტურნირი ნოემბერში ჩატარდა და მასში 1994-95 წლებში დაბადებულ მოზარდთა 9 გუნდი მონაწილეობდა - აღმოსავლეთ საქართველოდან: "ლელო", თსუ, "შევარდენი" და "აკადემია", დასავლეთიდან: ქუთაისისა და ფოთის ორ-ორი და ნოქალაქევის ერთი გუნდი. ტურნირის გახსნას დაესწრნენ სენაკის გამგეპელი **კობა კილასონია** და საკრებულოს თავმჯდომარე **ხვიჩა ნარმანია**. ტრადიციის თანახმად ტურნირი ფესტივალის სტატუსისაა, - გამარჯვებული თუ დამარცხებული არ არსებობს, მთავარია, ითამაშო ლამაზი და კარგი რაგბი. ყოველ წელს გუნდებისა და მოთამაშეების რაოდენობა იზრდება, იხვეწება თამაშის სტილი. მოზარდები სულ უფრო და უფრო ლაღ რაგბის თამაშობენ და ბიჭები ერთმანეთთან მეგობრდებიან. გამონაკლისი, ცხადია, არც ახლანდელი ფესტივალი ყოფილა. ვიხილეთ არაერთი საინტერესო, დაძაბული თამაში ნიჭიერი ჭაბუკების შესრულებით.

ფესტივალის დასკვნით დღეს გაიმართა ტრადიციული დაჯილდოება-თითოეულ გუნდს სამახსოვრო პრიზები და სიგელები გადასცა დაღუპული მორაგბის დამ, **ნათია სანიკიძემ.**

ტრადიცია გრძელდება. ნოქალაქევის რაგბის მოედანი კვლავ რჩება მომავალი ბორჯღალოსნების დაოსტატების კერად.

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**
სენაკიდან

ლეგიონერები

# ხინჩაგიშვილის გამარჯვების ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა. საკუთარ მოედანზე მეტად პრინციპული მატჩი ჩაატარა კატალონიურ „პერპინიანთან" **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა". ვულკანებმა დამაჯერებლად - 29:9 მოიგეს და საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო გაზარდეს. მით უფრო, რომ „პერპინიანი" უშუალო კონკურენტია. ქართველი მორაგბე სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე გამოსვლის საშუალება არ მისცემია.

საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გაიმართა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივსა" და **გოდერძი შველიძის** „მონტობანს" შორის. ბრიველებმა შეხვედრა 33:28 მოიგეს. გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო მატჩის 76-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა გაიტანა, რომელიც თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „ბაიონთან" წააგო **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ" - 9:42. გორგოძემ ისევ რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშა, ამჯერად თავიდან ბოლომდე. 55-ე წუთზე ის განზრახ უხეში თამაშისთვის ათი წუთით გააძევეს.

მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია ბასკურ „ბიარიცთან" საკუთარ მოედანზე **დავით ქუბრიაშვილისა** და **გიორგი ლაბაძის** „ტულონმა" - 10:5. ქუბრიაშვილი თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად წააგო „სტად ფრანსესთან" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" - 12:19. გიორგაძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. ისევ არ უთამაშია „დაქსის" შემადგენლობაში აქვსენტის ძმას, ირაკლის. დაქსელებმა სტუმრად მარცხი იგემეს აუტსაიდერ „მონ დე მარსანთან" დაპირისპირებაში - 6:12.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XI ტური: **ბურგუენი - ტულუზი 12:18, სტად ფრანსე - კასტრი 19:12, ტულონი - ბიარიცი 10:5, ბაიონი - მონპელიე 42:9, ბრივი - მონტობანი 33:28, მონ დე მარსანი - დაქსი 12:6, კლერმონი - პერპინიანი 29:9.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 39 ქულა, 2. ბაიონი - 37, 3. სტად ფრანსე - 35, 4. პერპინიანი - 35, 5. კლერმონი - 30, 6. მონპელიე - 27, 7. მონტობანი - 27, 8. ბიარიცი - 24, 9. ბრივი - 24, 10. დაქსი - 21, 11. ტულონი - 19, 12. კასტრი - 18, 13. ბურგუენი - 16, 14. მონ დე მარსანი - 11.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ხელბურთი | ფედერაციის ყრილობა

# უალტერნატივო და სწრაფი არჩევანი

## ქართული ხელბურთი ზაზა დოლიძის იმედზეა

### ჯემალ ცერცვაძის მანდატი წყლიანი ბოთლი იყო

ასეთი უცნაურობები ძალიან მოგვიმრავლდა. ტარდება ყრილობა სპორტის რომელიმე სახეობაში და თვალებს არ გინდა დაუჯერო - იმათ, ვისაც ყველაზე მეტი გაუკეთებია და გზა გაუკვალავს თაობებისთვის, ყრილობის დელეგატის მანდატი არ აქვს, დღეს მათ არავინ არაფერს ეკითხება. წესდება არ ითვალისწინებსო, ამბობენ. ვინც ასეთი წესდება დაწერა და მერე დაამტკიცა, რომლის ძალითაც ქართული ხელბურთის ლეგენდას ჯემალ ცერცვაძეს სპორტის ამ სახეობის ყრილობის მანდატს არ მისცემენ, უკაცრავად, მაგრამ ის წესდება, რბილად რომ ვთქვათ, თავზე უნდა გადაახიოს კაცმა.

ბატონი ჯემალი ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ყრილობაზე მოწვეული კი იყო, მაგრამ, როგორც მიხვდით, დელეგატი არ ყოფილა. ერთ-ერთ საკითხზე კენჭისყრისას, ამ ლეგენდარულმა ხელბურთელმა ველარ მოითმინა და ყველამ რომ მანდატი ასწია, მან წყლიანი ბოთლი შემართა და ყველამ დაინახა, რომ წყალი ზოგ საქმეშიც ბევრია.



ჯემალ ცერცვაძე

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა შაბათს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა. ამ ღონისძიების მთავარი საკითხი ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნები იყო, თუმცა გასარკვევი უმტკივნეულოდ გაირკვა – პრეზიდენტობის სურვილი **ზაზა დოლიძის** გარდა, არავის გამოუთქვამს და დელეგატებმაც მას ერთხმად დაუჭირეს მხარი. დოლიძე ქართულ ხელბურთს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. ცნობისათვის, იგი არჩევნებზე სტუ-"შევარდენმა" წარადგინა.



ზაზა დოლიძე | ავტორის ფოტოები

ეს ყრილობა წინა დღით გამართულ მძლეოსანთა ანალოგიური ღონისძიებისგან ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდა. კამათი არ ყოფილა, ყველა პროცედურას საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა, რაც გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მცირე დრო იყო.

მთავარი მომხსენებელი ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე** იყო. დამსწრე საზოგადოებამ მას სთხოვა, სათქმელი მოკლედ ეთქვა და კაკაბაძემაც მაქსიმალურად ლაკონურად შეაჯამა 2005-2008 წლებში გაწეული სამუშაო. მისი მოხსენების მეორე თემა ამავე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში იყო.

ბუნებრივია, კაკაბაძემ აქცენტი ქართული ხელბურთის სიდუხჭირეზე გააკეთა. ამ მიზეზით საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვერ ასპარეზობს, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას კი საშველი არ დაადგა. მაინც გამოითქვა იმედი, რომ ქვეყნის პირველობა 6-7 გუნდის მონაწილეობით უახლოეს პერიოდში დაიწყება.

გენერალურმა მდივანმა დადებით მომენტებზეც გაამახვილა ყურადღება. მან ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციასთან დადებულ ხელშეკრულებაზე ისაუბრა. ნორვეგიელთა თანადგომით, მათ ქვეყანაში სტაჟირებაზე იყვნენ ქართველი მწვრთნელები, მსაჯმა გოგონებმა ნორვეგიის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იმსაჯეს, ჩვენი გუნდი იყო იქაურ ფესტივალზე, ჩვენს ხელბურთელებსა და მსაჯებს სკანდინავებმა აჩუქეს ფორმები... კაკაბაძე თურქებთანაც მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს. სამომავლოდ არსებობს ევროპული ხელბურთის ფედერაციისგან დახმარების მიღების პერსპექტივა. უახლოესი ლოკალური ამოცანა ამ ორგანიზაციიდან მიღებული თანხებით ხელბურთის წესების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემაა.

ამას საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. დებულების მიხედვით, თუ პრეზიდენტობის სურვილი მხოლოდ ერთ კანდიდატს აქვს, ფარული კენჭისყრა საჭირო არ არის. ასე რომ, კენჭისყრა ღია წესით გაიმართა და როგორც გითხარით, დოლიძეს მოწინააღმდეგე არ გამოსჩენია.

ამას გენერალური მდივნის დამტკიცება მოჰყვა. ზურაბ კაკაბაძესაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და იგი ამ თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს. ვიცე-პრეზიდენტებს რაც შეეხება, ახალმა პრეზიდენტმა მათი დასახელება არ იჩქარა. მან მოსაფიქრებლად გარკვეული დრო მოითხოვა. მალე ქართული ხელბურთის სამყაროს წევრები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან, ვიცე-პრეზიდენტებსაც აირჩევენ და სამომავლო გეგმებზეც უფრო ვრცლად და კონკრეტულად ისაუბრებენ.

ექვსი კაცის შემადგენლობით ჩამოყალიბდა პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან **ზაზა ჯიაძე, ივანე ჭყონია, გიორგი სვიმონიშვილი, მიხეილ ქავთარაძე, მერაბ მეტრეველი** და **ჯემალ ბარამიძე.**

ზაზა დოლიძემ სამოქმედო გეგმაზე მოკლედ, მაგრამ საკმაოდ კონკრეტულად ისაუბრა. მისი მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრების იმ დონეზე დაბრუნება იქნება, 1997-2001 წლებში რომ იყო. ამას გარდა, იგი კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებების ჩამოყალიბებას აპირებს. დოლიძე პირობას დებს, რომ 2009 წლის აგვისტოსთვის თბილისს შვიდი კეთილმოწყობილი დარბაზი ექნება, დაგეგმილია ფედერაციის წესდების შექმნა, რომელიც დაახლოებით თვენახევარში დამტკიცდება ახალ ყრილობაზე. რაც მთავარია, ახალი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ 2009 წელს ქართულ ხელბურთს ფინანსური პრობლემები აღარ შეაწუხებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კალათბურთი | საქართველოს ჩემპიონატი, VI ტური

2 ნოემბერი, თბილისი, სპორტის სასახლე

**თსუ–მაკაბი 137:68**

41:6 31:29 38:20 27:13

თსუ: დ. ბერიშვილი (12), გაფრინდაშვილი (2 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), გ. ბარბაქაძე (31), კოხრეიძე (17), შანიძე (20), მარკოიშვილი (11), ყველაშვილი (10), ახალკაცი (19), დ. ბარბაქაძე (13), დეკანოიძე (2)

მაკაბი: კილაძე (4), ახმედიანი (9), ანთაძე (4), ლონდარიძე, იოსელიანი (14), ელიკაშვილი, ჯანგველაძე (26), რევაზიშვილი (2), ბიბილური, ი. ივანეიშვილი (8), სუდაძე (1), მჭედლიძე

მსაჯები: დავით მაჭავარიანი, დავით არეშიძე

**სასოფლო–ბათუმი 96:74**

22:12 22:26 16:18 36:18

სასოფლო: გულისაბედაშვილი (10), მ. ბერიშვილი (24), მარხვაშვილი (10), გასიტაშვილი (2), ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (9), წივწივაძე (11), ათანელიშვილი (15), გვიმრაძე, ჩაჩიბაია (13), ბოქოლიშვილი (2)

ბათუმი: გვაზავა, ვ. მაისურაძე (2), თავართქილაძე (4), ჩხატარაშვილი (2), დოლიძე (5), კეშელავა (22), ბოლქვაძე (2), იმნაძე (34 ქულა, 13 მოხსნა), კვერნაძე (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე

**დინამო–ავიამშენი 65:83**

12:21 11:23 12:15 30:24

დინამო: ბაქრაძე (26), ნანიტაშვილი (3), სორდია (9), ლაფანაშვილი (15), კუჭავა, სიგუა (4), დოლიძე, კობიძე, ხიზანიშვილი (11), კორკოტაძე, ქადარია (1), ხანიაშვილი

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (19), ბოისა (3), ნიკოლაძე (5), კვიმსაძე (2), მინაშვილი (12), მათიაშვილი (27), ნაცვლიშვილი (6 ქულა, 11 მოხსნა), პირველაშვილი (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**ნტდ/თბილ.–ენერჯი/ინვ. 65:83**

26:22 17:20 20:25 17:21

ნტდ: გლოველი (5), მამაცაშვილი (6), ბახშიევი (6), კოლუაშვილი (7), როდუმტა (12), ჩიტაშვილი (7), ფაშაევი (10), სარიევი (15), ნუფთალიევი (7), კეიდია, სუხიშვილი (5)

ენერჯი: გამყრელიძე (22), ლეჟავა (12), ტულუში (25), ბაბიაშვილი (6), უგრეხელიძე (7 ქულა, 12 მოხსნა), დიდია (11), არწივიძე (3), ტუჯანი (2), ჭოჭუა

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ზაზას სამიანები, პორფორდის ოთხიანები, ატლანტის რვიანები

"ატლანტა ჰოქსმა" NBA-ში მე-12 შეხვედრა ჩაატარა და მერვე გამარჯვება მიითვალა. ამჯერად ჯორჯიელებმა თანადივიზიონელ "შარლოტ ბობქეთსს" აჯობეს – 88:83.




ატლანტას "ფილიპს არენაზე" თავიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ და გადამწყვეტი პერიოდის წინ მინიმალური სხვაობითაც იგებდნენ, მაგრამ მეოთხე თორმეტწუთეულში **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელებმა 26:20 იმარჯვეს და საბოლოო წარმატებასაც მიაღწიეს.

"შარლოტთან" მატჩში "ჰოქსს" დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული მეფარე **ელ ჰორფორდი**, რომელმაც 30 წუთი ითამაშა და 4-4 ქულა-მოხსნა მიითვალა. მასზე თითო მოხსნითა და ქულით ნაკლები (3-3) მოაგროვა ასევე სასტარტო შემადგენლობაში მოთამაშე ზაზა ფაჩულიამ. თუმცა, ქართველმა გაცილებით ნაკლები, 18 წუთი გაატარა მოედანზე.

მატჩის სნაიპერი "ატლანტას" კაპიტანი **ჯო ჯონსონი** გახდა – 30 ქულა, 8 პასი. ასევე ტრავმამოშუშებულმა **მერვინ უილიამსმა** ცენტრების არაეფექტურობით ისარგებლა და ორმაგი დუბლი შეასრულა – 10 მოხსნა, 22 ქულა.

"ატლანტა" სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მეორე პოზიციას ინარჩუნებს. პირველია "ორლანდო მეჯიქი".

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ფაჩულიას მონაგარი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 08:10 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:58 | ფოლი: 1 |
| 07:58 | შეცდომა: 1 |
| 06:07 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 04:46 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 04:08 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 05:08 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:07 | საჯარიმოები: 2\1 (2ძ, 35:33) |
| 03:29 | ფოლი: 2 |
| 03:29 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:39 | შეცდომა: 2 |
| 08:35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:43 | საჯარიმოები: 2\2 (3ძ, 53:51) |
| 03:48 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

სიახლე

# გურამ საღარაძე ლექციაზე

კიდევ ერთი სიახლეა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სპორტის მენეჯმენტის მომავალ სპეციალისტებთან ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიაში ლექციის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში **გურამ საღარაძე** მიიწვიეს.

ლექტორმა და სტუმარმა ერთად მოუთხრეს უნივერსიტეტის ცენტრ "სპორტის აკადემიის" პირველკურსელებს საქართველოში სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიაზე, ჩვენთვის ყველაზე წარმატებულ სპორტის სახეობაში - ჭიდაობაში მიღწეულ წარმატებებზე, სხვა ღირსსახსოვარ ისტორიულ ფაქტებზე. სიახლემ სტუდენტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**თენგიზ თომაშვილი**



კრივი

# კარელიძის მემორიალი გორში

გორის კრივის სკოლაში ადგილობრივი კრივის მამამთავრის გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირი გაიმართა 1992-1994-95 წლებში დაბადებულთათვის თბილისის და ქუთაისის ორორი გუნდის, გორის, ფოთის, ჭიათურის, ქარელის, გარდაბნის ასამდე ჭაბუკის მონაწილეობით. საასპარეზოდ ერედვის და ვარიანის კოლექტივებიც ჩავიდნენ გორში. გაგაცნობთ გამარჯვებულებს. 1992-93 წლიანებში: 48კგ- **გიორგი ყულუმბეგაშვილი** (გორი), 50კგ – **სევერიან კალაძე** (დკდ), 52კგ- **ლევან კაჟაშვილი** (დკდ), 54კგ – **გიგა ბუკია** (ფოთი), 57კგ – **შოთა ლომსილაძე** (ქუთაისი), 60კგ – **დავით ხვისტანი** (ქუთაისი), 63 კგ- **გიორგი ჯაფარიძე** (ჭიათურა), 66კგ – **ნუკრი სომხიშვილი** (გორი), 70კგ – **ბესიკ წკრიალაშვილი** (გორი), 75კგ- **ირაკლი ქამადაძე** (დკდ), 80კგ – **ვალერი ხურცია** (ქუთაისი); 1994-95 წწ დაბადებულებში: 38,5 კგ- **გიორგი თეზეკლაშვილი** (გორი), 43კგ- **ვახტანგ ჟორჟოლიანი** (ქუთაისი), 44,5 კგ- **ჯემალ შალამბერიძე** (ქუთაისი), 46კგ – **შალვა ფარეხელაშვილი** (გორი), 52კგ- **ვანო ქარელიშვილი** (გორი), 56კგ- **გიორგი გელაშვილი** (ქუთაისი), 59კგ – **რამაზ გოგიჩაშვილი** (ვარიანი), 68კგ – **ბერიკა მხეცაძე** (ქუთაისი), 72კგ – **ახმედ ინჯია** (ფოთი).

არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში გორისა და ქუთაისის კრივის სკოლები ექვს-ექვსი მედლითაც გამოირჩა, თუმცა საპრიზო ადგილების უპირატესობით წინ ადგილობრივი სპორტსმენები აღმოჩნდნენ.

მემორიალი მეორედ გაიმართა. შარშან ტურნირს ვარიანის კრივის დარბაზმა უმასპინძლა, მაგრამ წლეულს მიზეზთა გამო და გორის კრივის სკოლის ახალი დირექტორის **ბექა ლობჟანიძის** აქტიურობით მემორიალი ქალაქის რინგზე ჩატარდა, თანაც მაღალ დონეზე.

„თავად ბატონი გიორგი გორელი გახლდათ და უპრიანი იყო შეჯიბრებისათვის სწორედ მის მშობლიურ ქალაქს ემასპინძლა. ტურნირში ჩვენი ქვეყნის ყველა იმ ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებიც ამინდს ქმნიან ქართულ კრივში. გამორიცხული არ არის რომ მომავალში აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის წარმომადგენლებიც ვიხილოთ გორის რინგზე," - თქვა ბექა ლობჟანიძემ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 21 ნოემბერი

**ინდიანა-ორლანდო 98:100 (ო)**

34:28, 20:22, 23:20, 14:21, 7:9

ი: დენიელსი (25), ფორდი (22+6 მოხსნა), გრეინჯერი (21+6 მოხსნა).
ო: ჰოვარდი (24+17 მოხსნა+5 დაფარება), ლუისი (23+6 ჩაჭრა+5 მოხსნა), ნელსონი (22+9 პასი), პიეტრუსი (10+7 მოხსნა).

**ფილადელფია-კლიპერსი 89:88**

28:16, 18:33, 22:23, 21:16

ფ: ბრენდი (17+8 მოხსნა), იანგი (17+6 მოხსნა), იგუოდალა (14+12 პასი), მილერი (13+7 პასი), დალემბერი (11+8 მოხსნა).
კ: ტორნტონი (22+9 მოხსნა), კამანი (17+9 მოხსნა), ბ. დევისი (18+6 პასი), კემბი (13+9 მოხსნა).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 127:129**

33:22, 28:25, 24:29, 26:39

ტ: ბოში (42+9 მოხსნა), ბარნიანი (29+10 მოხსნა), კალდერონი (26+15 პასი+5 მოხსნა).
ნ-ჯ: კარტერი (39+9 მოხსნა+6 პასი), ჰარისი (30+5 პასი), ლოპესი (14+6 მოხსნა), ჰეიესი (14).

**ვაშინგტონი-ჰიუსტონი 91:103**

29:17, 21:32, 27:21, 14:31

ვ: ჯეიმისონი (27+10 მოხსნა), ბატლერი (12), ბლეტჩი (14).
ჰ: მაკგრეიდი (20), ლენდრი (19+6 მოხსნა), ბრუკსი (18), იაო მინი (18), არტესტი (14+9 მოხსნა).

**ატლანტა-შარლოტი 88:83**

16:24, 31:19, 15:20, 26:20

ა: ჯონსონი (30+8 პასი), მერვინ უილიამსი (22+10 მოხსნა), ბიბი (14+6 პასი), ევანსი (10+10 მოხსნა).

შ: ოგუსტინი (26+7 პასი), უოლასი (17+10 მოხსნა).

**მინესოტა-ბოსტონი 78:95**

21:22, 18:14, 10:35, 29:24

მ: ჯეფერსონი (23), ტელფეირი (13).
ბ: გარნეტი (17), ტ. ალენი (14), რონდო (13+7 მოხსნა), პირსი (12+11 მოხსნა), რ. ალენი (11+6 პასი), პოუ (10+11 მოხსნა).

**დალასი-მემფისი 91:76**

19:20, 25:21, 24:15, 23:20

დ: ნოვიცკი (25+10 მოხსნა), ტერი (20+3 ჩაჭრა), კიდი (18+13 მოხსნა+6 პასი).
მ: მაიო (19+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კონლი (14), გეი (14+8 მოხსნა), მ. გასოლი (12+8 მოხსნა).

**მილუოკი-ნიუ იორკი 104:87**

28:19, 22:28, 22:13, 32:27

მ: სეშენსი (15+10 პასი+3 ჩაჭრა), ბოგუტი (14+17 მოხსნა), ჯეფერსონი (11), მბა ა მუტი (8+13 მოხსნა).
ნ-ი: დუჰონი (20), რობინსონი (19+10 მოხსნა), ჩენდლერი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), დ. ლი (13+12 მოხსნა).

**სან ანტონიო-იუტა 119:94**

29:24, 32:29, 34:18, 24:23

ს-ა: რ. მეისონი (29), პილი (23+3 ჩაჭრა), დანკანი (18+7 მოხსნა), ფინლი (14), უდოკა (10).
ი: ბრიუერი (17), მაილზი (16+10 მოხსნა), ოქური (11).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 80:105**

17:26, 22:34, 18:23, 23:22

ო: დურანტი (17), კოლისონი (16+13 მოხსნა), უესტბრუკი (15).
ნ-ო: დ. უესტი (19+8 მოხსნა+4 დაფარება), პოლი (17+6 პასი), დ. ბრაუნი (16), სტოიაკოვიჩი (13), არმსტრონგი (13).

**საკრამენტო-პორტლენდი 96:117**

25:28, 26:29, 18:37, 27:23

ს: ტომპსონი (19+12 მოხსნა), ბ. მილერი (16), ჰოვსი (15), ბ. ბრაუნი (13+7 პასი).
პ: ბლეიკი (20), ოლდრიჯი (19), როი (16), აუთლო (15), ფერნანდესი (14), პრჟიბილა (10+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ჩიკაგო 110:115**

28:27, 31:30, 28:28, 23:30

გ-ს: ს. ჯექსონი (32+6 პასი), მაგეტი (24+7 მოხსნა), ბიედრინსი (23+10 მოხსნა), ე. რენდოლფი (10+9 მოხსნა+4 დაფარება).

ჩ: ჰოუზი (26), დ. როუზი (25), გუდენი (18+16 მოხსნა), გორდონი (13), სეფოლოშა (12), ჰანტერი (10).

**ლეიკერსი-დენვერი 104:90**

35:20, 32:27, 21:20, 16:23

ლ: ბრაიანტი (29), ბინუმი (13+13 მოხსნა), ოდომი (13), პ. გასოლი (12), არიზა (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).
დ: ნენე (18), სმითი (18), ბილაპსი (15+9 პასი+3 ჩაჭრა), კლეიზა (13), ენტონი (10+10 მოხსნა).

### 22 ნოემბერი

**შარლოტი-მილუოკი 74:79**

21:22, 15:13, 16:27, 22:17

შ: უოლასი (18), ოკაფორი (16+18 მოხსნა), ფელტონი (14+9 მოხსნა+7 ჩაჭრა), ოგუსტინი (12), შ. ბრაუნი (10).
მ: სეშენსი (18), ვილანუევა (15+8 მოხსნა+4 დაფარება), ჯეფერსონი (15+7 მოხსნა), ბოგუტი (12+17 მოხსნა).

**ორლანდო-ჰიუსტონი 95:100**

17:25, 36:26, 18:22, 24:27

ო: ნელსონი (21+6 პასი), ლუისი (18+8 მოხსნა), ჰოვარდი (13+9 მოხსნა), რედიკი (13).
ჰ: იაო მინი (22+13 მოხსნა), ელსტონი (17+7 პასი), მაკგრეიდი (17), არტესტი (11), ლენდრი (11).

**კლივლენდი-ატლანტა 110:96**

29:11, 20:19, 30:28, 31:38

კ: ლ. ჯეიმსი (24+7 მოხსნა+8 პასი), მო უილიამსი (23), დ. უესტი (19), ილგაუსკასი (17+7 მოხსნა).
ა: ევანსი (21), ლოუ (20+7 პასი), ჰორფორდი (12+9 მოხსნა), მერვინ უილიამსი (11+7 მოხსნა), ბიბი (10).

**მაიამი-ინდიანა 109:100**

20:31, 28:29, 31:19, 30:21

მ: უეიდი (38+8 პასი), მერიონი (18+9 მოხსნა+6 ჩაჭრა), ბიზლი (17), ჰასლემი (16+8 მოხსნა).
ი: დენიელსი (25), გრეინჯერსი (23+6 პასი), ნესტეროვიჩი (13+7 მოხსნა), ფორდი (11), რაში (10), მერფი (6+11 მოხსნა+6 პასი).

**ნიუ ჯერსი-კლიპერსი 112:95**

31:27, 24:20, 29:24, 28:24

ნ-ჯ: იი იანლიანი (27), კარტერი (26+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარისი (18+10 პასი), ლოპესი (14+10 მოხსნა), სიმონსი (11+9 მოხსნა).
კ: ბ. დევისი (30+10 პასი), ტორნტონი (20+7 მოხსნა), კემბი (18+13 მოხსნა+3 დაფარება), კამანი (14).

**ნიუ იორკი-ვაშინგტონი 122:117**

35:29, 25:27, 31:33, 31:28

ნ-ი: რიჩარდსონი (34+12 მოხსნა), რობინსონი (27+6 პასი), ჩენდლერი (23), დ. ლი (22+12 მოხსნა), დუჰონი (10+11 პასი).
ვ: ჯეიმისონი (29+13 მოხსნა), ბატლერი (23+3 ჩაჭრა), იანგი (17), სონგაილა (13), სტივენსონი (10+8 პასი).

**მემფისი-იუტა 94:103**

25:28, 18:22, 26:27, 25:26

მ: მაიო (23), გეი (21), არტური (16+9 მოხსნა), კონლი (14+8 პასი), მ. გასოლი (10).
ი: ოქური (23), ბრიუერი (21+4 ჩაჭრა), ელმონდი (11).

**ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა 109:97**

28:30, 25:18, 29:24, 27:25

ნ-ო: პოლი (29+10 მოხსნა+16 პასი+3 ჩაჭრა), დ. უესტი (33+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (12), ბატლერი (10).
ო: დურანტი (30), გრინი (17), უილკოქსი (14+10 მოხსნა).

**ფინიქსი-პორტლენდი 102:92**

21:17, 20:19, 31:26, 30:30

ფ: შ. ო'ნილი (19+17 მოხსნა), სტაუდმაიერი (17+9 მოხსნა), ნეში (16+7 პასი), ჰილი (15), ბელი (14), დიაო (10).
პ: როი (26), ბლეიკი (22), ოლდრიჯი (14+7 მოხსნა).

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 21 ნოემბერი

**ბოსტონი-ფლორიდა 4:2**

2:1, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 კესელი-10 (სავარი-19, ვიდემანი-5), 1:1 ბუტი-9 (ჰორტონი-6, მაკეიბი-5), 2:1 პ. ბერჟერონი-4 (ჰანეიკი-3, რაიდერი-8), 3:1 კრეისი-5 (კობესოუ-6), 4:1 სავარი-8 (პ. ბერჟერონი-10, აქსელსონი-6), 4:2 პელტონენი-1 (ბოუმისტერი-8, მაკეიბი-6).

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 5:2**

2:0, 2:2, 1:0

გოლები: 1:0 კლარკსონი-5 (ოდუია-9, ჯონტა-10), 2:0 ზაიაცი-3 (ლანგენბრუნერი-5, პარიზე-9), 2:1 ჰილბერტი-4 (უიტი-1), 3:1 სალვადორი-1 (ლანგენბრუნერი-6, პარიზე-10), 3:2 ბერგენჰაიმი-4 (სატონი-5, უეიტი-13), 4:2 ჯონტა-5 (ელიაში-8, პარიზე-11), 5:2 მარტინი-2 (ლანგენბრუნერი-7, ელიაში-9).

**კაროლინა-ფინიქსი 5:2**

1:2, 2:0, 2:0

გოლები: 0:1 პორტერი-4 (იენდლი-9, ჟოვანოვსკი-3), 1:1 ე. სტაალი-6 (სამსონოვი-4, ტ. რუუტუ-6), 1:2 დოუნი-11, 2:2 ე. სტაალი-7 (პიტკანენი-6, ვალინი-8), 3:2 ე. სტაალი-8 (ს. უოკერი-3, პიტკანენი-7), 4:2 რეი უიტნი-6 (ბრინდამორი-7), 5:2 რეი უიტნი-7 (ს. უოკერი-4, პიტკანენი-8).

**ბაფალო-ფილადელფია 0:3**

0:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 პარტნელი-5 (საიმონ განიე-12, ალბერტსი-4), 0:2 ჯ. კარტერი-12, 0:3 ჯ. კარტერი-13 (ნოდლი-3, ტიმონენი-7).

**ტამპა ბეი-ნეშვილი 4:1**

3:1, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ლეკავალიე-8 (მელოუნი-1, სტემკოსი-4), 2:0 ლეკავალიე-9 (სენტ ლუისი-10), 2:1 ტუტუ-3 (ზენონი-2), 3:1 რეკი-4 (მალიკი-2, მელოუნი-3), 4:1 პროსპალი-4 (მელოუნი-4, სტემკოსი-5).

**სენტ ლუისი-ანაჰაიმი 3:2 (ო)**

1:0, 0:0, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ბექსი-3 (ვინჩესტერი-1, პოლაკი-2), 1:1 კუნიტცი-3 (რაიანი-2, ჰასკინსი-4), 2:1 რეჟიე-3 (ბექსი-4, ვოივიტკა-2), 2:2 ს. ნიდერმაიერი-3 (გეტცლაფი-17, პალსონი-4), 3:2 სტემპნიაკი-3.

### 22 ნოემბერი

**პიტსბურგი-ვანკუვერი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 დემიტრა-6 (ჰ. სედინი-16, დ. სედინი-9), 0:2 დ. სედინი-9 (ჰ. სედინი-17), 1:2 ზიგომანისი-2 (ტ. კენედი-8, გოლიგოსკი-6), 1:3 დემიტრა-7 (დ. სედინი-10, ჰ. სედინი-18).

**ოტავა-რეინჯერსი 4:1**

1:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 სპეცა-7 (ჰიტლი-9, პიკარი-6), 2:0 ვინჩესტერი-2 (ვერმეტი-3), 3:0 ალფრედსონი-5, 3:1 ნესლუნდი-7 (ძერდიოვი-10, რედენი-8), 4:1 ფოლინო-4 (ი. რუუტუ-5).

**ბაფალო-აილენდერსი 2:4**

1:1, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 ჰილბერტი-5 (ჰანტერი-7, ბეილი-2), 1:1 მანკარი-1 (გოსტადი-2, პეი-6), 1:2 სიმი-5 (შტრაიტი-9, კამპოლი-2), 1:3 გერინი-7 (ჰილბერტი-4, უეიტი-14), 2:3 რუა-4 (სეკერა-10, მპაჩეკი-9), 2:4 შტრაიტი-5 (უეიტი-15).

**ტორონტო-ჩიკაგო 4:5 (ო)**

1:0, 3:2, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 კუბინა-4 (სტაიანი-13, პონიკაროვსკი-9), 2:0 სტაიანი-6 (ტ. კაბერლე-13, გრაბოვსკი-5), 3:0 მური-4 (ჯ. ბლეიკი-7), 3:1 შარპი-11 (კეიტი-6, ბ. კემპბელი-11), 3:2 შარპი-12 (ა. ჯონსონი-4), 4:2 პონიკაროვსკი-6 (ჯ. მიტჩელი-4, მეიერსი-3), 4:3 კეინი-11 (ვერსტეეგი-13, ბ. კემპბელი-12), 4:4 იგერი-3 (ბოლანდი-9, ლედი-5), 4:5 ბოლანდი-3 (კეიტი-7, ჰავლატი-11).

**მონრეალი-ბოსტონი 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ა. კოსტიცინი-3 (გორჯესი-4, კოსტოპულოსი-2), 1:1 ლუჩიჩი-6 (კესელი-6, იელე-5), 1:2 ჰანეიკი-2 (კრეისი-9, კობესოუ-7), 2:2 კოსტოპულოსი-2 (ლანგი-7, ბრისბუა-2).
ბულიტები გაიტანეს: ველერი (ბოსტონი).

**ფილადელფია-ფინიქსი 4:3 (ო)**

1:1, 0:1, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ჰარტნელი-6, 1:1 კარჩილო-1, 1:2 ჰანჟალი-2 (ზ. მიხალეკი-5, პორტერი-4), 2:2 ნუბლი-8 (ტიმონენი-8, საიმონ განიე-13), 2:3 ფედორუკი-2 (ჰანჟალი-9, ბოედკერი-5), 3:3 ჯ. კარტერი-14 (მ. რიჩარდსი-15, საიმონ განიე-14), 4:3 მ. რიჩარდსი-6 (ჯ. კარტერი-4).

**ატლანტა-კოლამბუსი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ნეში-10 (ტოლეფსენი-1, ბრასარი-12), 0:2 უმბერგერი-8 (ნეში-9).

**მინესოტა-სენტ ლუისი 1:2**

0:0, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 ვეილო-2 (მეპარდი-3, რაიტცი-1), 1:1 ბოიესი-9 (ტკაჩუკი-4, რეჟიე-1), 1:2 ბოიესი-10 (ბრიუერი-2, სტემპნიაკი-10).

**დალასი-ანაჰაიმი 1:2 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 პერი-7 (სელიანე-10, გეტცლაფი-18), 1:1 ლ. ერიქსონი-9 (დელეი-4, ტურკო-1). **ბულიტები გაიტანეს:** ბ. რიჩარდსი (დალასი), პერი (ანაჰაიმი), გეტცლაფი (ანაჰაიმი).

**კალგარი-დეტროიტი 2:5**

0:1, 1:1, 1:3

გოლები: 0:1 მიოლტბი-2 (ლილია-4), 0:2 ლებდა-1 (ჰუდლერი-11, ლილია-5), 1:2 გლენკროსი-3 (კონროი-6, მოსი-5), 2:2 ჯორდანო-1 (იგინლა-13, გლენკროსი-7), 2:3 ჰუდლერი-7 (ზეტერბერგი-9), 2:4 დაცუკი-7 (ფილპულა-6, რაფალსკი-13), 2:5 მარიან ჰოსა-11 (დაცუკი-13).

**ლ. ანჯელესი-კოლორადო 3:4 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 ჰეიდუკი-9 (ჰენსიკი-4, სალეი-4), 0:2 ვოლსკი-2 (შჩასტნი-13, ლაილსი-6), 1:2 ფროლოვი-6 (ქუინსი-8, სტოლი-4), 2:2 ო'სალივანი-5 (კოპიტარი-12), 3:2 დ. ბრაუნი-8, 3:3 შჩასტნი-4 (ჰენანი-2, ვოლსკი-10).
ბულიტები გაიტანეს: სვატოსი (კოლორადო), ჰეიდუკი (კოლორადო).

**სან ხოსე-ვაშინგტონი 7:2**

3:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 მარლო-10 (ბოილი-11, სეტოგუჩი-12), 2:0 ქლოუ-10 (რ. ბლეიკი-12, მ. მიხალეკი-6), 3:0 სეტოგუჩი-12 (ჯ. ტორნტონი-17, მარლო-14), 3:1 პოტი-3 (ბრედლი-1, სლოუნი-2), 4:1 ჯ. ტორნტონი-5 (ვლასიჩი-10, ბოილი-12), 5:1 ვლასიჩი-2 (რ. ბლეიკი-13, ჩიჩუ-4), 5:2 ფლიშმანი-8 (ოვეჩკინი-16, ბექსტრომი-15), 6:2 ქლოუ-11 (რ. ბლეიკი-14, ბოილი-13), 7:2 გრირი-3 (როინკო-4, რ. ბლეიკი-15).

## რაგბი ლიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# კენგურუების ჰეგემონია კივებმა დაამხეს



მსოფლიო რაგბი ლიგაში ავსტრალიელთა ჰეგემონია დაემხო. დღემდე, 1975 წლიდან მოყოლებული, „კენგურუები" მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონები იყვნენ. ამჯერად კი, პლანეტის საუკეთსო გუნდის ტიტული ზელანდიის ნაკრებს.ერგო. „კივებმა" ბრიზბენში მასპინძელთა გუნდი ფინალურ შეხვედრაში 34:20 დაამარცხეს და კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავეს.

რაგბი ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატის ასეთ დასასრულს ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა. უპირობო ფავორიტები „კენგურუები" იყვნენ. ჩემპიონატის მიმდინარეობა კი, უბრალო ფორმალობად მიიჩნეოდა, რომელშიც, ცხადია, ავსტრალიას უნდა გაემარჯვა. მით უფრო, რომ ურთიერთშეხვედრებში ავსტრალიელთა უპირატესობა საკმარისზე დიდია - 30:6.

ყველა ასე ფიქრობდა ზელანდიელების გარდა. თუმცა ფინალური მატჩის დასაწყისი სულაც არ იყო მათ აქტივში ჩასაწერი. „კენგურუებმა" მალე შეძლეს ორი ლელოს გატანა, რომელთაგან მხოლოდ ერთი გარდასახეს და 10:0 დაწინაურდნენ. ძნელი წარმოსადგენი იყო. ასეთი სტარტის შემდეგ ზელანდიელები, რომლებსაც ჯგუფურ ეტაპზე წაგებული ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან 6:30, მატჩის გადარჩენას თუ შეძლებდნენ.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა თამაში ააწყვეს. დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით გარჯამ სათამაშო უპირატესობაც მოაპოვებინათ. მალე **ჯერომი როპატისა** და **ჯერემი სმითის** ორი ლელოს წყალობით, რომლებიც **ბენჯი მარშალმა** გარდასახა, „კივები" ანგარიშში დაწინაურდნენ - 12:10. თუმცა ტაიმი მაინც მასპინძლებმა მოიგეს - 16:12. **დევიდ ვილიამსის** ლელო **ჯონათან თარსტონმა** გარდასახა.

მეორე ნახევარში ზელანდიელები სათამაშო უპირატესობას სრულად დაეუფლნენ. **ლეინსე ჰოჰაიამ** და ბენჯი მარშალმა თითო ლელო მიითვალეს, რომელთაგან **ისააკ ლუკემ** მხოლოდ ერთის გარდასახვა მოახერხა - 22:16. „კენგურუებმა" ამაზე **გრეგ ენგლიზეს** ლელოთი უპასუხეს. ამან მეტოქის ქალაქში ზედ კიდესთან შეაღწია, ჯონათან თარსტონმა რთული მდგომარეობიდან გარდასახვა ვერ გაიტანა - 20:22.

თამაშის დასრულებამდე 16 წუთი რჩებოდა. ცხადია, ეს დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ მატჩის ბედი სათავისოდ გადაეწყვიტათ „კენგურუებს". თუმცა „კივებმა" ყველაფერი ილონეს თავდაჯერებული მასპინძლების დასასჯელად. ჯერ მატჩის არბიტრმა მათ საჯარიმო ლელო ჩაუთვალა სრულიად სამართლიანად. მერე კი, ავტრალიელთა განადგურებას ბოლო წერტილი **ადამ ბლერმა** დაუსვა. ორივე ლელო ლუკემ გარდასახა - 34:20.

**სტეფან კიარნი**, ზელანდიის ნაკრების მწვრთნელი: *„ეს იყო ბრწყინვალე თამაში. ყველაფერი ვილონეთ, რათა ავსტრალიისთვის მისთვის უჩვეულო ადგილი მიგვეჩინა. ბიჭებს მადლობა უნდა გადავუხადო. დღეს ჩვენ ბევრი მოთამაშე გვა-...და. მაგრამ ვინც გუნდში იყო, თავისი ...საძლებლობების მაქსიმუმი გაიღო.*

*ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ. ვფიქრობ, „კენგურუების" ერა დასრულდა და ახალი, „კივების" ერა დაიწყო".*

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ავსტრალია-ზელანდია 20:34**

**ავსტრალია:** ლ - ლოკიერი (2), ვილიამსი, ენგლიზი. გ- თარსტონი (2)

**ზელანდია:** ლ - სმითი, როპატი, ჰოჰაია, მარშალი, საჯარიმო, ბლერი. 5გ - ლუკე (3), მარშალი (2)

## რაგბი. შემოდგომის ტესტები

# ზელანდია მაინც ზელანდიაა



შემოდგომის ტესტები დასასრულს უახლოვდება. ბოლოსწინა საშეჯიბრო კვირას მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ერთი ეგაა, სამხრეთელთაგან არგენტინა დამარცხდა ირლანდიაში. პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახლოს იყო გამარჯვებასთან ზელანდიელების წინააღმდეგ მატჩში უელსის ნაკრებიც. მაგრამ ზელანდია მაინც ზელანდიაა.

უელსელებმა ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა გამართეს. პირველ ტაიმში ისინი „ოლ ბლექსს" არაფერს უთმობდნენ. მეტიც, უმეტეს სათამაშო კომპონენტში მოწინააღმდეგე დაჯაბნეს კიდეც. თუმცა ლელოს გატანა ვერაფრით მოახერხეს. პირველ ტაიმში ხუთი საჯარიმო გავიდა. აქედან სამი უელსელებმა გაიტანეს და ტაიმი 9:6 მოიგეს.

მეორე ნახევარში ზელანდია ერთიანად შეცვლილი გამოვიდა. როგორც სჩვევიათ, ხელდახელ ათამაშდნენ. ასე მოთამაშე „ოლ ბლექსის" შეჩერება კი, ნებისმიერი ძალის გუნდისთვის ზერთული ამოცანაა. მასპინძლებმა თავიანთ მონაგარს ველარაფერი შემატეს. ზელანდიელთაგან კი, თითო ლელო **მაა ნონუმ** და **ჯერომ კაინომ** მიითვალეს. გარდასახვისას **დან კარტერი** ორივეჯერ ზუსტი იყო. მანვე პირველ ტაიმში გატანილ ორ საჯარიმოს კიდევ სამი მიუმატა და ზელანდიელებმა მაინც დამაჯერებლად გაიმარჯვეს - 29:9.

მსოფლიოს თასის მფლობელმა სამხრეთ აფრიკამ ინგლისი გაანადგურა - 42:6. „პომებმა" ანგარიში **დენი სიპრიანის** საჯარიმო დარტყმით მატჩის პირველივე წუთზე გახსნეს. თუმცა მთელი მატჩის განმავლობაში რაიმე ხეირიანის გაკეთება ვერაფრით მოახერხეს. მეორე საჯარიმო სიპრიანიმ 28-ე წუთზე გაიტანა, როცა ანგარიში - 3:20 იყო. „პომებს" მეტის მისაღწევად არც ძალა ეყოთ და არც ხერხი. მათ დამრიგებელს, ლეგენდარულ **მარტინ ჯონსონს**, გუნდის ოდინდელი დიდების დასაბრუნებლად მუხლჩაუხრელი შრომა მართებს.

რაც შეეხება „ბოკეს". ამათ ყველაფერი გამოსდიოდათ. შერკინებაც, როგორც წესი, მაგრად იდგა და უკანახაზელებიც ჩაუქრობდნენ. სულ კი, მასპინძლებს ერთმანეთზე უკეთესი ხუთი ლელო გაუტანეს და სამარცხვინო მარცხი აგემეს.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა შეხვედრა დუბლინში. ირლანდიისა და არგენტინის ნაკრებების შეხვედრაში ანგარიში 36-ე წუთზე გაიხსნა. საჯარიმოდან არგენტინელმა **სანტიაგო ფერნანდესმა** გაიტანა. სამ წუთში ასევე საჯარიმოდან **რონან ოგარამ** გაათანაბრა - 3:3.

მეორე ნახევარში ირლანდიელებმა მეტოქის წინააღმდეგობა მაინც დაძლიეს. ოგარამ ორი საჯარიმო და არეკნი გაიტანა. თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი, **ტომი ბოუიმ** გატანილი ლელოთი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 17:3.

შინ დამარცხდა ავსტრალიასთან საფრანგეთის ნაკრები, რომელიც შემოდგომის ტესტებზე საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობს. „ლე ბლოს" რიგებში მგეზავი **დავიდ სკრელა** გამოირჩა, რომელმაც თითო საჯარიმო, არეკნი, ლელო და გარდასახვა გაიტანა. სულ 13 ქულა. სამაგიეროდ ხუთით მეტის 15-ის მოგროვება შეძლო ვოლაბმა და შეხვედრა -18:13 მოიგეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ინგლისი-ს. აფრიკა 6:42**

**ინგლისი:** 2ს - სიპრიანი

**ს. აფრიკა:** 5ლ - როსუ, პიენაარი, ჯეიკობს, ფური, ჰაბანა. 4გ - პიენაარი (3), სტეინი. 3ს - პიენაარი.

**უელსი-ზელანდია 9:29**

**უელსი:** 3ს - ს. ჯონსი.

**ზელანდია:** 2ლ - ნონუ, კაინო. 2გ,5ს - კარტერი

**ირლანდია-არგენტინა 17:3**

**ირლანდია:** ლ - ბოუი. 3ს,ა - ოგარა.

**არგენტინა:** ს - ფერნანდესი

**შოტლანდია-კანადა 41:0**

**შოტლანდია:** 6ლ - უოლკერი (2), ლამონტი, სტროკოში, ბარკლი, კაირნზი. 4გ - გოდმანი (3), პარკსი. ს - გოდმანი.

**საფრანგეთი-ავსტრალია 13:18**

**საფრანგეთი:** ლ - სკრელა. გ,ს,ა - სკრელა.

**ავსტრალია:** 2ლ - მური, ჰაინსი. 2ს,გ - გიტო.

**იტალია-კუნძულელები 17:25**

**იტალია:** 3ლ - ჯილარდინი, მარკატო, მირკო ბეგამასკო. გ - მარკატო.

**კუნძულელები:** 3ლ - დელასუ (2), რატუვოუ. 2გ,2ს - სერემაია.

**იაპონია-აშშ 32:17**

**იაპონია:** 4ლ - ჰატაკეიამა, ტომიოკა, უებბი, კიკუტანი. 3გ,2ს - ნიკოლასი.

### 29 ნოემბერი

ინგლისი-ზელანდია
უელსი-ავსტრალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ნადალი საჭირო არ ყოფილა

## ესპანეთის მესამე ტრიუმფი და არგენტინელთა დამსხვრეული ოცნებები




დევისის თასის ფინალი მასპინძლებისთვის შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ არგენტინული პუბლიკის სამარისებური სიჩუმითა და ესპანეთის ნაკრების ზეიმით დასრულდა. რეიტინგის 31-ე ნომერმა **ფელისიანო ლოპესმა** შეძლო ის, რაც მის სამშობლოში ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, ხოლო მისმა ტრიუმფმა საჩოგბურთო სპეციალისტების ყველა პროგნოზი და ანალიტიკური მოსაზრება გააცამტვერა.

პირველები კორტზე სეხნიები **დავიდ ნალბანდიანი** და **დავიდ ფერერი** გავიდნენ. მართალია, ეს ჩოგბურთელები რეიტინგში მეზობლები არიან, მაგრამ შეხვედრა ცალკარა გამოდგა და ეჭვქვეშ დააყენა ფინალში ფერერის სარგებლიანობა. ესპანელი სრულიად განადგურებული ჩანდა, რაც მისი თამაშის ყველა კომპონენტს დაეტყო. ფერერს არაფერი გამოსდიოდა, ნალბანდიანმა კი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, თუმცა აღიარა, რომ უკეთესად თამაშიც შეეძლო. სხვათა შორის, არგენტინელს მეტოქეზე მეტი უნებლიე შეცდომა დაუგროვდა, სამაგიეროდ მნიშვნელოვან მომენტებში ოპონენტზე ზუსტი იყო - ბადესთან 14-ჯერ გასულმა 12 ქულა აიღო, 15 ბრეიკპოინტიდან კი შვიდი გამოიყენა და ზუსტად ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ, დევისის თასზე თავისი მე-17 საშინაო გამარჯვება მოიპოვა - 6:3, 6:2, 6:3.

არგენტინის ნაკრებს 10 წელია, საკუთარ მოედანზე არ წაუგია დევისის თასის მატჩი. ამჯერადაც, მასპინძლები სერიოზულად იყვნენ განწყობილნი და ისტორიაში პირველად აპირებენ ამ საპატიო ჯილდოს მოგებას. მაგრამ არგენტინელთა ოცნებები ეჭვქვეშ დააყენა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, რომელმაც მოულოდნელად წააგო ფელისიანო ლოპესთან. ესპანელთა კაპიტანმა **ემილიო სანჩესმა** შემთხვევით არ აირჩია ეს ჩოგბურთელი თავისი გუნდის მეორე ნომრად - არგენტინელთა მიერ არჩეულ სწრაფსაფრიან კორტზე ლოპესის შემტევი სტილი ზედგამოჭრილი იყო.

დელ პოტროს წელს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, რომელიც მასტერსის თასზე გამოსვლით დაგვირგვინდა. მაგრამ გადატვირთულმა გრაფიკმა და კონტინენტიდან კონტინენტზე გაუთავებელმა გადაფრენებმა, დელ პოტროს ბევრი ენერგია გამოაცალა და აშკარად ჩანდა, რომ დროში გაწელილ მატჩში ლოპესს უფრო მეტი შანსი ექნებოდა.

ასეც მოხდა. პირველი სეტში დელ პოტრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა და დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ლოპესმა მეორე სეტში გაათანაბრა თამაში და ამ პარტიის ლოგიკური დასასრული ტაიბრეიკი აღმოჩნდა, რომელშიც ფელისიანომ მხოლოდ ორი ქულა დაუთმო მეტოქეს. მესამე პარტიაც მეორის ანალოგიური აღმოჩნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაყურებლები თავიანთი შეძახილებით აშკარად ხელს უშლიდნენ ლოპესს. ცხადი იყო, რომ ფელისიანოს ხუან მარტინის გარდა, 10 ათასი გულშემატკივარის წინააღმდეგაც უწევდა ბრძოლა. ასე მაგალითად, მეორე ტაიბრეიკზე, როცა დელ პოტრო 3:2-ს იგებდა, ერთ-ერთი მაყურებლის წამოძახილმა სტუმარს ორმაგი შეცდომა დააშვებინა. მაგრამ არ ღირდა ლოპესის გალიზიანება - ესპანელმა ზედიზედ ხუთი ქულა მოიპოვა და სეტებში 2:1 დაწინაურდა.

მომდევნო სეტმა კი ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. აშკარად ჩანდა, რომ დელ პოტროს ერთი სული ჰქონდა როდის დაასრულებდა მატჩს და დასასვენებლად წავიდოდა. 2:3-ზე ხუან მარტინმა კუნთის დაჭიმვის მიზეზით კინაღამ ვადაზე ადრე დატოვა კორტი. მაგრამ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, დელ პოტრომ შეხვედრის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ გასაგრძელებელი არაფერი იყო. ცოტა ხანში ფელისიანო ლოპესის თანაგუნდელები გამარჯვებას ულოცავდნენ.

მატჩის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ალბერტო მანჩინიმ შაბათს გასამართ წყვილთა მატჩისთვის **ხოსე აკასუსო** ნალბანდიანით შეცვალა. შეგახსენებთ, რომ რუსეთთან ნახევარფინალშიც არგენტინელებმა ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს და კინაღამ დაისაჯნენ კიდეც. წყვილთა მატჩი წააგეს, მეორე დღეს კი, დაქანცულმა ნალბანდიანმა ერთეულთა თამაშიც დათმო და მაშინ არგენტინა დელ პოტრომ გადაარჩინა.

■ ■ ■

ნალბანდიანმა ვერც ამჯერად შეძლო წყვილთა მატჩში თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევა. მასპინძელთა ლიდერმა **აგუსტინ კალერისთან** წყვილში მხოლოდ პირველი სეტის მოგება შეძლო. შემდეგ კი აშკარად გამოჩნდა ის, რომ **ფერნანდო ვერდასკო** და ფელისიანო ლოპესი დიდი ხანია წყვილთა თანრიგში ერთად თამაშობენ და კარგად უგებენ ერთმანეთს.

მეორე და მესამე სეტებში არგენტინული დუეტი ასე თუ ისე ებრძოდა მეტოქეს, მაგრამ მეოთხე სეტში უკვე ცხადად გამოჩნდა, რომ მასპინძლებს მატჩის გადასარჩენად არც მორალური და არც ფიზიკური ძალა არ გააჩნდათ.

არგენტინა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა - კვირას ამ გუნდს ერთეულთა ორივე მატჩი უნდა მოეგო ისტორიული გამარჯვების მისაღწევად. გუშინდელი სათამაშო დღე დელ პოტროსა და ფერერს უნდა გაეხსნათ, მაგრამ გუნდების კაპიტნებმა პარასკევის ანტიგმირები შესაბამისად ხოსე აკასუსოთი და ფერნანდო ვერდასკოთი შეცვალეს. სწორედ ამ ჩოგბურთელების მატჩი აღმოჩნდა გადამწყვეტი.

ეს იყო 4-საათიანი ტრილერი, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი სეტი ესპანელმა მოიგო, შემდეგი ორი - არგენტინელმა და როცა ყველას ეგონა, რომ აკასუსომ საბოლოოდ იგდო ხელთ უპირატესობა, სწორედ ამ დროს გამოასწორა თამაში ვერდასკომ.

წინა სეტებში მეტოქეები უხვად ურიგებდნენ ერთანეთს ბრეიკებს, სამაგიეროდ მეოთხე პარტიაში ესპანელმა საკუთარ გეიმებში უშეცდომოდ ითამაშა, ხოლო ერთადერთი ბრეიკის წყალობით პარტიის მოგება და ანგარიშის გათანაბრება შეძლო. აკასუსოს ნაკლებად მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა. არგენტინელის თამაში საბოლოოდ მოიშალა და მან მეხუთე სეტში მხოლოდ ერთი გეიმის მოგება მოახერხა.

ესპანეთმა ისტორიაში მესამედ მოიპოვა დევისის თასი, თანაც მან ეს **რაფაელ ნადალის** გარეშე გააკეთა, რაც ამ გუნდის წარმატებას გაცილებით მეტ ფასს მატებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**არგენტინა-ესპანეთი 1:3**

1:0 დავიდ ნალბანდიანი-დავიდ ფერერი 6:3, 6:2, 6:3

1:1 ხუან მარტინ დელ პოტრო-ფელისიანო ლოპესი 6:4, 6:7(2), 6:7(4), 3:6

1:2 კალერი/ნალბანდიანი-ლოპესი/ვერდასკო 7:5, 5:7, 6:7(5), 3:6

ხოსე აკასუსო-ფერნანდო ვერდასკო 3:6, 7:6(3), 6:4, 3:6, 1:6

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ტორონტო-ბოსტონი | 103:118 |
| **გერმანია** | |
| ჯაიანტსი-ტიუბინგენი | 75:71 |
| კიოლნი-გეტინგენი | 76:77 |
| ტელეკომი-ლიუდვიგსბერგი | 76:67 |
| ჰესენი-პადერბორნი | 79:68 |
| ოლდენბურგი-ბამბერგი | 76:73 |
| ერტლანდი-ნორდლინგენი | 83:74 |
| ბრემერჰავენი-ულმი | 86:90 |
| ალბა-ტრირი | 89:78 |
| სკაილაინ.-ბრაუნშვაიგი | 81:75 (ო) |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-ეგალეო | 71:57 |
| კოლოსოსი-პანელინიოსი | 79:86 |
| პაოკ-ოლიმპია | 77:70 |
| კავალა-არისი | 68:74 |
| მარუსი-პანიონიოსი | 70:78 |
| ლარისა-ტრიკალა | 73:71 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკ. | 86:69 |
| **ესპანეთი** | |
| უნიკახა-ბარსელონა | 82:71 |
| ბილბაო-ხუვენტუდი | 100:116 |
| ბრუესა-სარაგოსა | 77:67 |
| გრანადა-ფუენლაბრადა | 71:63 |
| მანრესა-ესტუდიანტესი | 68:60 |
| რეალი-გრან კანარია | 95:80 |
| ტაუგრესი-მურსია | 105:60 |
| კახასოლი-პამესა | 69:74 |
| **იტალია** | |
| აველინო-მილანი | 68:61 |
| ფორტიტუდო-ბენეტონი | 73:61 |
| კანტუ-ვირტუსი | 69:87 |
| რიეტი-ბიელა | 91:78 |
| სიენა-მონტეგრანარო | 88:62 |
| სკავოლინი-რომა | 106:93 |
| სნაიდერო-ტერამო | 77:88 |
| ფერარა-იუვე სტაბია | 70:86 |
| **საფრანგეთი** | |
| ბეზანსონი-რუანი | 91:85 |
| ნანსი-გრაველენი | 100:76 |
| ორლეანი-დიჟონი | 88:78 |
| პო ორტეზი-შალონი | 57:88 |
| ტულონი-ვიში | 67:81 |
| შოლე-ლე მანი | 56:80 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ხიმიკი | 2:2 |
| სპარტაკი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| ვიტიაზი-ამური | 2:2 |
| ლოკომოტივი-სიბირი | 2:0 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (მ) | 2:3 |
| სევერსტალი-ატლანტი | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ზალცბურგი | 3:5 |
| ალბა-ვილახი | 1:2 |
| გრაცი-ვენა | 1:2 |
| ინსბრუკი-კლაგენფიურტი | 4:4 |
| ოლიმპია-ლინცი | 0:3 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-კასელი | 3:2 |
| აუგსბურგი-ინგლოშტადტი | 5:2 |
| დუისბურგი-მანჰაიმი | 2:3 |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 3:5 |
| კრეფელდი-კიოლნი | 6:0 |
| ნიურნბერგი-აისბარენი | 2:1 |
| ფრანკფურტი-იზერლონი | 4:3 |
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 1:1 |
| **დანია** | |
| როედოვრე-ესბერგი | 2:4 |
| ოდენსე-ჰერნინგი | 2:2 |
| სიონდერილი-ოლბორგი | 4:4 |
| ჰერლევი-ნორდსილანდი | 2:3 |
| ტოტემპო-ფრედრიკშავნი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-სტავანგერი | 2:0 |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 6:3 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 6:2 |
| სტორჰამარი-კომეტი | 4:0 |
| ფრისკ ასკერი-ფურუსეტი | 3:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-კოშიცე | 3:2 |
| ჟილინა-მარტინი | 3:3 |
| ზვოლენი-ნიტრა | 4:2 |
| მიკულაში-სლოვანი | 2:2 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-პელიკანსი | 0:3 |
| კალპა-კიეკო | 3:0 |
| ლუკო-ტაპარა | 1:1 |
| სეიპა-იოკერიტი | 1:2 |
| ტპს-ესეტი | 7:2 |
| ჰიფკ-იუვიასკიულა | 2:4 |
| ჰპკ-კერპეტი | 5:4 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | 0:3 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 4:1 |
| ტრშინეცი-პლზენი | 4:3 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 2:2 |
| ზნოიმო-ლიბერეცი | 4:3 |
| კლადნო-სლავია | 2:1 |
| ბოლესლავი-ზლინი | 7:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-დავოსი | 6:3 |
| ბილი-ბერნი | 6:1 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 3:4 |
| ცუგი-ლუგანო | 4:7 |
| ფრიბურგი-ჟენევა | 2:1 |
| ბერნი-ციურიხი | 2:2 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 8:5 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-სიოდერტალე | 3:0 |
| როგლე-იურგორდენი | 4:3 |
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 0:2 |
| ჰვ71-აიკ | 3:3 |
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 2:6 |
| ლულეო-ბრიუნესი | 3:3 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ჰამარბიუ-შამბერი | 29:24 |
| კოპენჰაგენი-ტატრანი | 33:29 |
| ზაპოროჟიე-ფლენსბურგი | 26:27 |
| ვესპრემი-ჰაფნარი | 34:25 |
| ბოსნა-სვენდბორგი | 32:26 |
| ზაგრები-ზეგედი | 29:25 |
| პივოვარნა-გრანიტასი | 44:27 |
| პორტლენდი-კოპერი | 31:29 |
| ჩეხ.მედვედი-სტიაუა | 28:21 |
| ციურიხი-ადემარი | 33:29 |
| ჰამბურგი-ცრ. ზვეზდა | 36:27 |
| დრამენი-მეტალურგი | 16:25 |
| მონპელიე-ბრეგენცი | 43:29 |
| კილი-ბარსელონა | 33:26 |
| სიუდადი-დუკასი | 41:19 |
| **გერმანია** | |
| მელსუნგენი-დორმაგენი | 43:30 |
| მინდენი-გროსვალშტადტი | 31:30 |
| ნორდჰორნი-ლემგო | 33:35 |
| შტრალზუნდი-ესენი | 31:31 |
| ვეტცლარი-რაინი | 33:31 |
| **ესპანეთი** | |
| ალმერია-ალკობენდასი | 22:24 |
| ტეუკრო-ანტეკერა | 29:23 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **დევისის თასი** | |
| აკასუსო-ვერდასკო | 3:6, 7:6, 6:4, 3:6, 1:6 |

## TV სპორტი

### 24 ნოემბერი. ორშაბათი

#### იმედი

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### I არხი

22:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
11:10 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ტიგრე.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბლექბერნი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ლანუსი.
20:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ევერტონი (LIVE).
01:55 საფეხბურთო ღამე
02:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:25 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ევერტონი.
06:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ლე მანი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
09:45 სპორტის სამყარო.
10:10 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
11:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნიუკასლი.
13:05 ფეხბურთელთა ცხოვრება.
13:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-რეინჯერსი.
15:20 მინი-მოედანი.
15:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ.
17:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-მილანი.
19:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
21:00 ფეხბურთი.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ევერტონი (LIVE).
02:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:05 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
04:40 სპორტის სამყარო.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ვაშინგტონი (LIVE).
07:40 მინი-მოედანი.

#### EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია. ჩილე.
13:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x10 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x5 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი.
15:00 ფიგურული სრიალი. გრანპრი. საჩვენებელი გამოსვლები. რუსეთი.
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x10 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი.
18:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x5 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია. ჩილე.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. სპეცგამოშვება.
22:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x10 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ფეხბურთი. სპეცგამოშვება.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია. ჩილე.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ბელგრადი (სერბეთი).
13:45 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
15:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
18:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რვათა ფინალი. იტალია.
19:45 ახალი ამბები.
19:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
19:45 ახალი ამბები.
20:15 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. I ტური. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ვილერბანი (საფრანგეთი) (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჟურნალი.
23:45 უნივერსიადა 2009.
00:00 სერფინგი. აშშ.
00:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
01:00 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. აშშ.
02:15 სერფინგი. აშშ.
02:30 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. XXXII ტური. ოიტა-კაშიმა.
03:15 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ნიქსმა ლიდერები მოიშორა



შაბათს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი დიდი გაცვლა განხორციელდა. თავის ორ საუკეთესო კალათბურთელს შეელია "ნიუ იორკ ნიქსი". ამ გუნდმა ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** (ამ სეზონში 20.6 ქულა და 12.5 მოხსნა) "გოლდენ სტეიტში" გაუშვა, სანაცვლოდ კი თავდამსხმელი **ელ ჰარინგტონი** მიიღო. გარდა ამისა, "ნიქსის" აწ უკვე ყოფილ მცველს **ჯამალ კროუფორდს** (19.6 ქულა და 4.4 შედეგიანი პასი) დუბლიორ **მარდი კოლინზთან** ერთად, "ლოს ანჯელეს კლიპერსში" უკრეს თავი, ამ დუეტის ნაცვლად კი **კუტინო მობლი** და **ტიმ ტომასი** დაიმატეს. ამ ორი ტრეიდის გამო, "მილუოკისთან" (87:104) მატჩში "ნიუ იორკის" განაცხადში მხოლოდ შვიდი კალათბურთელი აღმოჩნდა. ამიტომაც ნიუიორკელებმა შემადგენლობაში დააბრუნეს ტრანსფერზე დაყენებული ვეტერანი **სტეფან მარბერი**, მაგრამ ის მოედანზე არ გამოჩენილა.

მაშ ასე, "ნიუ იორკი" გამოეთხოვა კალათბურთელებს, რომლებსაც საშუალოდ მატჩში გუნდისთვის 40-ზე მეტი ქულა მოჰქონდათ. სამაგიეროდ, "ნიქსმა" სახელფასო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხა გამოათავისუფლა. 2010-11 წლების სეზონში რენდოლფსა და კროუფორდს ჯამში 27.4 მილიონი დოლარი უნდა გამოემუშავებინათ, ახლა კი, ამ ფულით "ნიუ იორკს" NBA-ის რომელიმე სუპერვარსკვლავის დამატება შეეძლება. "ნიქსის" პრეზიდენტ **დონი უოლშს** არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი კლუბი 2010 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტების ბაზარზე იაქტიურებს. გუნდის მიზანი იქნება **ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდის** ან **კრის ბოშის** აყვანა.

*"ბიუჯეტიდან თანხის გამოთავისუფლება ძალიან სასარგებლო ნაბიჯია ჩვენი კლუბისთვის,* - განაცხადა უოლშმა. - *იმედი მაქვს, გულშემატკივრები გაგებით მოეკიდებიან ამ გადაწყვეტილებას, რადგან დროთა განმავლობაში "ნიუ იორკი" უფრო ძლიერი გუნდი გახდება - ასეთია ჩვენი შორსმიმავალი გეგმა. მაგრამ ამავდროულად, არ ვაპირებთ ხაზი გადავუსვათ წლევანდელ სეზონს. შევეცდებით, პლეი ოფის საგზური მოვიპოვოთ და ამაში ჩვენი ახალი კალათბურთელები კარგ სამსახურს გაგვიწევენ".*

# ოკლაჰომამ კარლესიმო გაუშვა

გასული უიქ ენდი მხოლოდ "ნიუ იორკ ნიქსის" აქტიურობით არ ყოფილა გამორჩეული. შაბათს პირველი სამწვრთნელო განთავისუფლების მოწმენიც გავხდით. "ნიუ ორლეან ჰორნეტსთან" წაგების შემდეგ, "ოკლაჰომა სიტის" მთავარი მწვრთნელი **პი ჯეი კარლესიმო** პოსტიდან გადააყენეს. კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება ლოგიკურია - ეს იყო კლუბის მე-12 მარცხი რეგულარული ჩემპიონატის 13 შეხვედრაში.

"ოკლაჰომა სიტის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას კარლესიმოს თანაშემწე **სკოტ ბრუქსი** შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ეს გუნდი "სიეტლ სუპერსონიქსის" სახელით ასპარეზობდა და გასულ სეზონში 82-დან მხოლოდ ოცი თამაში მოიგო. კლუბის მფლობელს **კლეი ბენეტს** ამ ზაფხულს სურდა კარლესიმოს გაშვება, მაგრამ მწვრთნელს მეორე შანსი მისცა, თუმცა გამოცდილმა სპეციალისტმა ეს ნდობა ვერ გაამართლა.

ფორმულა 1

# უებერმა ფეხი მოიტეხა

გუშინ ავსტრალიის კუნძულ ტასმანიაზე ავარიაში მოყვა "რედ ბულის" პილოტი **მარკ უებერი**. მიღებული ტრავმების გამო ავსტრალიელი პილოტი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეს ინციდენტი ყოველწლიური ტურნირის მსვლელობისას მოხდა, რომლის სახელწოდებაა - Mark Webber Pure Tasmania Challenge.

ქალაქ პორტ-არტურთან ახლოს, მარკ უებერი მთის ველოსიპედით მოძრაობდა და ჯიპთან შეტაკება თავიდან ვერ აიცილა. ავარიის შემდეგ უებერი ტასმანიის შტატის დედაქალაქ ჰობარტის კლინიკაში მოათავსეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ინციდენტის შემდეგ Tasmania Challenge-ის პრესმდივანმა **ნენსი კუკმა** განაცხადა, რომ *"მარკ უებერი მძიმე ავარიაში მოხვდა, მაგრამ ყველაფერი წესრიგში აქვს"*. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ "რედ ბულის" პილოტს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, რადგან ფეხის მძიმე მოტეხილობა ჰქონდა.

*"მარკმა ოპერაცია კარგად გადაიტანა. ექიმები ეჭვობდნენ, რომ მას ხელიც მოტეხილი ჰქონდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი ვარაუდი არ გამართლდა. მარკი დაახლოებით სამ დღეს დაჰყოფს საავადმყოფოში, ხოლო მას შემდეგ, რაც ექიმები ფრენის ნებას დართავენ, უებერი ევროპაში გაივლის სარეაბილიტაციო კურსს"*, - აცხადებს Tasmania Challenge-ის დირექტორი **ჯეფ დონაჰიუ**.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ უებერი ამ წლის ბოლომდე დაგეგმილ ყველა სატესტო სერიას გამოტოვებს, თუმცა მომავალი სეზონის სტარტისთვის მწყობრში იქნება.



# კვალიფიკაცია ისევ შეიცვლება?

ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაცია 4 დეკემბერს დანიშნულ სხდომაზე კვალიფიკაციის ახალი ფორმატის განხილვას აპირებს. როგორც ცნობილია, ამ სეზონში პოულის მფლობელი სამი სესიის შედეგად ირკვეოდა. პირველ ორში ხუთ-ხუთი ყველაზე უარესი შედეგის მქონე პილოტები ვარდებოდნენ და დარჩენილი ათი მონაწილე არკვევდა კვალიფიკაციის გამარჯვებულის ბედს. აღსანიშნავია, რომ მესამე, სესიაში გუნდებს უფლება ჰქონდათ თავად განესაზღვრათ ავზებში საწვავის რაოდენობა.

როგორც ჟურნალი Autosport იუწყება, ასოციაციამ მოამზადა ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც პირველ სესიაში ტრასაზე ერთდროულად გამოვა ყველა ბოლიდი და მათ ავზებში ერთნაირი რაოდენობის საწვავი ექნებათ. ყოველი წრის შემდეგ უარესი დროის მქონე პილოტი ბრძოლას გამოეთიშება. ასე გაგრძელდება იქამდე, სანამ კვალიფიკაციას ექვსი ავტომრბოლი არ შემორჩება. მათ ბოლიდებს საბურავებს გამოუცვლიან და პოულიც ამის შემდეგ გათამაშდება.

აგრეთვე განიხილება კვალიფიკაციაში გამარჯვებულისთვის პირად ჩათვლაში ერთი ქულის მინიჭების საკითხი. თუ ასოციაცია ამ რეგლამენტს დაამტკიცებს, ის განსახილველად ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში გადაიგზავნება.

კრივი

# ლენოქსი 100 მილიონად დაბრუნდება



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი **ლენოქს ლუისი** აცხადებს, რომ მზად არის კიდევ ერთხელ გავიდეს რინგზე. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მას ჰონორარის სახით 100 მილიონ დოლარს შესთავაზებენ. შეგახსენებთ, რომ ლუისმა კარიერის დასრულების შესახებ 2003 წელს გამოაცხადა. მისი ბოლო ბრძოლა უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** შედგა, რომელიც ბრიტანელმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო და გამარჯვებულმა დატოვა პროფესიული კრივი.

ვიტალიმ ოქტომბერში, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ გადაწყვიტა რინგზე დაბრუნება და ნიგერიელი **სამუელ პიტერის** დამარცხების შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც დაიბრუნა (WBC-ის ვერსიით). ამის შემდეგ, უკრაინელმა ლუისთან მატჩ-რევანშის ჩატარების სურვილი გამოთქვა.

*"სუპერმძიმე წონაში ბრძოლები მოსაწყენი გახდა. თუ ვინმე მზად არის ჰონორარის სახით 100 მილიონი დოლარის გადაიხადოს, მზად ვარ ისევ გავიდე რინგზე საჩხუბრად. წესით, ასეთი რამ არ უნდა გავაკეთო, მაგრამ კრივს სჭირდება ჩემნაირი ქარიზმატული მოკრივეები"*, - განაცხადა ლენოქს ლუისმა News of The World-თვის მიცემულ ინტერვიუში.

ოლიმპიზმი

# ყველაზე გრძელი ესტაფეტა

2010 წლის თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ვანკუვერის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ყველაზე გრძელი იქნება ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში. ჩირაღდანი 45 ათას კილომეტრს გაივლის, თუმცა კანადის ტერიტორიას არ დატოვებს.

ესტაფეტა 2009 წლის 30 ოქტომბერს ქალაქ ვიქტორიაში დაიწყება. ჩირაღდანი 1000 დასახლებულ პუნქტს გადაკვეთს და მას 2010 წლის 12 თებერვალს ოლიმპიადის დედაქალაქ ვანკუვერში ჩაიტანენ.

ჩირაღდნის ესტაფეტა კანადის ტერიტორიის 90 პროცენტს მოიცავს. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათ ამ გზით სურთ 2010 წლის ოლიმპიადის მხარდასაჭერად ქვეყნის მოსახლეობის მოზიდვა. სხვათა შორის, ესტაფეტა გაივლის პატარა დასახლებულ პუნქტ ალერტში - ეს არის კანადის ყველაზე ჩრდილოეთი წერტილი, რომელიც ჩრდილოეთი პოლუსიდან 900 კილომეტრში მდებარეობს.

ჩოგბურთი

# კონორსი პოლიციაში მოხვდა



ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯიმი კონორსი** ამერიკის პოლიციამ სანტა ბარბარაში დააკავა. ამ ინფორმაციას სააგენტო AP აქვეყნებს.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სპორტული არენა UCSB Events Center-ის შესასვლელთან დააპატიმრეს, სადაც სანტა ბარბარასა და ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტების საკალათბურთო გუნდებს შორის მატჩი იმართებოდა.

ჩოგბურთელს სტადიონის შესასვლელში დაცვის წევრებთან კონფლიქტი მოუვიდა და ინციდენტი ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ამ დაპირისპირების წვრილმანები პრესისთვის უცნობი დარჩა.

"დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის გამარჯვებული ზედიზედ სამი წელი ატარებდა პირველი ჩოგანის ტიტულს და მისი ეს რეკორდი მხოლოდ 2007 წელს გააუმჯობესა **როჯერ ფედერერმა**.

# ავსტრალიამ საპრიზო ფონდი გაზარდა

2009 წლის 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე 97-ედ გაიმართება ავსტრალიის ღია პირველობა. წელს ტურნირის ორგანიზატორები მონაწილეებს სარეკორდო საპრიზო ფონდს შესთავაზებენ. ჩოგბურთელთა საერთო ჰონორარი 18 პროცენტით გაიზარდა და თანხამ 14 მილიონი დოლარი შეადგინა.

გაისად მამაკაცთა და ქალთა ტურნირების გამარჯვებულები თითოზე 1.62 მილიონ ავსტრალიურ დოლარს მიიღებენ. გარდა ამისა, ავსტრალიის ღიას დირექტორი **კრეიგ ტაილი** ირწმუნება, რომ ორგანიზატორებმა ტურნირის პირველი დღიდან ბოლომდე ყველა ჩოგბურთელის ნებისმიერი ნაბიჯი დეტალურად გათვალეს.

პრაქტიკულად ყოველდღე, "მელბურნ პარკზე" სხვადასხვა გასართობი ღონისძიებეა გაიმართება. არის კიდევ ერთი სიახლე - ევროპული ტელეაუდიტორიის გაზრდის მიზნით, ქალთა ფინალიც საღამოს საათებში ჩატარდება. იმისთვის, რომ ფინალებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდოს, "მელბურნ პარკზე" ახალი აქცია გაიმართება - ეს არის ორდღიანი კონცერტი, სახელწოდებით A DAY ON THE BASELINE ("დღე უკანა ხაზზე"). მაყურებლები, რომლებიც 69 დოლარად შეიძენენ ბილეთებს, ფინალამდე პოპულარულ ავსტრალიელ მუსიკოსებს მოუსმენენ.

შარშან ავსტრალიის ღია პირველობაზე დასწრების რეკორდი დაფიქსირდა - ერთ დღეს "მელბურნ პარკის" კორტები 62 885 მაყურებელს სტუმრობდა. წინა რეკორდი 2007 წელს, ამერიკის ღია პირველობაზე იყო დაფიქსირებული.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა